

წიგნი „სამოციქულო“

„სამოციქულოს“ სახელწოდების მნიშვნელობა

ახალი აღთქმის საღვთო წერილის მეორე განყოფილებას შეადგენენ წმიდა წიგნები, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო სახელწოდების „სამოციქულო“ ქვეშ. სიტყვა „მოციქული“ ნიშნავს „წარმოგზავნილს“, „მაცნეს“. ეს სახელწოდება მიკუთვნებული ჰქონდათ უფლის, იესო ქრისტეს, მოწაფეებს. თუკი სახარება აღწერს უფლის იესო ქრისტეს ცხოვრებას და სწავლებას, ასევე სამოციქულო წარმოადგენს უფლის მოწაფეთა ჩვენამდე მოღწეულ წერილებს, რომლებიც აღწერენ ზოგიერთი მოციქულის ცხოვრებას, და შეიცავენ და გადმოცემენ მათ სწავლებებს. ახალი აღთქმის ასე დაყოფა ორ განყოფილებად – სახარება და სამოციქულო – უძველესი წარმოშობისაა. სახელწოდებას „სამოციქულო“, როგორც ერთობლიობა ყველა მოციქულთა წერილისა, გარდა სახარებისა, ჩვენ ვხვდებით წმ. ირინეოს ლიონელთან, კლიმენტი ალექსანდრიელთან და ტერტილიანესთან.

„სამოციქულოს“ წიგნთა შემადგენლობა

თუმცა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მოციქულთა „საქმეების“, „ეპისტოლე“ და „აპოკალიფსი“ სახელწოდებით ძალიან ბევრი წიგნი გაჩნდა, მაგრამ უტყუარად წმიდა ეკლესიამ მხოლოდ 23 წიგნი სცნო.

ეს წიგნებია:

1. საქმე მოციქულთა;
2. წმ. მოც. იაკობის კათოლიკე ეპისტოლე;
3. წმ. მოც. პეტრეს I კათოლიკე ეპისტოლე;
4. წმ. მოც. პეტრეს II კათოლიკე ეპისტოლე;
5. წმ. მოც. იოანე ღვთისმეტყველის I კათოლიკე ეპისტოლე;
6. წმ. მოც. იოანე ღვთისმეტყველის II კათოლიკე ეპისტოლე;
7. წმ. მოც. იოანე ღვთისმეტყველის III კათოლიკე ეპისტოლე;
8. წმ. მოც. იუდას კათოლიკე ეპისტოლე;
9. წმ. მოც. პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლე;
10. წმ. მოც. პავლეს I ეპისტოლე კორინთელთა მიმართ;
11. წმ. მოც. პავლეს II ეპისტოლე კორინთელთა მიმართ;
12. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ;
13. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე ეფესელთა მიმართ;
14. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ;
15. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე კოლასელთა მიმართ;
16. წმ. მოც. პავლეს I ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ;
17. წმ. მოც. პავლეს II ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ;
18. წმ. მოც. პავლეს I ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ;
19. წმ. მოც. პავლეს II ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ;
20. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე ტიტეს მიმართ;
21. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე ფილიმონის მიმართ;
22. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ;
23. წმ. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, ანუ აპოკალიფსი.

ამ წიგნთაგან საქმე მოციქულთა ისტორიული შინაარსისაა, 7 კათოლიკე და პავლე მოციქულის 14 ეპისტოლე – მოძღვრებითი შინაარსის და აპოკალიფსი – წინასწარმეტყველებითი შინაარსის.

„საქმე მოციქულთას“ წიგნის შესახებ

წიგნის ავტორი და მისი დაწერის მიზანი

წიგნი „საქმე მოციქულთა“, როგორც ეს ჩანს თავისი პირველივე სიტყვებიდან, წარმოადგენს სახარების გაგრძელებას. ავტორმა თავის მიზნად დაისახა აღეწერა უფლის იესო ქრისტეს ამადლების შემდგომ განვითარებული მოვლენები და ხაზი გაესვა დედამიწაზე მოციქულთა შრომით ქრისტეს ეკლესიის პირველდაწყებით მოწყობას; უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოციქულთა თავებს, პეტრესა და პავლეს მოციქულებს.

წიგნი „საქმე მოციქულთა“, თვით ავტორის მითითებიდან გამომდინარე, ითვლება თავის მეორე წიგნად, რომელიც დაწერა ვინმე თეოფილესათვის. უეჭველია, რომ საქმე მოციქულთა გაგრძელებაა მესამე სახარებისა, და თავისთავად მისი ავტორი არის წმ. მოციქული ლუკა, ყოფილი თანამგზავრი და თანაშემწე წმ. მოც. პავლესი. რომ საქმე მოციქულთა წმ. მოც. ლუკას ეკუთვნის ცნობებს ვპოულობთ ჯერ კიდევ II საუკუნის მეორე ნახევარში – წმ. ირინეოს ლიონელთან, ლიონისა და ვიენის ეკლესიების, ასიისა და ფრიგიის ეკლესიების მიმართ ეპისტოლეში, კლიმენტი ალექსანდრიელთან, ტერტულიანესთან, ორიგენესთან, ასევე სხვა გვიანდელ ქრისტიან მწერლებთან. მინიშნებებს ამ წიგნის არსებობაზე ჩვენ ვპოულობთ უფრო ადრინდელ მწერლებთან, როგორებიცაა მაგ.: წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი ანტიოქიის ეპისკოპოსი, წმ. პოლიკარპე სმირნის ეპისკოპოსი, წმ. იუსტინე მოწამე.

წმ. ლუკას ამ წიგნის ავტორობის შესახებ საკმაოდ ვნახულობთ ცხად მითითებებს თვით წიგნის შინაარსშიც. ავტორი წარმოდგენილია მასში როგორც თანამგზავრი და თანაშემწე წმ. პავლე მოციქულისა. (16:10-17; 20:5-15; 21:1-17; 27:1; 28:16).

„საქმე მოციქულთას“ წიგნის დაწერის დრო და ადგილი

წიგნი „საქმე მოციქულთა“ მთავრდება იმაზე მითითებით, რომ წმ. მოც. პავლემ 2 წელი იცოცხლა რომში და ქადაგებდა იქ ქრისტეს სწავლებას. (28:30-31) წმ. მოც. პავლეს მოწამეობრივ სიკვდილზე, რომელიც იმპერატორ ნერონის დროს 67 წ. 29 ივნისს მოხდა, წიგნში არაფერია ნათქვამი. საეკლესიო ისტორიიდან ცნობილია, რომ კესარიის სამსჯავროზე გამართებული მოც. პავლე ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ კვლავ დაბრუნდა იერუსალიმში და შეასრულა კიდევ ერთი, მეოთხე მისიონერული მოგზაურობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ წიგნი „საქმე მოციქულთა“ დაწერილია ქრისტეს შობიდან 63 ან 64 წელს რომში. თავის კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეში, რომლებიც რომში არის დაწერილი პავლე მოციქულის მიერ, მოხსენიებულია წმ. ლუკა, როგორც მასთან მეოფი რომში. იმის შესახებ, რომ წიგნი დაწერილია რომში არსებობს მოწმობა დასავლელი ეკლესიის მამის ნეტარი იერონიმესი.

„საქმე მოციქულთას“ წიგნის შინაარსი

წიგნი „საქმე მოციქულთა“ შეიცავს მოვლენების აღწერას უფლის იესო ქრისტეს ამაღლებიდან წმ. მოც. პავლეს რომში მისვლამდე და მოიცავს 30 წლის დროის მონაკვეთს. წიგნის I ნახევარში – 1-12 თავებში – მოთხრობილია მეტწილად წმ. მოც. პეტრეს იუდეველთა შორის პალესტინაში მოციქულებრივი მოღვაწეობისა და წმ. მოც. პავლეს წარმართთა შორის მოციქულებრივი მოღვაწეობის შესახებ და მათ მიერ ქრისტეს მოძღვრების გავრცელების შესახებ პალესტინის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, წიგნი „საქმე მოციქულთა“ გვიხატავს სურათს თუ როგორ დაფუძნდა ქრისტეს ეკლესია პალესტინაში იუდეველთა შორის, როგორ გადავიდა შემდგომში იუდეველებიდან წარმართებში და როგორ გავრცელდა წინა აზიაში და სამხრეთ ევროპაში. წიგნი შედგება 28 თავისაგან.

„საქმე მოციქულთას“ წიგნის მნიშვნელობა

წიგნის მნიშვნელობაზე საუბრობს კარგად იოანე ოქროპირი ამ წიგნზე თავის პირველ საუბარში. მასში ჩვენ ვხედავთ იმ წინასწარმეტყველებების აღსრულებას, რომლებიც მოციქულთა წინაშე წარმოთქვა უფალმა სახარებებში. მათში ჩვენ ვხედავთ ამ სამყაროზე ქრისტეს რწმენის გამარჯვებას და ზეიმს. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სხვა ადამიანებად იქცნენ მოციქულები მათზე სულიწმიდის მადლის გარდამოსვლის შემდეგ. ვხედავთ მათ გმირობას, თავდადებას. უმოკლეს დროში უამრავი ქრისტიანული თემები დააფუძნეს ყველგან. წიგნი „საქმე მოციქულთა“ მოწმობს, რომ მოციქულთა ქადაგება – ეს არა კაცთა საქმეა, არამედ ღვთიური საქმეა. განსაკუთრებულად არის აღწერილი პირველ ქრისტიანთა ცხოვრება, რომელთაც გააჩნდათ „ერთი გული და ერთი სული“ (საქ. მოც. 4:32); ქრისტეს ელესიის მწყემსებისათვის წიგნი „საქმე მოციქულთა“ აუცილებელია იმით, რომ აძლევს მათ მაგალითს საეკლესიო კეთილმოწყობის და ეკლესიის მართვის და გადმოსცემს ეკლესიის მწყემსთა არსებით მოვალეობებს.

მაგრამ ყველაზე მთავარი ამ წიგნში, რა თქმა უნდა არის ის, რომ იგი მოწმობს ქრისტიანობის უდიდეს ჭეშმარიტებაზე – ქრისტეს აღდგომას. საუკეთესო მოწმობა ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებისა არის სასწაულები, რომელთაც მოციქულები ახდენდნენ, ხოლო წიგნი სხვა არაფერია, თუ არა როგორც მოთხრობა უპირველესად მოციქულთა სასწაულების შესახებ.

თავი 1

შესავალი (1-3 მუხლები); უფლისმიერი დარიგება და აღთქმა ამაღლების წინ და მისი ამაღლება (4-11); წმ. მოც. პეტრეს საუბარი იუდას ადგილზე ახალი მოციქულის არჩევის თაობაზე და მატათას გამორჩევა (12-26).

წიგნის შესავალი (1-3)

ავტორი შესავალში მიმართავს ვინმე თეოფილეს და ამასთანავე მიმართავს თავის „პირველ წიგნზე“, რომელშიც მან აღწერა ყველაფერი „რისი კეთება და სწავლება დაიწყო იესომ“. ცხადია, რომ აქ საუბარია მესამე კანონიკურ

სახარებაზე, რომელიც დაწერილია წმ. ლუკა მახარებლის მიერ იგივე „ღირსეულ თეოფილესათვის“. წმ. ლუკა მიუთითებს თავის სახარებასა და ამ მეორე წიგნს შორის შინაგან ორგანულ კავშირზე. მეორე წარმოადგენს პირველის გაგრძელებას. „ყველაფერი“ აქ მხოლოდ მიახლოებითია, ვინაიდან წმ. იოანე ღვთისმეტყველი თვლის, რომ ყველაფრის აღწერა შეუძლებელია (ინ.21:25). „ყველაფერი“ აქ ნათქვამია „ყველაფერი აუცილებელის“ აზრით იმისათვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო უფლის იესო ქრისტეს ცხოვრების, მოღვაწეობის და სწავლების გაცნობა და გვერწმუნა მასში როგორც ძე ღვთისა. „რისი კეთება და სწავლებაც დაიწყო იესომ“. ავტორს სურდა ამით გამოეხატა ის, რომ უფალმა თავის მიწიერ ცხოვრებაში მხოლოდ დაიწყო კეთება და სწავლება, ხოლო იგი გაგრძელდება მოციქულთა, და რასაკვირველია შემდგომ მათი მემკვიდრეების მეშვეობით უკანასკნელ ეპოქამდე. „იმ დღემდე, ვიდრე ამაღლდებოდა“ – უფლის ამაღლება აქ მითითებულია, როგორც შემობრუნების პუნქტი: ესაა სახარებისეული ისტორიის დასასრული და მოციქულთა ისტორიის დასაწყისი. ამ მომენტამდე ადგილი ჰქონდა უფლის დედამიწაზე ხილულ მოქმედებას, ამ მომენტიდან კი იწყება მისი უხილავი მოქმედება და მოღვაწეობა. „სულიწმიდით მოძღვრავდა მოციქულებს“ – კაცთა ხსნის ისტორიის შემობრუნების პუნქტის აუცილებლობა იმაშია, რომ უფალი ამაღლდა, დაუტოვა რა თავის მოწაფეებს მცნება-დარიგება, როგორც გამოხატულება მისი უკანასკნელი ნებისა მისი მოძღვრების მთელ დედამიწაზე გავრცელებისა და განმტკიცებისა. „სული წმიდა“ – უფალი იესო ქრისტე ყველაფერს აკეთებდა „სულიწმიდით“, ვინაიდან ნეტარი თეოფილაქტეს გამოთქმით, „სადაც აკეთებს ძე, შემწეობს და თანიმყოფება სული, როგორც ერთარსი“. ეს დარიგება მოცემული აქვს არა ყველას, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებიც მან გამოარჩია ამ დიდი საქმისთვის. „რომელთაც წარუდგა ცოცხლად“ – იმისთვის, რათა მოციქულებმა შეძლონ მთელ დედამიწაზე მასზე დამოწმება. უფალმა გამოუცხადა მათ თავი ცოცხლად თავისი ტანჯვისა და სიკვდილის შემდეგ. და დაარწმუნა ისინი თავისი აღდგომის ჭეშმარიტებაში, ეცხადებოდა რა მათ 40 დღის განმავლობაში. ამრიგად, საქმე მოციქულთა ამატებს სახარებას, მიუთითებს რა, რომ თუმცა უფალი თავისი აღდგომის შემდეგ არ იმყოფებოდა თავის მოწაფეებთან განუწყვეტლივ, მაგრამ მრავალჯერ ეცხადებოდა მათ და მხოლოდ 40 დღის შემდეგ ამაღლდა ზეცად მათგან. ამ ვადის განმავლობაში იგი ასწავლიდა მათ ცათა სასუფევლის საიდუმლოებებს, უნდა ვივარაუდოთ ქრისტეს ეკლესიის მოწყობას.

უფლის დარიგება და აღთქმა უფლის ამაღლების წინ და მისი ამაღლება (4-12 მუხლები)

„და შეკრიბა ისინი და უბრძანა: არ გასცილებოდნენ იერუსალიმს“ – ეს მოითხოვდა მოწაფეთაგან არანაკლებ თავდადებას, ვინაიდან, მათ, რათქმაუნდა, არ ესურვებოდათ მათი მასწავლებლისადმი და მათდამი მტრულად განწყობილ ქალაქში დარჩენა. მაგრამ ასეთი იყო უფლის ნება: სიონიდან გამოვა რჯული და უფლის სიტყვა იერუსალიმიდან (ისაია 2:3) – სწორედ იქ სადაც **მტრობა დმერთისა და ქრისტეს** მიმართ მიაღწია უმაღლეს გამოხატულებას, უნდა გამოვლენილიყო მომატებული მაღლი უფლისა და დაწყებუდიყო სახარების გავრცელება მთელ მსოფლიოში. ასეთი მძიმე დავალებით დარჩენას მტრულად განწყობილ ქალაქში უფალმა იმავე წამს შეუერთა სასიხარულო აღთქმა მოციქულებზე ყოვლადღიერი მფარველისა და ხელმძღვანელის ყოვლისშემძლე მამისაგან გადმოსვლის შესახებ – სულიწმიდისა: უეჭველია, რომ „მამის აღთქმულში“ იგულისხმება სწორედ სული წმიდა, რომლის გარდმოვლენა

აღთქმული იყო მამა ღმერთის მიერ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველთა მეშვეობით. (მაგ. ისაია 43:3; იოველი 2:28)... „რაზეც ჩემგან მოისმინეთ“ – სულიწმიდის შესახებ უფალი მოციქულებთან მრავალგზის საუბრობდა, ხოლო განსაკუთრებით თავის უკანასკნელ გამოსამშვიდობებელ საუბარში, უწოდებს რა მას „სხვა ნუგეშინისმცემელს“ (ლკ. 12:11; მთ. 10:20; ინ. 14:15-17,26; 15:26; 16:7,12-15). „ვინაიდან იოანე ნათლავდა წყლით“ – სულიწმიდის ამ გადმოსვლაზე საუბრობდა წინასწარმეტყველთაგან უდიდესი წმ. იოანე ნათლისმცემელიც, რომელიც თავის წყლით, როგორც მხოლოდ მოსამზადებელ ნათლობას უპირისპირებდა სული წმიდით ნათლობას (მთ. 3:4; ლკ. 3:16; ინ.1:33). გამოთქმა „მონათლებით სულიწმიდით“ მიუთითებს სულიწმიდის სისავსეზე და სიუხვეზე. სულიწმიდა არის ყოვლადგანმწმენდელი და განმაცხოველებელი, ცხოვრების მომცემელი ძალა. „მრავალი დღის შემდეგ“ – უფალი ზუსტად არ მიუთითებს სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, ვინაიდან მოლოდინი ხელს შეუწყობდა მოციქულებში განუწყვეტელ სულიერ სიფხიზლეს და ამ დიდებული აღთქმის აღსრულების სიხარულევან სურვილს. უფლის ამადლებიდან მეთუ დღეს აღსრულდა ეს აღთქმა. ეს იყო ქრისტიანული ერგასის პირველი დღე.

„ამ ხანებში ხომ არ აღუდგნენ, უფალო, ისრაელის სამეფოს?“ – ეს კითხვა მიუთითებს იმაზე, რომ მოციქულები ჯერ კიდევ არ იყვნენ განთავისუფლებულნი ყოველი იუდეველისათვის საერთო მგრძობიარე, მიწიერი წარმოდგენებისაგან მესიის სასუფევლის შესახებ. მხოლოდ სულიწმიდის მადლის გარდამოსვლის შემდეგ საბოლოოდ გარდაიქმნენ სულიერად. ეს კითხვა უფლის მოწაფეებმა დაუსვეს მას იმიტომ, რომ მათთვის ცნობილი იყო იოველის წინასწარმეტყველება ცათა სასუფეველში სულიწმიდის ნიჭთა უხვად გარდამოსვლის შესახებ (2:28). უფალი ბრძნულად აღმოფხვრის ამ უადგილო, შეუფერებელ კითხვას. „თქვენი საქმე არ არის იცოდეთ დროები და ვადები, რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით“. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გადმოვა მათზე სულიწმიდა, ისინი აღარ უსვამენ ასეთ შეკითხვებს: მათი საქმეა იყვნენ უფლის მოწმეები, ე.ი. მქადაგებლები მისი სახარებისა, ხოლო ამისათვის კი ისინი მიიღებენ მათთვის აუცილებელ ძალას, სულიწმიდის მადლს. „იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“ – იერუსალიმმა, როგორც ქალაქი, რომელშიც ჯვარს აცვეს ქრისტე, პირველმა უნდა გაიგოს ქადაგება ჯვარცმულ და აღმდგარ ქრისტეზე, მესიაზე, შემდგომ ღვთის სიტყვა ნაქადაგები უნდა იყოს პირველ რიგში ღვთის რჩეულ ერში – იუდეაში; შემდეგ სამარიტელებში, როგორც უახლოეს მეზობლებში და შემდეგ მთელ დედამიწაზე წარმართებში. „ეს თქვა და სანამ ისინი უყურებდნენ მას, ამადლდა და ღრუბელმა მოაფარა მათ თვალს.“ – აქ მითითებულია ორი მომენტი: თავდაპირველად უფალი ამადლდა მოწაფეთა წინაშე, შორდებოდა მიწიდან ისე, რომ მოწაფეებს შეეძლოთ მასზე თვალყურის დევნება, ხოლო შემდეგ კი მიეფარა ღრუბლებს. შესაძლოა ეს ღრუბლები სიმბოლო იყო ღვთიური დიდების მყოფობისა, როგორც ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში გამოჩნდა ნათელი ღრუბლის სახით (შეად. მთ. 7:10). ნახულით გაოგნებული მოწაფეები, რათქმაუნდა, დიდი ხნის განმავლობაში შეჰყურებდნენ ზეცას, მანამ, სანამ არ გამოეცხადათ მათ „ორი კაცი“ თეთრ სამოსში – უეჭველია ესენი იყვნენ ანგელოზები. თეთრი სამოსელი - მათი ზეციური სიწმინდის სიმბოლოა: მხოლოდ ანგელოზებს შეეძლოთ ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ამბის მოტანა მოწაფეებზე. „გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას?“ – ამ კითხვაში მოკლე საყვედურია მოწაფეების მიმართ: ამოდ დგანან უმოქმედოდ და შეჰყურებენ ზეცას. უნდა მოემზადონ მათი საპასუხისმგებლო საქმისთვის, რომლისათვისაც არიან ისინი მოწოდებული ამადლებული უფლისაგან. მოწაფეთა მთელი აზრები აწ მიმართულნი უნდა იყვნენ მისი მეორედ დიდებული მოსვლის მოლოდინისკენ. „მოვა ისევ“ – უფლის მეორედ

მოსვლა მსგავსი იქნება მისი ამაღლებისა, ე.ი. უფალი კვლავ თავის განდიდებულ სხეულში და ყველასათვის ხილული სახით მოვა. ეს ნიშნავს, რომ მეორედ მოსვლა არ უნდა გავიგოთ გადატანითი, სიმბოლური მნიშვნელობით, როგორც ეს ზოგიერთ რაციონალისტს ესმის. თვით უფალი სახარებაში (მთ. 24:30) ბრძანებს, რომ იგი მოევლინება „ცის ღრუბლებზე დიადი ძალითა და დიდებით“. ამასვე ამოწმებენ ესლა ანგელოზებიც. მაშასადამე, უფლის მეორედ მოსვლა – ხორციელია, ხილულია – ისევე უეჭველი იქნება, როგორც მისი ხორციელი ამაღლება.

„მაშინ ისინი დაბრუნდნენ იერუსალიმში ზეთისხილისად წოდებული მთიდან“. აქედან ჩანს, რომ უფალი ამაღლდა ელეონის მთიდან, რომელიც იერუსალიმიდან აღმოსავლეთისკენ მდებარეობს. რამდენადაც თეოფილე არ იცნობდა პალესტინას ნახვით, წმ. ლუკა უხსნის, რომ იერუსალიმიდან შაბათის გზის მანძილზე იყო დაშორებული: რაბინთა სწავლებით შაბათს 2 000 ნაბიჯის გაგლა იყო ნებადართული. ელეონის მთა, რომელიც უფლის უდიდესი დამცირებების მოწმე იყო (გეთსამანიის ბაღი მდებარეობს მის დასავლეთ ფერდობზე), აწ იქცა მისი განდიდების მოწმედ – უფლის ზეცად ამაღლებისა.

წმ. მოც. პეტრეს სიტყვა ახალი მოციქულის არჩევის შესახებ და მატათას გამორჩევა (13-26 მუხლები)

ელეონის მთიდან დაბრუნების შემდეგ 11-ე მოციქული, რომელთა სახელებსაც წიგნის ავტორი აღნიშნავს უფლის დავალებით იყვნენ ერთად ოთახში, ე.ი. ზემო ოთახში, სადაც ხმაურისგან მოშორებით წინააღმდეგობის გარეშე გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში და სული წმიდის მადლის გარდამოსვლის მოლოდინში შეეძლოთ ყოფილიყვნენ. შესაძლებელია, ეს ის ოთახი ყოფილიყო, სადაც საიდუმლო სერობა აღესრულა. „ისინი ყველა ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ“ – ეს სიტყვები განსაკუთრებულ რელიგიურ აღმავლობაზე მიუთითებს, რომელშიც უფლის მოწაფეები მისი ამაღლებისას იმყოფებოდნენ. იმყოფებოდნენ რა იერუსალიმში, როგორც ცხვრები მგელთა შორის, განსაკუთრებით საჭიროებდნენ განსაცდელებისაგან თავის დაცვას ასეთი ლოცვებით. მოციქულებთან ერთად იმყოფებოდნენ ქალები „მარიამის, იესოს დედის“ ხელმძღვანელობით. ესენი, რასაკვირველია, მენელსაცხებლე დედები იყვნენ, რომლებიც, ამავე დროს, იყვნენ უფლის დაფლვისა და აღდგომის მოწმენი. აქ იყვნენ ასევე უფლის ხორციელი ძმები, რომლებიც ნახსენები არიან ავტორის მიერ წიგნში. აქ იყვნენ სხვა მორწმუნენიც, საერთო რიცხვი დაახლ. 120 კაცი. წმ. მოც. პეტრე, წმ. იოანე ოქროპირის გამოთქმით „მოციქულთა ბაგეები, ყოველთვის მგზნებარე და უმაღლესი მოციქულთა თანა“, დადგა მოწაფეთა შორის „იმ დღეებში“, ე. ი. უფლის ამაღლებასა და ერგასს შორის პერიოდში და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შესთავაზა ახალი მოციქულის არჩევა დაცემული იუდა ისკარიოტელის ნაცვლად. აქ აღსანიშნია, რომ „პეტრე ყველაფერს საერთო შეთანხმებით აკეთებს და არანაირ განკარგულებას არ სცემს თვითნებურად და როგორც მთავარი.“ (წმ.ოქროპირი) წმ. მოც. პეტრე იუდას ღრმა დაცემას უფლის წინასწარი განსაზღვრით გვიხსნის, რომელიც არ ართმევს ადამიანს თავისუფალ ნებას, ვინაიდან უფლის ეს წინასწარი განზრახვა, რომელიც წინასწარმეტყველებშია გამოხატული, ეფუძნება მხოლოდ უფლის წინასწარხედვას. ღმერთმა იცის, როგორ წარმართავს ადამიანი თავისუფალ ნებას და აქედან გამომდინარე, წინასწარგანსაზღვრავს. რათა აღმოეფხვრა სხვებისათვის იუდას საშინელი დაცემის ცდუნება, წმ. მოც. პეტრეს მოჰყავს წინასწარმეტყველება, რათა აჩვენოს, რომ ამ მოქმედებაში არაფერია

არაჩვეულებრივი, ვინაიდან იგი უკვე ნაწინასწარმეტყველები იყო, რომელიც უნდა აღსრულებულიყო. გამოთქმა, რომ იუდას „წილად ხვდა ეს სამსახური“, არ უნდა გავიგოთ ისე თითქოსდა იგი უფლის მიერ წილისყრით იყო არჩეული: ეს მხოლოდ ხატოვანი გამოთქმაა, რაც გულისხმობს გამორჩევას. წმ. პეტრეს სიტყვიდან ვიგებთ იუდას საშინელ სიკვდილს, რაზეც სახარებები არ საუბრობენ. „მიწა უსამართლობის საზღაურად“ მიუთითებს იმაზე, რომ იმ ფულად, რომლის გამოც იუდამ გასცა უფალი, შემდგომში ნაყიდი იქნა მიწა მწირთა დაკრძალვისთვის, რომელსაც ებრაელებმა, იერუსალიმის მაცხოვრებლებმა „აკელდამა“, ქართულად „სისხლიანი მიწა“ უწოდეს. წმ. ლუკა ამ სიტყვას განუმარტავს თეოფილეს, რომელმაც არ იცის ებრაული. იუდას შესახებ წინასწარმეტყველების სიტყვა მოყვანილია ორი ფსალმუნიდან 68:26 და 108:8. ამ ადგილებიდან პირველი მოყვანილია ცოტა ცვლილებებით, მეორე – სიტყვასიტყვით. ამ ორივე ფსალმუნში ლაპარაკია უდანაშაულოდ დასჯილ მართალზე, რომ ეს ტანჯული ვინც არ უნდა ყოფილიყო ისტორიულ სინამდვილეში, ეს იქნებოდა მეფე დავითი თუ ვინმე სხვა, იყო წინასახე მესიისა – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ხოლო მისი მტრები იყვნენ წინასახეები უფლის მტრებისა, რომლებმაც აწამეს ჯვარზე ქრისტე. მთავარი ამ მტერთაგან იყო იუდა, ამიტომაც მოც. პეტრე პირველ გამოთქმაში ცვლის მრავლობით რიცხვს მხოლობითი რიცხვით და საუბრობს იუდაზე. „გატილდეს მისი სახლ-კარი“ – ეს ღვთის რისხვის სიმბოლოა ამ ადგილზე მაცხოვრებელზე. იუდასთან მიმართებაში ეს ნიშნავს: სამოციქულო ადგილი მისი იყოს უქმი. უღირსის ნაცვლად იგი შეცვლილი უნდა იყოს ღირსეულით, რაც გამოხატულია ფსალმუნებში: „მისი განსაგებელი სხვამ მიიღოს“. რამდენადაც წინასწარმეტყველება იუდას მოციქულებრივი ხარისხიდან ამოვარდნის შესახებ აღსრულდა, ამდენად უნდა აირჩეს სხვა და ასეთი სახით უნდა შეივსოს უფლის მიერ დადგენილი რიცხვი მისი 12 მოციქულისა. რასაკვირველია, ამ შევსებაზე დავალება მიცემული ჰქონდათ უფლისაგან, რომელიც სახარებებში არ არის აღწერილი. ახალი მოციქულის არჩევის ერთადერთ და აუცილებელ პირობად მოც. პეტრე მიიჩნევს იმას, რომ ამოსარჩევი მოწმე და თვითმხილველი უნდა იყოს უფლის იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და მოღვაწეობის. ეს იმიტომ, რომ მოციქულები, უპირველეს ყოვლისა „მოწმეებია“, როგორც თვით უფალმა უწოდა მათ. (ლკ. 24:18). მათ უნდა დაამოწმონ მთელი მსოფლიოს წინაშე იმის შესახებ, რაც მათ თვით იხილეს და გაიგონეს. (საქმე 4:20). – ამაშია მათი ქადაგების ძალა, განსაკუთრებულობა და დამაჯერებლობა. სხვა მხრივ, უფალთან სამწელიწადნახევრის განმავლობაში გამუდმებული მყოფობა – საკმაო თავმდებობა მისი რწმენისა, სიყვარულისა და უფლისადმი ერთგულებისა: ასეთ ადამიანს შეიძლება ანდო მოციქულებრივი მსახურება. „**იოანეს ნათლისცემიდან მოყოლებული ჩვენგან მისი აღსასრულის დღემდე**“ – აქ მითითებულია უფლის მიწაზე საზოგადოებრივი მსახურების დასაწყისი და დასასრული, რომლის უშუალო მოწმე უნდა ყოფილიყო ამოსარჩევი. „**ადღგომის მოწმე**“ – მეორე მეტად აუცილებელი პირობა არჩევისა. მთავარი საგანი მოციქულებრივი მოწმობისა – ეს მოწმობაა ქრისტეს ადღგომის ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ქრისტიანული მაცხოვრებელი სარწმუნოების ძირითად ჭეშმარიტებას. აუცილებელია, რათა ამოსარჩევი მოციქული იყოს მოწმე ჯვარცმული და მკვდარი მესიის ადღგომის სინამდვილისა.

ამ პირობებს აკმაყოფილებდა 2 პიროვნება: იოსები – ბარსაბად წოდებული, რომელსაც იუსტოსი შეარქვეს და მატათა. ორთავე ისინი უცნობია სახარების ისტორიაში. არის მოსაზრება, რომ ისინი მიეკუთვნებიან უფლის სამოცდაათთაგან მოწაფეთა რიცხვს. გამორჩევა ამ ორთაგან ერთ-ერთისა

მისცეს უფალს წილის ყრის მეშვეობით გულმოდგინე ლოცვის შემდეგ იმის შესახებ, რათა ეჩვენებინა უფალს, თუ ვის ირჩევს იგი. მაშასადამე, ახალი მოციქულის არჩევაში აღსრულდა 2 მოქმედება – კაცობრივი და ღვთაებრივი. მოციქულები მორწმუნე საზოგადოებასთან ერთად ირჩევენ ორს. უფალი მათი ლოცვით მიუთითებს ერთს. გულთამხილავმა უფალმა, რომელმაც იცის თითოეული ადამიანის სული, იცოდა, რომელი ამ ორთაგან შეძლებდა მასზე დაკისრებული მსახურების ტვირთვას. წილისყრით განსაზღვრა ძველადმოქმისეული დადგენილებაა და წილისყრის მეშვეობით საქმის გადაწყვეტაში დაინახეს თვით უფლის მოქმედება (იხ. ლევ. 16:5, რიცხ. 17:1, 1მეფ. 10:20). ჩვეულებრივ ფურცელზე წერდნენ სახელებს: ფურცლებს ყრიდნენ ჭურჭელში, ურევდნენ და ვისი სახელიც პირველი ამოვიდოდა ჭურჭლიდან, სწორედ ის ითვლებოდა ამორჩეულად. „ერგო წილი მატათას“ – მასში დაინახეს უფლის ნება. „და მიეთვალა თერთმეტ მოციქულს.“ წმ. მატათამ იქადაგა სახარება იუდეაში და ეთიოპიაში. და ჩაქოლეს იგი ქვით იერუსალიმში ანანია მღვდელმთავრის განჩინებით, რომელიც განსაკუთრებით ვერ იტანდა ქრისტიანებს. წმ. მატათას ხსოვნა აღესრულება ძვ.სტ. 9 აგვისტოს. მეორე კანდიდატი იოსები, იგივე იუსტოსი, შემდეგში გახდა ეპისკოპოსი ელევფეროპოლისა იუდეაში და მანაც დაასრულა თავისი ცხოვრება მოწამებრივი სიკვდილით. მისი ხსოვნა აღესრულება 30 ოქტომბერს.

თავი 2

სულიწმიდის გარდამოსვლა 50-ე დღეს მოციქულებზე და ხალხის გაოგნება (1-13 მუხლები), მოციქულ პეტრეს სიტყვა და მისი ზემოქმედება მსმენელებზე (14-42), პირველი ქრისტიანული საზოგადოების რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა იერუსალიმში (43-47).

სულიწმიდის გარდამოსვლა 50-ე დღეს მოციქულებზე და ხალხის გაოგნება

(1-13 მუხლები)

სულიწმიდის გარდამოსვლის უდიდეს მოვლენას ზოგიერთები სრულიად სამართლიანად უწოდებენ „ქრისტიანული ეკლესიის შობის დღეს“. ეს მოვლენა, ამასთან ერთად, არის ღვთის აღმშენებლობის ყოველი საქმის დაგვირგვინება – კაცობრიობის ხსნის საქმისა. სულიწმიდით განათლებულმა მოციქულებმა მამაცურად და უშიშრად, დიდი მოკრძალებით დაიწყეს ქრისტეს შესახებ ქადაგება, რომელიც ჯვარს ეცვა, მოკვდა და აღსდგა მკვდრეთით. და ქრისტეს ეკლესიამ დაიწყო ზრდა და გამრავლება თავდაპირველად პალესტინაში იუდეველთა შორის, ხოლო შემდეგ წარმართთა შორის მთელ დედამიწაზე – „ქვეყნის კიდემდეც კი“. (საქმ. 1:8)

მოხდა ეს იუდაისტური ერგასის დღესასწაულის დადგომის დღეს. მოსეს სჯულის მიხედვით, ეს დღე უნდა ეხეიმათ 50-ე პასექის შაბათის მეორე დღის შემდეგ, შვიდი შვიდეულის გადათვლიდან. ქრისტეს სიკვდილის წელს იუდეველთა პასექი ემთხვეოდა პარასკევის მწუხრს. პასექის პირველი დღე უწევდა შაბათს, შაბათის მეორე დღეა ჩვენებურად უწევდა კვირას. აქედან უნდა ავითვალთ 7 შვიდეული. მაშასადამე, იუდეველთა ერგასი უწევდა იმ წელს კვირას და ემთხვეოდა, გამომდინარე აქედან, ქრისტიანული

სულთმოფენობის დღეს. იუდეველთა ერგასი დაწესებული იყო სამკალის საკურთხევლად, რამდენადაც ამ დღეს მთავრდებოდა მკა, რომელიც იწყებოდა ეგრევე პასექის შემდეგ. ამ დღესასწაულით აღინიშნებოდა ებრაელებში ასევე ხსენება სინას მთის სჯულისა. ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი დღესასწაული სამთა შორის (პასექი, ერგასი, კარვობა), რომლებზეც მამრობითი სქესის ყველა წევრს უნდა მიეღო მონაწილეობა იერუსალიმში. იუდაისტური ერგასისა და ქრისტიანული სულთმოფენობის დამთხვევა, რასაკვირველია, არაა შემთხვევითი და ერთობ სიმბოლურია.

ამ დღეს უფლის მოწაფეები დავაჟაკდნენ და სულიერად გაიზარდნენ. მაშინ გადმოვიდა მათზე სულიწმიდის ნიჭები მთელი სისავესით და ისინი თვით იქცნენ პირველ ნაყოფებად ქრისტეს გამომსყიდველი საქმისა. მათ გარდა, პირველ ნაყოფებად ის ადამიანებიც იქცნენ, რომელნიც ამ დღეს მონათლნენ, 3 000 კაცი. როგორც ქრისტიანულმა პასექმა შეცვალა იუდაისტური პასექი, ასევე ქრისტიანულმა სულთმოფენობამ შეცვალა იუდაისტური, ძველ აღთქმისეული ერგასი.

„ყველანი ერთად იყვნენ“. ერთად იყვნენ შეკრებილი არა მხოლოდ 12 მოციქული, არამედ სხვა მორწმუნენიც, 120-მდე კაცი. მათი შეკრება იმავე ქოხში მოხდა, სადაც მუდმივად იკრიბებოდნენ მოციქულები. აქ აღასრულა ასევე უფალმა საიდუმლო სერობაც. **„და იქმნა მოულოდნელად ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ“.** ისინი ელოდნენ სულიწმიდის გარდამოსვლას, მაგრამ, რასაკვირველია, არ იცოდნენ ზუსტად როდის მოხდებოდა ეს მოვლენა, რომ ეს მოხდა მოულოდნელად მათთვის, მით უმეტეს, რომ ეს იყო დილის ლოცვების უამი და ისინიც ემზადებოდნენ ეკლესიაში წასასვლელად. გამოთქმა **„ხმაური ზეციდან თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო“** მიუთითებს, რომ ეს არ იყო საკუთრივ ქარი, არამედ მხოლოდ ხმაური, რომელიც მოაგონებდა ვინმეს ქარიშხალს. ეს ხმაური მოდიოდა ზემოდან ქვემოთ, ადავსო მთელი სახლი და იმდენად ძლიერი იყო, რომ მრავალრიცხოვანი ხალხის ყურადღება მიიქცია, რომლებიც ზემოზე შეიკრიბნენ იერუსალიმში.

„და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლოვანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს“ – ენები მხოლოდ ჰგავდნენ ცეცხლს, მაგრამ ცეცხლისანი არ იყვნენ, როგორც ხმაური იყო მსგავსი ქარისა, მაგრამ ქარი არ იყო. ხმაური იყო, როგორც ასეთი, სმენისათვის სულიწმიდის გარდამოსვლის ნიშანი, ხოლო ენები – ხედვისათვის. გაგონილი ძლიერი ხმა წარმოადგენდა უდიდეს ძალას, რომელსაც სულიწმიდა ანიჭებდა მოციქულებს და ყველა მორწმუნეს, ცეცხლოვანი ენები სახეა იმისა, რომ ყველა იქ მყოფმა მიიღო მგზნებარე საუბრის ნიჭი. როგორც ცეცხლი წვავს ყოველივე არაწმიდებას, ასევე სულიწმიდა აღკვეთს ყოველგვარ უსამართლობას.

ყველა ამ გარე მოვლენას უშუალოდ თანსდევდა შინაგანი: **„ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე“.** აქამდეც იყვნენ მოციქულები დაჯილდოებულნი ზოგიერთი სულიერი ნიჭით, ამჟამად კი ისინი აღივსნენ სულიწმიდით. მათზე გადმოვიდა მთელი სისავესე მადლიანი სულიერი ნიჭებისა – ისინი გარდაიქმნენ, განიწმინდნენ, განათლდნენ სულიწმიდის მოქმედებით, იქცნენ თითქოსდა სრულიად სხვაგვარნი, ახალი ადამიანები, ხოლო სულიწმიდა იქცა მათ სულისჩამდგმელად, შთამაგონებლად და ხელმძღვანელად. გარეგნულად ეს მადლიანი გარდაქმნა მოციქულთა გამოიხატა იმით, რომ **„იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ“.** ეს ნაწინასწარმეტყველები იყო უფლის მიერ. (მარკ. 16:17). როგორც კი მათ სულში ააღდა ეს ღვთაებრივი ცეცხლი, აღტყინებულებმა წმიდითა სიხარულითა, დაიწყეს ქება-დიდების შესხმა ღმერთისა, აღიდებდნენ რა ღვთის დიდებულებას. უფლისადმი მადლიერებას ამჯერად ისინი გამოხატავდნენ

ხმამაღლა სხვადასხვა ენაზე, რამაც უამრავი იერუსალიმში ზეიმზე ჩამოსული ადამიანის ყურადღება მიიქცია, მათ შორის იყვნენ არა მარტო ახლო, არამედ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულები. წიგნის ავტორი განზრახ ასახელებს ყველა ამ ქვეყანას იმისათვის, რათა აჩვენოს, რამდენად სხვადასხვაგვარ და მრავალრიცხოვან ენაზე დაიწყეს ქრისტეს მოწაფეებმა ლაპარაკი სულიწმიდის მათზე გადმოსვლის შემდეგ. აქ იყვნენ მაცხოვრებლები აღმოსავლეთ აზიიდან და დასავლეთიდან, აფრიკიდან და ევროპიდან და ყველა ისინი ისმენდა მოსაუბრეთა შორის თავის ენას. ესეც სიმბოლური იყო. აქ ჩვენ ვხედავთ ქრისტეს ეკლესიის წინასახეს, რომელშიც უნდა შევიდეს ყველა ტომი და ერი, რათა ერთითა გულითა და ბაგითა აღიდოს ღმერთი. გასაგებია ენათა ასეთი ნიჭის მნიშვნელობა: იგი უნდა ქცეულიყო ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების საშუალებად დედამიწაზე. ამასთან გვახსენდება, თუ ეს ნიჭი ღვთისა ერთ დროს როგორ იქცა ადამიანური ამპარტავნების დასასჯელად. იყო დრო, როცა მთელ დედამიწაზე ერთი ენა არსებობდა (დაბ. 11:1), მაგრამ ადამიანმა თავისი ამპარტავნების გამო ჩაიფიქრა უგუნური საქმე, რომელიც ღმერთისაგან დაისაჯა ამპარტავნებზე სხვადასხვა ენების გადმოსვლით, რამაც აიძულა ისინი დაენებებინათ თავიანთი საქმისთვის და გაფანტულიყვნენ სხვადასხვა მხარეს. ამჯერად კი ერთა დაყოფა იქცა საშუალებად, რომლითაც დაყოფილი ერები უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ ორგანიზმად – ერთ ქრისტეს ეკლესიაში. ბრწყინვალედ არის გამოხატული ეს სულთმოფენობის დღესასწაულის კონდაკში: „რაჟამს იგი გარდამოხდა და ენანი შეურივნა, მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყვნა, ერთბამად მიიყვანნა იგინნი, ამისთვისცა ერთობით ვადიდებდეთ სულსა ყოვლადწმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისასა“.

„იერუსალიმში ცხოვრობდნენ იუდეველნი, ღვთისმომშიში კაცები, ყველა ხალხთაგან, რომელნიც კი ცისქვეშეთში არიან...“ აქ საუბარია როგორც იერუსალიმში მუდმივად მაცხოვრებელ იუდეველებზე, ასევე იმ იუდეველებზეც, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ იერუსალიმში დროებით ერგასის დღესასწაულზე.

„როცა ეს ხმაური მოხდა, ბევრმა მოიყარა თავი და შეშფოთდა, ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე“. ცხადია, ხმაური, რომელიც სახლზე ზეციდან გადმოვიდა ისმოდა მნიშვნელოვან სივრცეზე, ამავე დროს ისე, რომ მისი მსმენელნი ქალაქში ამჩნევდნენ, რომ იგი მიემართებოდა სწორედ იმ სახლისკენ, სადაც მოციქულები იმყოფებოდნენ. ასეთმა უჩვეულო მოვლენამ სახლისკენ უამრავი ხალხი მიიზიდა. სახლის წინ შესაძლებელია დიდი მოედანი ყოფილიყო. ხალხი გაოგნებული იყო გაუგებარი მოვლენით: მოციქულები, რომლებიც წარმოშობით გალილეელები იყვნენ, სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, ასე რომ თითოეულ იქ მყოფს საკუთარ ენაზე ესმოდა საუბარი. ხალხს უკვირდა, საიდან იცოდა ამ გაუნათლებელმა ადამიანებმა უცხო ენები. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოციქულები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ადიდებდნენ ღმერთს, გამოვიდნენ სახლის გარეთ, ხოლო ხალხი კი უსმენდა მათ. ავტორი ჩამოთვლის უამრავ ქვეყანას, საიდანაც წარმოდგებოდნენ ეს ადამიანები.

„გაოგნდა ყველა და საგონებელში ჩაცვივდნენ, ერთმანეთ ეუბნებოდნენ: ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდეს? სხვები კი დაცინვით ამბობდნენ: ტკბილით არიან გამტყვრალნი“. – აქედან ჩანს, რომ ყველამ ერთნაირად არ მიიღო ეს სასწაულებრივი მოვლენა. კეთილადმსურველი ადამიანები სამართლიანად ხედავდნენ ამაში არაჩვეულებრივ ნიშანს, ცდილობდნენ რა ჩაწვდომას, თუ რას მოასწავებდა ეს ყველაფერი. მაგრამ ურწმუნო, ბოროტი და სუსტადმოაზროვნე ადამიანები, შესაძლებელია მათ შორის ქრისტე მაცხოვრისადმი მტრულად განწყობილნიც კი იყვნენ ფარისეველთა და სადუკეველთა პარტიიდან,

დამცინავად განმარტავდნენ მომხდარ მოვლენას – აბრალებდნენ ღვინის მოქმედებას.

მოც. პეტრეს სიტყვა და მსმენელებზე მისი ზემოქმედება (14-42 მუხლები)

ერთნის გაოცებამ და მეორენის დამცინობამ მოციქულებში აღძრეს სურვილი მიემართათ სიტყვით ხალხისთვის და განემარტათ მათთვის მომხდარი სასწაული. ენათა ნიჭი გადმოვიდა ყველა მოციქულზე, რომლებიც სახლში იმყოფებოდნენ. ესელა ყველასაგან გამოყოფა ხდება მხოლოდ ქრიტეს 12 უახლოესი მოწაფის და ყველას მათის სახელით წმ. მოც. პეტრე მიმართავს ხალხს პირველი მოციქულებრივი ქადაგებით. მან „ხმა აღიმადლა“ – სიტყვა მისი საესეა უდიდესი გაბედულებით, იგი სახეიმოა, აშკარაა და შთამბეჭდავია. შეკრებილებში წმ. მოც. პეტრე მიმართავს იერუსალიმის ყველა მკვიდრს, უბრალოდ და წყნარად იგი აღმოფხვრის ეჭვებს იმაში, რომ უფლის მოწაფეები „არ არიან მთვრალეები“, „ვინაიდან ახლა დღის მესამე საათია“. ეს იყო დილის ლოცვის დრო, ამ დრომდე არავინ იუდეველთაგანი არაფერს ჭამდა, მით უმეტეს ასეთ დიდ დღესასწაულზე, როგორცაა ერგასი. მომხდარის ასახსნელად წმ. პეტრეს მოჰყავს ძველადტქმისეული წინასწარმეტყველება იოველისა (2:28-32), რომელიც 800 წელზე მეტი წლის წინ წარმოითქვა. ამ წინასწარმეტყველებაში უფალი წინასწარმეტყველის ბაგეებით აძლევს ალექმას ყველა მორწმუნე ადამიანზე სულიწმიდის ნიჭების უხვად გარდამოსვლის შესახებ, რასთან ერთადაც უერთდება მსჯავრის მუქარა უწმინდურებზე და ხსნის ალექმა მართლებზე. წინასწარმეტყველის დასაწყისი სიტყვებია: „ამის შემდეგ“ – წმ. პეტრე ცვლის გამოთქმით: – „იქნება უკანასკნელ დღეებში“ – გამოთქმა, რომელიც წინასწარმეტყველებთან მიეკუთვნება ძვ. ალექმის დასასრულს და ახ. ალექმის დასაწყისს. ცვლის რა ამ გამოთქმით განუსაზღვრელ გამოთქმას „ამის შემდეგ“, მოციქული ასეთი სახით, რასაკვირველია, გამორიცხავს ამ წინასწარმეტყველების დამოკიდებულებას რომელიმე ძვ. ალექმის დროსთან, არამედ მიაწერს მის აღსრულებას ახ. ალექმის დროს.

„ჩემი სულისაგან მოვაფენ ყოველ ხორციელზე“, წინასწარმეტყველების ნამდვილი სიტყვების ადგილას „მოვაფენ ჩემს სულს“, – აზრი იგივეა, მაგრამ მოციქული მიუთითებს მხოლოდ სულიწმიდის ნიჭების დაყოფაზე ცალკეულად თითოეულ მორწმუნეზე. „მოფენა“ არის სახე სულიწმიდის ამ ნიჭების გადაცემა განსაკუთრებული სიუხვით. მოფენა „ყველა ხორციელზე“ მიუთითებს სულიწმიდის ნიჭების გადაცემას ყველა ადამიანზე. აქ მხედველობაში არიან, რათქმაუნდა, ყველა ისინი, ვინც ჩაებმება გახსნილ მესიის სასუფეველში (შეად. იასაია 40:5; 66:22-24); მხოლოდ ქრისტეს სასუფეველის წევრები მიიღებენ სულიწმიდის ამ მადლს. ქრისტემდე უდიდესი ნაწილი კაცობრიობისა – წარმართები – სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ სულიწმიდის ნიჭებს, იუდაისტებში სულიწმიდის ნიჭები გადაეცემოდა მხოლოდ ზოგიერთებს, იყვნენ რა გამორჩეულნი განსაკუთრებულ მსახურებაზე, ქრისტიანობაში კი – თითოეული მორწმუნე ხდება ღირსი ამ მადლიანი ნიჭების მიღებისა საიდუმლოების მეშვეობით. ამის აღსრულება კი დაიწყო ერგასის დღიდან. მაგალითისათვის აქ მითითებულია ზოგიერთი გამოვლინება სულიწმიდის ნიჭებისა, როგორც ყველაზე უფრო ცნობილი ძველ ალექმაში წინასწარმეტყველება, ხილვა, სიზმრისეული ხილვა, როგორც საშუალება ღვთაებრივი განცხადებისა ადამიანებზე. „თქვენი ძენი და თქვენი ასულნი და თქვენი ჭაბუკნი... თქვენი მოხუცები...“ – ამით მითითებულია, რომ სულიწმიდა

მოფენება თავისი ნიჭებით ყველაზე, სქესისა და ასაკის განურჩევლად. აღსანიშნავია გამოთქმა: „ჩემს მონებზე და ჩემს მსევლებზე“ – დედანში უბრალოდ: „მონებზე და მსევლებზე“, ძველ აღთქმაში არ იყო შემთხვევა, რომ მონებს მიეღოთ მაღლიანი ნიჭები სულიწმიდისა და ეწინასწარმეტყველათ, – ახალ აღთქმაში მონობის ბორკილები დაინგრევა და სულიწმიდა მოჰფენს თავის ნიჭებს ყველაზე მდგომარეობის განურჩევლად, ვინაიდან ქრისტეს სასუფეველში უფლის წინაშე ყველა თანაბარია – ყველა უფლის მონაა.

ამ წინასწარმეტყველებით სულიწმიდის ხეაგრიელად მოფენის შესახებ უერთდება წინასწარმეტყველება უწმინდურ სამყაროზე სამსჯავროს შესახებ და ჭეშმარიტი ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემის გადარჩენის შესახებ. ღვთის ამ უკანასკნელი საშინელი სამსჯავროს მოახლოების ნიშნებია: „სისხლი და ცეცხლი და კვამლის ბოლქვები“. ეს - სისხლისღვრის, აჯანყების, ომების, გაოსრების სიმბოლოებია. ამას უერთდება ნიშნები ზეცაზეც: მზის დაბნელება და მთვარის სისხლიანი სახე. ყველა ეს საშინელებები წმინდა მწერლების ხატოვან ენაზე აღნიშნავენ საერთოდ ყველა იმ დიდ ვარამს კაცობრიობის სამყაროში, რომლებიც გამოვლინდება სამყაროზე ღვთის მსჯავრის მაუწყებლობის მიერ. ყოველივე ეს მოხდება „ვიდრე დადგებოდეს უფლის დღე, დიადი და გაცხადებული“. ძვ. აღთქმაში ამ „დღის“ ქვეშ იგულისხმებოდა „მესიის დღე“, ან საერთოდ მესიის დრო, ახალ აღთქმაში – სამყაროზე მესიის სამსჯავროს დღე, საშინელი სამსჯავროს დღე.

სამსჯავროსაგან, ერთი მხრივ, „გადარჩება“ ის, „ვინც მოუხმობს უფლის სახელს“ – რასაკვირველია, არა მხოლოდ დროში და არა ბაგეებით მხოლოდ. „მოუწოდებს არა უბრალოდ – გვიხსნის წმ. იოანე ოქროპირი, ვინაიდან არა ყოველი, ბრძანებს ქრისტე, რომელიც მეუბნება მე: უფალო, უფალო, შევა ცათა სასუფეველში, არამედ მოუწოდებს გულმოდგინებით, კარგი ცხოვრების უამს, ჯეროვანი შემართებულობით“. იგულისხმებიან აქ უფალში ჭეშმარიტად მორწმუნე მართლები.

რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ წინასწარმეტყველებას ერგასის დღის მოვლენებთან?

როცა მოციქული უხსნიდა მსმენელს, რომ სასწაულებრივი მოვლენა, რომლის მოწმეებად ისინი იქცნენ, არის იოველის წინასწარმეტყველების აღსრულება, ეს თავისთავად ბადებდა აზრს, რომ, მაშასადამე, მესიანური დრო უკვე დადგა, მესია უკვე მოვიდა, მაგრამ სად არის იგი და ვინ არის იგი? და აი, თავის შემდგომ სიტყვაში წმ. მოც. პეტრე იწყებს თავის კეთილმანათლებლობას ქრისტეს შესახებ. იგი აუწყებს მსმენელებს, რომ მესია გამოცხადდა „იესო ნაზარეტელის, კაცის, დამტკიცებულის ღვთისაგან თქვენთვის ძალით, სასწაულებითა და ნიშნებით...“. ყველასათვის ცნობილ ქრისტეს სასწაულებს მოციქული შეახსენებს როგორც მისი მესიანური ღირსების მოწმობას. ერთი მხრივ, იმ დროის იუდეველთათვის ჯვარი, ქრისტესმიერ ტვირთული, იყო დიდი ცდუნება. რათა აიცილოს ეს ცდუნება, წმ. მოციქული ამატებს, რომ გაცემა და მოკვდინება ქრისტესი აღსრულდა „ღვთის განჩინებული ზრახვითა და წინასწარცნობით“. ცდუნების აცილების მიზნით, რომ ღმერთი შეიძლება ეცვას ჯვარს და მოკვდეს, წმ. მოც. პეტრე საუბრობს საკუთრივ ქრისტეზე იუდაისტური გაგებით, როგორც ადამიანზე, დავითის ძეზე, ამიტომაც გამოხატულია, რომ „ღმერთმა აღადგინა იგი“, თუმცა ქრისტე, როგორც ძე ღვთისა, აღდგა თავისი საკუთარი ძალითა და უფლებით. (იხ. ინ. 10:18). საუბრობს რა ქრისტეს აღდგომის შესახებ, წმ. პეტრეს მოჰყავს ებრაელთათვის დამაჯერებელი მოწმობა დავით მეფისა 15 ფსალმუნიდან 8-11 მუხლებში. ფსალმუნთმთქმელი გამოხატავს ამ ფსალმუნში მართალს, რომელიც საუბრობს თავის შინაგან მჭიდრო ურთიერთობაზე ღმერთთან და გამოხატავს სიხარულს იმის შესახებ, რომ ეს ურთიერთობა არ იქნება ჩაგდებული

სიკვდილით, რომ მისი სული არ დარჩება ჯოჯოხეთში და თავად მისი სხეული არ გადაეცემა ხრწნას, არამედ დატკბება ღმერთში სიცოცხლის სისრულით და მასთან ურთიერთობაში სიხარულით. მოციქული პირდაპირ მიუთითებს, რომ დავითი ამას ვერ იტყოდა თავის თავზე, რამდენადაც იგი **„აღესრულა და დაიკრძალა“**, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, რაც ეს დავითმა თქვა „მის შესახებ“, ე.ი. ქრისტეს შესახებ. მან, როგორც წინასწარმეტყველმა, ეს თქვა სიტყვის ვიწრო გაგებით ან მომავლის წინასწარმხედველმა, და **„იცოდა, რომ ფიცით შეჰფიცა მას ღმერთმა, რომ მისი სიხარულის ნაყოფს დასვამდა მის ტახტზე“**. ამას ნამდვილად ვპოულობთ ჩვენ მეორე მეფეთას წიგნში (7:12-16). აქ ღმერთმა ისეთი აღთქმა მისცა დავითს მისი სახლის ურყეობის შესახებ და მისი ტახტისა და სამეფოს მარადიულობაზე, როგორც შეიძლება აღსრულებულიყო, რასაკვირველია მესიაზე მხოლოდ, რომელიც მოხდებოდა ხორციელად დავითის გვარიდან. დავითმა მაშინ ეს ასეც გაიგო და განადიდა ღმერთი გალობით 18-28 მუხლებში. 131 ფსალმუნში საუბარია იგივე წინასწარმეტყველებაზე უფლის შესახებ, რომ დავითის ტომიდან წარმოდგება მესია, თანაც იგი წოდებულია „**ფიცით**“: **„შეჰფიცა უფალმა დავითს ჭეშმარიტად, არ გადაუხვევს მისგან...“** ნაწინასწარმეტყველების სრული გარდაუვალობის აზრით (ფს. 131:11). **„...იცოდა, რომ ფიცით შეჰფიცა მას ღმერთმა... აღუდგენდა ქრისტეს ხორციელად...“** დავითის მიერ 15-ე ფსალმუნში თქმული აღსრულდა არა თავის თავზე, არამედ მის ხორციელ მემკვიდრეზე – ქრისტეზე, ვინაიდან ქრისტე, მოკვდა რა ხორციით, ჩავიდა ჯოჯოხეთში თავისი სულით, მაგრამ არ დარჩა იქ, არამედ უქადაგა იქ მყოფ სულებს მთელი კაცობრიობის მისი სიკვდილით გამოსყიდვის შესახებ, კვლავ გააცოცხლა თავისი ხორცი, რომელსაც არ უხილავს ხრწნილება და აღდგა მკვდრეთით (იხ. 1 პეტრე 3:18-19). „ამ იესოს“ აღდგომის ჭეშმარიტებას წმ. პეტრე ამოწმებს ყველა მორწმუნის მოწმობით: **„რის მოწმენიც ჩვენ ვართ“**. შემდეგ წმ. პეტრე მოწმობს ქრისტეს ამაღლების შესახებ, რის შედეგად იქცა სულიწმიდის მადლის ეს გარდამოსვლა მორწმუნეებზე. ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება წმ. პეტრემ დაამტკიცა დავითის წინასწარმეტყველებაზე, რაც მის მსმენელ იუდეველთათვის განსაკუთრებით აუცილებელი იყო, ასევე უფლის ამაღლების ჭეშმარიტებასაც იგი ამტკიცებს 109-ე ფსალმუნის 1 მუხლის დამოწმებით. დავითი, როგორც ცნობილია, თვით არ ამაღლებულა ზეცად, მაგრამ საუბრობს თავის უფალზე, რომ ღმერთმა დასვა იგი თავის მარჯვნივ; ცხადია, რომ დავითი არა თავის თავზე საუბრობს, არამედ სხვა პირზე და სახელდობრ – მესია იესოზე ნაზარეთიდან, რომელიც ამაღლდა ზეცად. უფალმა იესო ქრისტემ თავისი მიწიერი ცხოვრების დროს თავის თავზე მიიღო ეს წინასწარმეტყველება (მთ. 22:42-45), ხოლო წმ. პეტრე აწ მას უფლის ამაღლებას და მის მარჯვნივ მამისა ჯდომას მიაწერს.

დასასრულს, მოციქული აკეთებს პრაქტიკულ დასკვნას ყოველივე თქმულიდან: **„მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ ღმერთმა გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით“** – მათ მიერ ჯვარცმული იესო სწორედ ის მესიაა, რომლის შესახებ წინასწარმეტყველებდნენ ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები. **„რომელიც თქვენ ჯვარს აცვით“** – აქ გაბედული და ძლიერი წარმართვაა საუბრის, რომლითაც მოციქულს სურდა, როგორც მახვილით, მსმენელთა გულების განგმირვა: ღმერთმა ისე აღამაღლა და განადიდა იგი, ხოლო თქვენ ჯვარს აცვით. „ბრწყინვალედ დაასრულა ამით თავისი სიტყვა – ბრძანებს წმ. იოანე ოქროპირი – რათა მის მეშვეობით შეარხიოს მათი სულები“.

წმ. მოც. პეტრეს სიტყვამ ნამდვილად მოახდინა ძლიერი გავლენა მსმენელებზე. მათ **„გულზე მოხვდათ“**, ე.ი. გულით შემუსვრილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, წარმოიდგინეს რა თავი ცხადად, თუ როგორ მიიმედ შესცოდეს

ღმერთის და მესიის წინაშე. მოციქულის ღვთივმთავრებულმა სიტყვამ, დამტკიცებულმა გამაოგნებელი მოვლენით, რომლის მოწმეებიც ისინი გახდნენ, მტკიცედ დაარწმუნა ისინი იესო ნაზარეტელის მესიანურ ღირსებაში. და მათ მიმართეს პეტრეს და სხვა მოციქულებს კითხვით, სრული პატივით, სიყვარულით და ნდობით: **„როგორ მოვიქცეთ კაცნო, ძმანო?“** – ე.ი რა გავაკეთოთ, რათა ჩვენი დანაშაული გამოვასწოროთ, მივიღოთ ცოდვათა შენდობა და ჩავირიცხოთ უარყოფილი მესიის საზოგადოებაში?

ღმერთთან შერიგების გზად წმ. პეტრე ყველა მოციქულის სახელით მიუთითებს არა რომელიმე ძველი აღთქმის სამართლის გარეგნულ საქმეებში, არამედ სინანულში და ნათლობაში: **„მოინანიეთ და ყოველი თქვენთაგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს“**. აქ მოციქული იუდეველთაგან მოითხოვს იგივე პირობებს მესიის სასუფეველში შესვლისათვის, რომლებსაც ადრე წმ. იოანე ნათლისმცემელი და უფალი იესო ქრისტე მოითხოვდნენ თავიანთი ქადაგების დასაწყისში (იხ. მთ. 3:2; 4:17). პირველი და აუცილებელი პირობა ამისათვის სინანულია, ე.ი. გადაწყვეტილება საფუძვლიანად შეიცვალონ თავიანთი ცხოვრება, იუდეველთათვის კერძოდ – უარი თქვან იუდეველობაზე და მოიქცნენ ქრისტიანობაში. მეორე პირობა – იესო ქრისტეს სახელით ნათლობაა. ეს სიტყვები არ ეწინააღმდეგება თვით უფლის მცნებას – ნათლობას „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ისინი აღნიშნავენ მხოლოდ სარწმუნოების მთავარ შინაარსს და მოსანათლავეთა აღმსარებლობას – მათ უნდა ირწმუნონ ქრისტეში, როგორც მესია და ასეთი რწმენით შეუდგნენ ნათლობას. ამ ორი საქმისთვის მოციქული ჰპირდება მათ მათთვის ორ გადამრჩენელ შედეგს: ცოდვათა მიტევებას და სულიწმიდის ნიჭს. ადამიანის ხსნა ამ ორი გზით აღესრულება: ძველი ადამიანის მისი ცოდვილი საქმეების გაძარცვით და ახალში შემოსვით – ახალქმნილება ადამიანის სულიწმიდის მადლის ძალით.

„გინაიდან თქვენ გეკუთვნით აღთქმა და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი, ღმერთი ჩვენი“ – ღვთის აღთქმა, იოველ წინასწარმეტყველის მეშვეობით მიცემული სულიწმიდის მოფენის შესახებ, ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, ყველა იუდეველს, როგორც ღვთის რჩეულ ერს, ხოლო შემდეგ დედამიწის ყველა ერს, ე.ი. წარმართებს, რომელთაც ასევე მოუწოდებს უფალი თავის სამეფოში. ამის შესახებ წმ. პეტრე, თუმცა, საუბრობს შეფარულად, უწოდებს რა წარმართებს „შორეულად“, რათა ეს აზრი იუდეველებს დამაბრკოლებლად არ მოეჩვენოს, რამდენადაც ისინი მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ მესიის სასუფეველის ღირსად.

„და მრავალი სხვა სიტყვითაც...“ – ავტორი ყველაფერს არ გადმოგვცემს, რაცა თქვა წმ. პეტრემ მსმენელთა მიმართ, არამედ გადმოგვცემს მხოლოდ ყოველივე თქმულის არსს: **„ისხენით თავი ამ გარყენილი მოდგმისაგან“**, ე. ი. ესწრაფეთ გაექცეთ ამ განკითხვას, რომელიც ელოდება ჭირვეულ იუდეველებს, თავიანთი გამძაფრებული სიჯიუტით არ სურთ რა დარწმუნდნენ ქრისტე მესიაში. ამ ჭირვეულ იუდეველ მოდგმაზე მსჯავრი მალე აღსრულდა, უკვე 70 წელს, რომაელთა მიერ იერუსალიმის დანგრევისას. იუდეველები, რომლებიც ქრისტეში მოიქცნენ გაექცნენ ამ საშინელი მსჯავრის საშინელებებს, რომლებიც თავს დაატყდა ჭირვეულ ებრაელთა მოდგმას: ისინი, გაიხსენეს რა უფლის დარიგება (მთ. 24:15-16), დროულად გაიქცნენ იერუსალიმიდან. ეს მოციქულებრივი დარიგება მიეკუთვნება, რასაკვირველია, ყოველი დროის ყოველ მორწმუნეს, რომლებიც ყოველთვის უნდა გადარჩნენ წუთისოფლისაგან, რომელიც ბოროტებასა ზედა დევს, ქრისტეში რწმენით და კეთილშობილური ცხოვრებით, რათა გაექცნენ ღვთის სასჯელს, რომელიც ცოდვილ სამყაროს ელოდება.

ამ მოვლენის მოქმედება – სულიწმიდის მოციქულებზე გადმოსვლა და მოც. პეტრეს სიტყვა – იყო არაჩვეულებრივად დიადი: პირველდაწყებით არაქრისტიანულ მცირე საზოგადოებას „იმ დღეს შეემატა 3 000-მდე სული“, რომლებმაც წმ. ნათლობა მიიღეს.

იერუსალიმში პირველი ქრისტიანული თემების რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა (მუხლები 42-47)

ვინც ახლად მოინათლა „გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, თანამოზიარობაში, პურის გატეხასა და ლოცვებში იყვნენ“ – ნათლობისათვის მოითხოვებოდა მხოლოდ გულწრფელი რწმენა ქრისტეში და სინანული, ახალი სარწმუნოების შესწავლა კი ხდებოდა შემდეგ, თანდათანობით – მოციქულები ასწავლიდნენ შემოერთებულებს მათთვის ახალი სარწმუნოების ჭეშმარიტებებს. ყველა მორწმუნე ერთად წარმოადგენდა თითქოსდა ერთ მეგობრულ ოჯახს; ამ მათ ძმურ ერთიანობას ავტორი აღწერს სიტყვით „თანამოზიარობაში“. „პურის გატეხვაში“ ჩვეულებრივ იგულისხმებოდა ყოველგვარი საჭმლის ჭამა, მაგრამ საქმე მოციქულთაში მას აქვს მაღალი აზრი: მასში უნდა გავიგოთ ზიარების საიდუმლო – ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება. მოციქულთა ეკლესიაში ევქარისტია აღესრულებოდა ზოგჯერ საღამოთიც (საქმ. მოც. 20:7,11), ამასთან მას უერთდებოდა ტრაპეზი, რომელსაც „სიყვარულის საღამო“ (აღაპი) ან „სიყვარულის ტრაპეზი“ ეწოდებოდა. (იუდა 12,1; კორ 11:20-34). „ლოცვებში“ აქ იგულისხმება არა ლოცვები იერუსალიმის ტაძარში, რომელზეც ქვემოთაა საუბარი, არამედ ლოცვები საკუთრივ ქრისტიანული ხასიათისა სახლებში. მაშასადამე, იერუსალიმში პირველი ქრისტიანული თემების ამ ოჯახურ შეკრებებში ჩვენ ვხედავთ ქრისტიანული ღვთისმსახურების დასაწყისს, რომელიც შედგებოდა მაშინ მოციქულთა სწავლებებისაგან, ევქარისტიის საიდუმლოებებისაგან და საერთო ლოცვებისაგან. გალობის შესახებ აქ არ არის საუბარი, მაგრამ რამდენადაც გალობა არსებობდა ებრაელთა ტაძრის და სინაგოგის ღვთისმსახურებასთან ერთად, უეჭველია, რომ ეს ჩვეულება პირველი ქრისტიანული თემების საღვთისმსახურო შეკრებებში გადავიდა.

„ყოველი სული შიშით იყო მოცული...“ ამ სიტყვებით გამოხატულია ის შთაბეჭდილება, რაც ორმოცდამეათე დღის მოვლენებმა მოახდინა, განსაკუთრებით, ქრისტესადმი მრავალი იუდეველის მოქცევამ. შიშით იყვნენ მოცულნი ურწმუნოთა სულები, რომელთაც არ შეეძლოთ არ დაენახათ ყოველივე მომხდარში ღვთის ხელი. ეს შიშის გრძნობა ძლიერდებოდა ასევე იმით, რომ „მრავალი სასწაული და ნიშანი ხდებოდა მოციქულთა მიერ, იერუსალიმში“.

„ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ“ – ურთიერთსიყვარული ისე აკავშირებდა და აერთიანებდა ქრისტეში ყველა მორწმუნეს, რომ ისინი „ერთად იყვნენ“, ე.ი. იმყოფებოდნენ მუდმივ ურთიერთობაში, ცხოვრობდნენ როგორც ერთი მეგობრული ოჯახი. პირველ ქრისტიანთა ამ განწყობილებამ მიიყვანა ისინი საერთო ქონებისაკენ, რასაკვირველია, არა იძულებით, რასაც ვხედავთ კომუნისტურში, არამედ სრულიად ნებაყოფლობით, რომელიც დაფუძნებული იყო ერთადერთ ძმურ სიყვარულზე მოყვანისადმი და უქონელთა და მსაჭიროებელთა თანაგრძნობაზე. აქ არ იყო საკუთრების უფლების მოსპობა, არამედ საკუთრების მქონენი თავისი ნებით უყოფდნენ მას უქონელთ: „ქონებასა და სარჩო-საბადს ჰყიდდნენ და უნაწილებდნენ ყველას საჭიროებისამებრ“, ე.ი. ჰყიდდნენ თავიანთ უძრავ და მოძრავ ქონებას და უყოფდნენ გაჭირვებულებს ან თვით, ან მოციქულების მეშვეობით;

დიდხანს გაგრძელდა თუ არა იერუსალიმის თემში ქონების ასე თანაზიარობა ცნობილი არ არის. ისტორიიდან მისი კვალი მალე ქრება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოკლე ხანს, ვინაიდან მრავალრიცხოვან ქრისტიანულ თემში ეს იქნებოდა პრაქტიკულად ძნელად არსებული. მოციქულთა მიერ დაარსებულ სხვა თემებში ამას ჩვენ ვერ ვხედავთ: თავიანთ ძმურ წერილებში მოციქულები მხოლოდ არწმუნებდნენ ქრისტიანულ ქველმოქმედებაში და ურთიერთ ძმურ სიყვარულში, მაგრამ არ აწესებდნენ საერთო საღაროებს. მხოლოდ ხანდახან შეჰკრებდნენ მოწყალებას გაჭირვებული ეკლესიებისათვის და გადაეცემოდა მოციქულთა მიერ. (საქმ. მოც. 11:29-30; 1კორ. 16:1)

„დღენიდაგ ერთსულოვნად ტაძარში იმყოფებოდნენ“ – ისინი ყოველდღიურად გაუშვებლად ესწრებოდნენ იუდაისტურ ღვთისმსახურებას, აღსრულებულს იერუსალიმის ტაძარში. ქრისტიანობა არ წარმოადგენდა იუდაისტურ სექტას, არამედ იყო აღსრულება და დასრულება ჭეშმარიტი იუდაიზმისა. ყველა ღვთისმსახურება ტაძრისა დაფუძნებული იყო მესიის იდეაზე, ამიტომაც ქრისტიანებს შეეძლოთ იერუსალიმის ტაძარში ღოცვა. მაგრამ რამდენადაც ქრისტიანებს უკვე მოსული ქრისტე სწამდათ, ამიტომაც მათ, ბუნებრივია, თანდათანობით უნდა გამოემუშავებინათ თავიანთი ღვთისმსახურება, უკვე ძველადთქმისეული იუდაისტურისაგან განსხვავებული. მისი დასაწყისი უკვე ევქარისტის საიდუმლოს აღსრულებაში მდგომარეობდა, რომელიც საქმე მოციქულთას წიგნში „პურის გატეხვად“ იწოდება. ამისათვის პირველი ქრისტიანები იკრიბებოდნენ კერძო სახლებში – „სახლებში“, სადაც აღესრულებოდა ევქარისტია, შეერთებული სიყვარულის საღამოთი. ამ ქრისტიანული შეკრებების საერთო **ხასიათი ხასიათდება** სიტყვებით: **„იღებდნენ საზრდელს მხიარულებით და გულუბრალოებით“**. ეს ცოცხალი რწმენისა და გულის სიწმიდის ნაყოფია, ღრმად ჩაფლული სულიერი ცხოვრების ახალ დასაწყისში, განწმენდილი სულიწმიდის ბარაქიანი ნიჭებით.

ყოველი ამის შედეგად ქრისტიანები იქცნენ ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის მაგალითად და სახედ დანარჩენი სამყაროსათვისაც – **„მთელი ხალხის თვალში მადლს ჰპოვებდნენ“**. ეს კეთილი შეხედულება ქრისტიანობაზე იყო მიზეზი მორწმუნეთა რიცხვის თანდათანობითი ზრდისა. ამ ზრდას ავტორი განიხილავს როგორც თვით უფლის საქმეს, ამიტომაც გამოხატულია სიტყვებით: **„უფალი ყოველდღე უმატებდა დახსნილებს მათ რიცხვებს“**, ე.ი. ღმერთის მიერ ხსნისათვის მოწოდებული.

თავი 3

წმ. მოც. პეტრეს მიერ შობიდან დაგრდომილის სასწაულებრივად განკურნება (1-11), წმ. მოც. პეტრეს სიტყვა ამ საბაბით სინანულისკენ მოწოდებით (12-26)

წმ. მოც. პეტრეს მიერ შობიდან დაგრდომილის სასწაულებრივად განკურნება (1-11)

იერუსალიმში პირველ ქრისტიანთა ცხოვრების ზოგადი დახასიათების შემდეგ, ავტორი კერძო მოვლენების აღწერებზე გადადის და პირველ რიგში მოგვითხრობს შობიდან დაგრდომილის სასწაულებრივად განკურნების შესახებ, რომელმაც თავისთავად ამ სასწაულის მხილველთა ახალი მასობრივი ყურადღება მიიზიდა ქრისტესკენ.

როდის მოხდა ეს სასწაული ავტორი არ მიუთითებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არც თუ მალე 50-ე დღის შემდეგ, რამდენადაც ამის შემდეგ კვლავ იძლევა პირველქრისტიანთა ცხოვრების დახასიათებას, მსგავსად პირველისა, რის გაკეთებაც არ იქნებოდა საჭირო თუკი ეს სასწაული 50-ე დღის შემდეგ მალე მოხდებოდა.

„პეტრე და იოანეც აღიოდნენ ტაძარში ლოცვის მეცხრე საათზე“ – როგორც უკვე ეს დავინახეთ, პირველ ქრისტიანთათვის, მოციქულთა გამოურიცხავად, იერუსალიმის ტაძარი აგრძელებდა დარჩენილიყო წმიდა ადგილად, სადაც ისინი წინანდებურად იკრიბებოდნენ ლოცვაზე მისთვის განსზღვრულ დროს. ქრისტეს და მოციქულთა დროიდან საბოლოოდ იქნა დადგენილი ტაძარში სამგზის საზოგადო ლოცვები, რომლებიც დაუკავშირეს მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამებს, რაც შეესაბამებოდა ჩვენი დღის 9 საათს, ნაშუადღევს და დღის 3 საათს. პირველი და უკანასკნელი ემთხვეოდა დაკანონებულ დღისა და საღამოს მსხვერპლშეწირვას. ამ სამგზის ლოცვების კვალი გვხვდება იუდეველთა ისტორიაში: წინასწარმეტყველი დანიელი ბაბილონის ტყვეობაში ყოველდღიურად სამჯერ იხრიდა მუხლს (დან. 6:10), დავითის ერთ-ერთ ფსალმუნში საუბარია საღამოს, დღის და შუადღის ლოცვაზე.

„იყო კაცი ვინმე, დედის მუცლიდანვე საპყარი, ყოველდღე მოჰყავდათ იგი და სვამდნენ ტაძრის კართან...“ ეს დავრდომილი უკვე 40 წლისაზე მეტი იყო (საქმ. მოც. 4:22), რის გამოც სასწაული განსაკუთრებით გამოვჩენებელია. ერთხელ უფალმა შობიდან ბრმა განკურნა, წმ. პეტრე კურნავს შობიდან დავრდომილს, რითაც აღსრულდა უფლის აღთქმა, რომ მასში მორწმუნე ადასრულებს იგივე საქმეს, რასაც თვითონ აკეთებდა (ინ. 14:12). დავრდომილი ტაძრის კარებთან იჯდა, წოდებული – **„მშვენიერად“**. ეს სახელწოდება მეტი არსად არ მოიხსენიება და აიხსნება განსაკუთრებული ამ კარების სხვებთან შედარებით სიღამაზით. რასაკვირველია, ეს იყო მთავარი აღმოსავლეთის კარები, რომელსაც წარმართები გაჰყავდა ეზოში, რომელსაც ფლავიუსი აღწერს, როგორც ყველაზე ღამაზ კარებს. ყველა დროში ფართოდ გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, ეს დავრდომილი ითხოვდა მოწყალებას ტაძარში შემსვლელთაგან. როცა მოციქულებმა პეტრემ და იოანემ მის წინაშე გაიარეს, მან მათაც მიმართა თავისი ჩვეულებრივი თხოვნით. **„პეტრე იოანესთან ერთად დააკვირდა მას და უთხრა: შემოგვხედე ჩვენ“**. აღსანიშნია ეს დაძაბული ურთიერთტყვერა დავრდომილსა და მოციქულებს შორის. ეს იყო თითქოსდა ურთიერთმომზადება სასწაულისათვის. მოციქულები უყურებდნენ ბეჩავს მთელი ქრისტიანული სიყვარულითა და თანაგრძნობით და კოჭლის თავისადმი ყურადღების მოპყრობით სურდათ გაეგოთ, იგი რამდენად სულიერად შემთვისებელია, ამასთან ერთად, სურდათ აეძულებინათ იგი შინაგანი ძალების შემოკრებისათვის, აღძრან მასში რწმენა და სასოება. როგორც სხვა შემთხვევაში, დანარჩენების სახელით პეტრე ეუბნება: **„ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, ხოლო რაც მაქვს იმას გაძლევ: იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით, გაიარე!“** – მოციქული ამ სიტყვებით პირდაპირ ურღვევს კოჭლს მისგან ფულადი მოწყალების მიცემის იმედს, მაგრამ, სამაგიეროდ მასში სხვა მოწყალების იმედს ნერგავს – უმაღლეს ნიჭს, რომელსაც დავრდომილი, რასაკვირველია, არც კი ელოდა. აღსანიშნია, რომ მოციქული საუბრობს სრული რწმენით სასწაულის აღსრულების შესაძლებლობაში. ეს რწმენა დაფუძნებულია, უეჭველია, იმ აღთქმებზე, რომლებიც უფალმა თავის მოციქულებს მისცა (მარკ. 16:18; ლკ. 9:1; ინ. 14:12), ამასთან ერთადაც თავის თავში სულიწმიდის არაჩვეულებრივი ძალის შეგრძნებაზე, რასაც მოციქული სიტყვებით გამოხატავს: **„რაც მაქვს“**. **„იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით გაიარე“** – მოციქული ადასრულებს სასწაულს უფლის იესო ქრისტეს სახელით,

ამოწმებს რა ამით ცხადად, რომ ჯვარცმული და მოკლული იესო ცოცხალია და რომ იგია „წყარო კურნებისა კაცთათვის“. კიდევ რწმენის დიდი ენერჯის აღძვრისათვის კოჭლში მოციქული ჰკიდებს მას ხელზე და აყენებს. განკურნებული წავიდა არა სახლში, არამედ ტაძარში, რათა მადლობა შესწიროს ღმერთს თავისი განკურნებისათვის. მთელი ერი, ლოცვისთვის ტაძარში შეკრებილნი ამ საღამოს უამს, გაიგეს რა ყველაფელი კარგად დავრდომილზე, გაოგნდა და განცვიფრდა. განკურნებული კი, განმკურნებლებისადმი მადლიერების ნიშნად, არ შორდებოდა პეტრეს და იოანეს, აღიდებდა რა ხმამაღლა ღმერთს და ღიად მათაც. ისინი ამ დროს იმყოფებოდნენ ფართო დახურულ გალერეაში, რომლის მეშვეობით შეჰყავდა ტაძარში მშვენიერი კარიბჭე და რომელიც იწოდებოდა სოლომონის სტოად. ფლავიუსის ცნობით, სოლომონის ტაძრის ყველა შენობიდან ნაბუქოდონოსორის უამს ქალდეური დარბევის დროს მხოლოდ ამ კარიბჭის ნარჩენები დარჩა, რომელსაც აღმოსავლეთის მხარე ეკავა, რის გამოც მისი განახლებისას უწოდეს სოლომონის.

წმ. მოც. პეტრეს სიტყვა ამ საბაბით სინანულისკენ მოწოდებით (12-26)

სარგებლობს რა ერის სიმრავლის მოდინებით და მისი აღრულებული სასწაულის გამო გაოცებით, წმ. მოც. პეტრემ მიმართა მათ სიტყვით. ეს სიტყვა იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში მოციქული მიუთითებს ერს ამ სასწაულის აღსრულების ჭეშმარიტ მიზეზს და მისი აღსრულების მიზანს, განარტავს, რომ არა ამათ, მოციქულებმა, აღასრულეს ეს სასწაული, არამედ ღმერთმა უფლის იესოს განსაღიდებლად, უარყო და მოაკვდინა რა ისრაელმა; მეორე ნაწილში შეაგონებს ერს მოინანიოს და მოიქცეს ქრისტესკენ, რათა მიიღოს ცოდვათა მიტევება და იქცეს წინასწარმეტყველთა მიერ აღთქმულ მესიანურ კურთხევაში მონაწილე. წმ. მოც. პეტრეს ამ სიტყვაშიც, როგორც პირველში, მთავარი ადგილი უკავია ძვ. აღთქმიდან მოწმობებს, რომლებითაც მოციქული ამტკიცებს იესო ქრისტეს მესიანურ ღირსებას. „რად გიკვირთ ეს?“ – წმ. მოციქული თითქოსდა კიცხავს ერის გაოცებას. ეს იმიტომ, რომ ერი, ხალხი, შესაძლებელია, მოციქულებს უყურებდა როგორც ხალხს, რომლებიც მაგიური ძალებით იყვნენ დაჯილდოებულნი, ან როგორც თითქოსდა განსაკუთრებული ღვთისმოსაობით დაჯილდოებულთ. მოციქული უარყოფს ორივე ამ შესაძლებელ წინადადებას, სურს რა აღნიშნოს, რომ სასწაული აღსრულებულია არა მათი საკუთარი ძალებით: მას სურს წარმოადგინოს ერთადერთი ქრისტე მათი მეშვეობით მოქმედი. როგორც ადრე თვით უფალმა ყველა თავისი საქმე მიაკუთვნა თავის ზეციურ მამას, ასევე მოციქულებმა ახლა თავიანთი საქმე მიაკუთვნა უფალ იესო ქრისტეს და მამა ზეციერს. „აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა, განაღიდა თავისი მსახური იესო, რომელიც თქვენ გაეცით“ – აი, ჭეშმარიტი მიზეზი სასწაულისა: ღმერთმა ამ სასწაულით განაღიდა იესო ქრისტე, რომელიც თქვენ სიკვდილისათვის გაეცით. მოციქული შეგნებულად აღნიშნავს მათ დანაშაულს, რათა მოუწოდოს მათ სინანულისკენ. „მოითხოვეთ, რომ კაცისმკვლელი ეჩუქებინა თქვენთვის“ – ე.ი ავაზაკი ბარაბა. „სიცოცხლის წინამძღვარი“, ე.ი უფალი იესო ქრისტე, „მოჰკალით“. „ეს ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა, რის მოწმეც ჩვენ ვართ“ – მაგრამ ღმერთმა აღადგინა ის მკვდრეთით და ესხლა განაღიდა იგი მისი სახელით ამ დავრდომილის განკურნებით. „მისი სახელის რწმენით“ – უფლის იესო ქრისტეს სახელით რწმენა იყო ძალა, რომელმაც განკურნა დავრდომილი. ეს გამოთქმა შეიძლება სამგვარად განვმარტოთ: 1)

კურნება მოხდა მოციქულთა რწმენის გამო, 2) სასწაული მოხდა იმიტომ, რომ სასწაულის მხილველნი ქრისტეს სარწმუნოებისაკენ მიეყვანათ. და 3) დავრდომილის რწმენის გამო იესო სახელის მოწოდებამ განკურნა იგი. წარუდგინა რა მსმენელებს მათი დანაშაული მესიასთან მიმართებაში, მოციქულს, სურს რა მათი სინანულისაკენ მოდრეკა, უმსუბუქებს მათი დანაშაულის სიმძიმეს, წარმოადგენს რა იესოს მკვლევლობას როგორც უმეცრების საქმეს. **– „უმეცრებით ჩაიდინეს ეს“.** სხვა მხრივ, მოციქული მიუთითებს, რომ ეს საქმე ღვთის ბჭობით იქნა წინასწარგანსაზღვრული. „თუკი იგი დანაშაულისკენ წარმართავდა სიტყვას – ამბობს წმ. ოქროპირი – უფრო შეუპოვარს გახდიდა მათ“, ხოლო ასე იგი შეაგონებს მათ შესაძლებლობას მიიღონ შენდობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა გამო სინანულის მეშვეობით: **„მოინანიეთ და მოიქეცით, რომ აღსოცოს თქვენი ცოდვები“** – ე.ი. მოვიდეს ის ცათა სასუფეველი, რომელზეც ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ. **„მოგივლინოთ მათ თქვენთვის წინასწარგანწესებული იესო“** – აქ სამყაროს აღსასრულს ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ არის საუბარი. **„რომელიც ზეცამ უნდა მიიღოს“** – ეს გამოთქმა ნიშნავს უფლის ამადლების დროიდან მეორედ მოსვლის დღემდე ხორციელად განდიდებული უფლის იესო ქრისტეს მყოფობას ზეცად, რომელიც წოდებულია **„ყველაფერი აღდგებოდეს“**, ხოლო ბერძნულად „აპოკატასტასისი“, რაც საკუთრივ ნიშნავს აღდგენას – რაღაც დარღვეულის, ჭეშმარიტი, მართალი ურთიერთობების აღდგენის გაგებით. აქ მხედველობაშია ის, რომ იუდეველებმა უარყვეს თავისი მესია და ამით დაარღვიეს ღმერთთან თავისი აღთქმა, მაგრამ წმ. მოც. პავლეს წინასწარმეტყველური ჭკერებით (რომ. 11) უკანასკნელ ჟამს მობრუნდებიან ქრისტეს სარწმუნოებაში, და „აღვიდგენთ თქვენი უფალი ღმერთი“, როგორც წინასწარმეტყველებდნენ ამის შესახებ ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები. შეაგონებს და მოუწოდებს რა იუდეველებს სინანულისაკენ წმ. პეტრემ მოუყვანა მათ განსაკუთრებით ძლიერი წინასწარმეტყველება მოსესი: **„წინასწარმეტყველს აღვიდგენთ თქვენი უფალი ღმერთი.. გაუგონეთ მას ყველაფერი“.** მოსეს ეს წინასწარმეტყველება (II რჯ. 18:18-19) ყოველთვის მიეკუთვნებოდა მესიას. **„თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთან და იმ აღთქმისანი, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თქვენს მამებს...“** – თქვენ, მაშასადამე, გეკუთვნით ყველა ეს აღთქმა მესიის სასუფეველის შესახებ და მის შესახებ წინასწარმეტყველების აღსრულება. ამაში წმ. მოციქული წარმოადგენს საბოლოო და უძლიერეს შეგონებას სინანულისაკენ. **„შენს თესლში იკურთხება მიწის ყოველი ტომი“** – ღმერთის ეს აღთქმა იუდეველთა მამამთავრის აბრაამის მიმართ (დაბ. 12:3; 18:18) უნდა აღსრულდეს: მესია ებოდა არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ დედამიწის ყველა ერს. ერთი მხრივ ღმერთმა ებრაელებს **„პირველად მოუვლინა იგი“**, და ამაშია – ახალი შეგულიანება სინანულისაკენ.

წმ. მოც. პეტრეს მთელ ამ სიტყვაში, როგორც მის პირველ სიტყვაში ჩვენ ვხედავთ წმ. მოციქულის მცდელობას აჩვენოს თავის მსმენელებს, რომ ქრისტიანობა, მის მიერ ქადაგებული, სულაც არა არის ძვ. აღთქმის სჯულთან წინააღმდეგობაში, არამედ მსი გაგრძელებაა და ღირსეული დასასრული. აღსანიშნავია, აქ სიფრთხილე და სიყვარული მოციქულისა იესოს მტრებისადმი: იგი ეუბნება მათ სიმართლეს, მაგრამ წყნარად, გაღიზიანებუის გარეშე, სიფიცხის გარეშე, მისწრაფვის მათ განწყობას აღსრულებული დანაშაულის გამო მწუხარებისა და სინანულისაკენ.

თავი 4

წმ. მოციქულთა პეტრესა და იოანეს შეპყრობა და პეტრეს სიტყვის შედეგი (მუხლები 1-4), მოციქულთა სინედრიონზე დაკითხვა, იესოს სახელით ქადაგების აკრძალვა და მათი განთავისუფლება (5-22). მოციქულთა ლოცვა და მორმუნებზე სულიწმიდის მადლის გადმოსვლა (23-31). პირველი ქრისტიანული თემების ურთიერთსიყვარული (32-37)

წმ. მოციქულთა პეტრესა და იოანეს შეპყრობა და პეტრეს სიტყვის შედეგი: 5000-ის მოქცევა ქრისტეში. (1 - 4)

წმ. მოციქულ პეტრეს ქადაგებით გაღიზიანებულმა მღვდლებმა, ტაძრის მცველთა უფროსმა და საღუკეველებმა შეიპყრეს მოციქულები და დააპატიმრეს დილამდე, ვინაიდან უკვე საღამოვდებოდა. მღვდლები ბრაზობდნენ იმაზე, რომ მოციქულები, არ ჰქონდათ რა, მათი გაგებით, კანონიერი უფლებამოსილება, ასწავლიან ხალხს. მცველთა უფროსი ბრაზდებოდა იმაზე, რომ ხალხის მოზღვავეებით ირღვეოდა წესრიგი, საღუკეველები კი ბრაზდებოდნენ იმაზე, რომ მოციქული ასწავლის მკვდართა აღდგომას, რომელსაც ისინი უარყოფდნენ. მათ შეაწყვეტინეს ქადაგება პეტრეს, „დაადეს ხელები მათ“, რასაკვირველია, სინედრიონის განკარგულებით. რამდენადაც გვიანი იყო და აჩქარება მოციქულების გასამართლებისათვის არ იყო საჭირო, ამიტომაც ისინი ჩასვეს საპყრობილეში დილამდე. იმ დროს როცა იუდაისტური იერარქია მტრულად განეწყობოდა მოციქულებისადმი, უბრალო ხალხი იმდენად იყო მოხიბლული პეტრეს სიტყვით, რომ დიდმა ნაწილმა ირწმუნა – დახლოებით 5000 კაცმა. როგორც აღწერს ავტორი, მათ ირწმუნეს არა სასწაულის გამო, არამედ მოციქულის დამაჯერებელი ქადაგების გამო. ამისთვის ისინი მოამზადა, რასაკვირველია, ყველაფერმა იმან, რაც მოციქულებმა აღასრულეს სულთმოფენობის დღიდან და ყოველგვარმა არაჩვეულებრივმა ცხოვრებამ პირველ ქრისტიანთა, იხვეჭდნენ რა საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას.

მოციქულთა დაკითხვა სინედრიონზე, მათთვის იესო ქრისტეს სახელით ქადაგების აკრძალვა და მათი განთავისუფლება. (5-22)

მეორე დღეს სინედრიონი შეიკრიბა. ეს, როგორც ჩანს, ფორმალური და სრული შეკრება იყო სინედრიონისა, რამდენადაც მოციქულთა საქმე უმთავრესით იყო აღძრული. იქ დაიკავეს თავიანთი ადგილი გადაყენებულმა მღვდელმთავარმა ანანამაც, ანუ ანანმა და კაიაფამ, რომელმაც გაასამართლა უფალი იესო ქრისტე და ასევე ისტორიაში უცნობმა იოანემ და ალექსანდრემ, მღვდელმთავრული მოდგმის წევრებმა, რომელთაც იმ დროში ჩანს, ძალა ჰქონდათ სინედრიონში, შესაძლებელია როგორც მღვდელმთავრების ნათესავეებს. ჩააყენეს რა, როგორც წესი, ბრალდებულები შუაში, მათ ეკითხებოდნენ: „რომელი ძალით, ან ვისი სახელით ჩაიდინეთ ეს?“. სინედრიონის წევრებმა, რასაკვირველია, იცოდნენ რომ მოციქულები ამ სასწაულებს უფლის იესო ქრისტეს სახელით აღასრულებდნენ. მაგრამ მათ სურდათ მოციქულთა საკუთარ აღიარებაზე დაეფუძნებინათ მათი დადანაშაულება ან ერეტიკოსობაში და ღმერთის გმობაში, ან ამბოხების მცდელობაში, ან შესაძლებელია, ისინი ვარაუდობდნენ, რომ მოციქულებს, შეშინდებოდათ და უარს იტყოდნენ მათი საქმიანობისაგან. „მაშინ პეტრე აღივსო სულიწმიდით და უთხრა მათ...“ მართალი საქმის დაცვისათვის განსაკუთრებული სახით აღივსო სულიწმიდით, რაც ეს უფალმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს

აღუთქვა ადრე (მთ. 10:19-20). განსაკუთრებული ძალით, პირდაპირობით და შემართებით წმ. პეტრე პასუხობს დასმულ კითხვაზე. იგი თავაზიანად მიმართავს, მართალია უღირსებს, მაგრამ ხელისუფალთ: „ხალხის მთავარნო და უსუცესნო“. დანარჩენი პირობითი ფორმა წმ. მოც. პეტრეს სიტყვისა: „თუ დღეს ჩვენ მოგვეთხოვება პასუხი ამ უძლური კაცისათვის გაწეულ სიკეთეზე“ დახვეწილად და მძაფრად მიუთითებს მოციქულებზე ეხლანდელი მსჯავრის უსამართლობას. გამომდინარე საქმიდან: ისინი დაეხმარნენ უბედურ ადამიანს - ნუთუ ამისთვის უნდა დასაჯონ? ამასთან მოციქული საჯაროდ და შემართებით ამოწმებს ყველას წინაშე, რომ სასწაული ნამდვილად აღსრულდა და ამასთან აღსრულდა „იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით, რომელიც თქვენ ჯვარს აცვიო“. შემდგომ, მიმართავს რა წინასწარმეტყველებას, რომელიც ადრე თვით უფალმა იესო ქრისტემ ისარგებლა თავისი თავისთვის გამოსაყენებლად, კერძოდ ფსალმუნი 117:22 (მთ. 21-42), მოციქული უწოდებს უფალს იესო ქრისტეს „ლოდს, რომელიც მაშენებლებმა შეურაცხვეს,“ მით უფრო „ქვაკუთხედად ქცეულს“, მატებს რა, რომ „სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა“. ამის აზრი ისაა, რომ მათ მიერ ჯვარცმული იესო იქცა დედამიწაზე ღვთის სასუფეველის ახალი შენობის ქვაკუთხედად. და რომ მხოლოდ მისი სახელით შეიძლება ხსნის მიღება, რამდენადაც ის ერთია – კაცობრიობის ცოდვისაგან, წყევლისაგან და სიკვდილისაგან გამომსხნელი.

ამ სიტყვებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სინედრიონის წევრებზე, რომ მათ არ იციდნენ, რა მოემოქმედებინათ. ისინი, უპირველეს ყოვლისა, პეტრეს არაჩვეულებრივმა სითამამემ გააოცა, როგორითაც მან გაბედულად აღიარა ქრისტე მთელი სინედრიონის წინაშე, დამნაშავის მდგომარეობიდან ბრალმდებლის მდგომარეობაში გადავიდა, ამხილა რა ისინი ქრისტეს მკვლელობაში. ისინი განცვიფრებული იყვნენ მისი სითამამით და ორატორობით, ხედავენ რა, რომ ისინი უწიგნური და უბრალო ხალხია, იცნეს რა მათში ქრისტეს მოწაფეები და დარწმუნდნენ იმით, რომ ისინი აგრძელებენ მათთვის ესოდენ საზიზღარ ქრისტეს საქმეს. ამასთან ერთად განკურნებულის მონაწილეობამ მათ ბაგეებზე დუმილის ბეჭედი დაასვა; მათ არაფრის თქმა არ შეეძლოთ მათ მიერ აღსრულებული სასწაულის სინამდვილის უარსაყოფად. სირთულეში ჩავარდნილებმა გაყარეს ისინი გარეთ, რათა ერთმანეთში ემსჯელათ მათთვის არასასასიამოვნო სასწაულთმოქმედთა წინააღმდეგ შემდგომ ღონისძიებებზე. ისინი მოიცვა ყოყმანობამ, რასაკვირველია ყოველივე იმის შედეგად, რაც მოხდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, დაწყებული ქრისტეს აღდგომის დღიდან. შესაძლებელია, რომ მათ შორის იყვნენ პირები, იოსებ არიმათიელის და ნიკოდიმოსის მსგავსნი, ამიტომაც მათი გადაწყვეტილება ერთობ რბილი იყო – აუკრძალეს მოციქულებს უფლის იესო ქრისტეს შესახებ ქადაგება: „კაცი შვილს ადარ ელაპარაკონ ამ სახელით“. ცხადია, რომ ეს რამდენიმე გონებადაფანტულ ადამიანთა განკარგულება იყო. „როგორი უგუნურობაა — ამბობს წმ. იოანე ოქროპირი – იციან რა, რომ ქრისტე აღდგა და აქვთ ამაში მისი ღვთაებრიობის მოწმობა ისინი იმედოვნებდნენ თავიანთი მზაკვრობით იმის დიდების დამალვას, ვინც სიკვდილმა ვერ გააჩერა. რა შეედრება ამ უგუნურობას? არ გაგიკვირდეს, რომ ისინი კვლავ განიზრახავენ აუხდენელ საქმეს. ასეთია ბოროტების თვისება: იგი არაფერს არ უყურებს, მაგრამ ყველგან არეულობაში იმყოფება.“

გამაოგნებელი მამაცობითა და გამბედაობით პასუხობენ მოციქულები ამ აკრძალვაზე: „განსაჯეთ მართებულია განა ღვთის წინაშე, თქვენ უფრო გისმინოთ, ვიდრე ღმერთს?“ ამასთან ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ არ შეუძლიათ არ იქადაგონ იმაზე, რისი მოწმეები თვით იყვნენ. ხალხის წინაშე შიშმა სინედრიონს არ მისცა შესაძლებლობა მოციქულებისათვის რაიმე ზიანის მიყენების: განთავისუფლებულნი იქნენ. აქ ჩვენ მოციქულთა ზნეობრივ გამარჯვებას ვხედავთ,

მაგრამ აქვე ჩანს მოციქულთა და ყველა პირველი ქრისტიანის სარწმუნოებისათვის ღვინის საშინელ ნიშნებს. სინედრიონისადმი მოციქულთა პასუხი გვაძლევს მითითებას, როგორ მოვიქცეთ, როცა მიწიერი ხელისუფალნი ჩვენგან რაღაც ღვთის სჯულის და სინდისის საწინააღმდეგოს მოითხოვენ: მიწიერ ხელისუფალთა გულისმოგების გამო არ შეიძლება ღვთის სჯულის და სინდისის ბრძანების წინააღმდეგ წასვლა.

მოციქულთა ღოცვა და მორწმუნეებზე სულიწმინდის გადმოსვლა (მუხ. 21–31)

მხოლოდ მოციქულები გაუშვეს, ისინი „მივიდნენ თავისიანებთან“, ე.ი. სახლში, სადაც იმ დროს სხვა დანარჩენი მოციქულები და ზოგიერი მორწმუნეთაგანი იმყოფებოდა, რასაკვირველია ღოცვაში საქმის კეთილად წარმართვაზე. მოციქულთა მომხდარზე მონათხოვმა გაამხნევა ყველა, და მთელმა კრებულმა, როგორც ერთმა კაცმა მხურვალე ღოცვით მიმართა ღმერთს. ეს – პირველი ჩვენამდე მოღწეული ქრისტიანული საზოგადო ღოცვაა. ამ ღოცვაში ისინი პირველად ნუგეშსა და გამხნევებას ეძებდნენ, გადასცემდნენ რა ყველა საქმეს ღმერთის ხელში და გამოსთხოვდნენ რა ღმერთს მხოლოდ გამბედაობას ჭეშმარიტების ქადაგებაში. სინედრიონის მიერ წარმოთქმულ მუქარასთან მიმართებაში ღოცვის ფუძეში ჩადებულია ღვთის სიტყვები ფსალმუნდან, რომელიც უკანასკნელი სახარებისეული დამაჯერებლობით გამოხატავს მესიის და მის სახეში - თვით მამაღმერთის წინააღმდეგ აჯანყებას: „რად შფოთავენ წარმათნი და ხალხები განიზრახავენ ამაოებას?“ (ფს. 2:1-2). მლოცველთა ამ წარმოთქმას იყენებენ მესიისათვის - უფლის იესო ქრისტესათვის, რომელზეც ყველაფერი აგორდა ამ ქალაქში, იერუსალიმში, რათა – თვითონ გაუთვიცნობიერებლად – აღასრულა ღმერთის მიერ წინასწარგანსაზღვრული გამოხსნა კაცობრიობისა ძე ღვთისას მოკვლის მეშვეობით. ღოცვის შემდგომი შინაარსი, როგორც გამოხატავს წმ. იოანე ოქროპირი: „მიიყვანე ყველაფერი ეს დასასრულს და აჩვენე, რომ ისინი განიზრახავენ ტყუილუბრალოდ“, ე.ი. რომ შეუძლებელია ჯვარცმული და აღდგომილი მესიის შესახებ ხარების შეჩერება. ისინი ღოცვას ასრულებენ არა ტანჯვა-ვაებისაგან გამოხსნის შესახებ, არამედ მხოლოდ გამბედაობის მონიჭებაზე მათთვის, რათა თამამად იქადაგონ ქრისტეს შესახებ, სასწაულითა და ნიშნებით განამტკიცონ მათი ეს ქადაგება.

მხურვალე რწმენით ღოცვაზე ღმერთმა სასწაულებრივი ნიშნით უპასუხა: „შეიძრა ის ადგილი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი, და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით“. ეს სასწაულებრივი შეძვრა ადგილისა იყო სიმბოლური გამოხატულება ყოვლისშემძლე უფლის ძალისა, რომელიც არ დატოვებს მათ დაუცველად და დაუხმარებლად მტრების წინაშე. მათი ღოცვა იმწამსვე აღსრულდა: სულიწმიდისაგან შეგულიანებულები უშიშრად უყურებდნენ ქრისტესთვის წინამდებარე ტანჯვის გზას და შეიგრძნეს ძალა და შესაძლებლობა გამბედაობისა, რათა ღვთის სიტყვა იქადაგონ.

პირველქრისტიანული საზოგადოების ურთიერთსიყვარული (მუხლები 32-37)

ქრისტიანობის საზოგადოების წევრთა რიცხვი დავრდომილის სასწაულებრივად განკურნების დიდი სასწაულის შემდეგ ორჯერ მეტად გაიზარდა და ამიტომ ავტორმა საჭიროდ ჩათვალა ამ გაზრდილი საზოგადოების ცხოვრების კვლავ დახასიათება, რათა აჩვენოს, რომ მისი შინაგანი მდგომარეობა იგივე დარჩა: შეინარჩუნა სრული ერთსულოვნება და ძმური ურთიერთსიყვარული,

შეინარჩუნა ქონებრივი ურთიერთობა, რომლის ძალით არავინ არაფერს თავისად არ უწოდებდა. მოციქულები კი განსაკუთრებული ძალით ქადაგებდნენ ქრისტეს აღდგომის შესახებ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ ამის შესახებ ქადაგებდნენ, არამედ რომ აღდგომა ქრისტესი, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების დაფუძნება (1კორ. 15:14) იყო საფუძველი მთელი მოციქულებრივი ქადაგების ცენტრალური პუნქტისა. პირველ ქრისტიანთა შორის არავინ იყო გაჭირვებული, იმიტომ რომ მიწისა და სახლის მფლობელები თავიანთი ნებით ჰყიდდნენ მათ და მოციქულებთან მიჰქონდათ გაყიდულის საფასური, რომლებიც გაჭირვებულებს ურიგებდნენ. ასეთ მაგალითად მითითებულია იოსია კვიპრელი, ბარნაბად წოდებული, რაც ნიშნავს „ნუგეშის შვილს“, შესაძლებელია განსაკუთრებული მანუგეშებელი სიტყვის ნიჭისა გამო. საგულისხმოა, რომ იგი იყო ლევიტელი, ე.ი. ტაძრის მსახურთა წოდებიდან, განსაკუთრებით უფლის იესო ქრისტესადმი მტრულად განწყობილი. შესაძლებელია, მან გაჰყიდა ნაწილი მიწისა პალესტინაში, რომელთაც ჩვეულებრივ ფლობდა ყველა მღვდელი, რაც ჩანს წინასწარმეტყველ იერემიას მაგალითიდან (32:7). ეს იყო სწორედ ის ბარნაბა – თანამგზავრი წმ. მოც. პავლესი, პირველ ქრისტიანულ ისტორიაში კარგად ცნობილი, რომელზეც შემდგომ ბევრს მოგვითხრობს საქმე მოციქულთა.

თავი 5

ანანიასა და საპფირას ისტორია (მუხლები 1-11)

ავტორს ბარნაბას საქებარი მაგალითის შემდეგ მოჰყავს საწინააღმდეგო მაგალითი ზნეობრივი დაცემისა ამ იდეალურ პირველ ქრისტიანულ საზოგადოებაში. ვიღაც კაცმა და ქალმა სახელად ანანიამ და საპფირამ, გაყიდეს რა ქონება, გადამალეს გაყიდულიდან მიღებული თანხა და მხოლოდ რაღაც ნაწილი მიიტანეს საერთო საღაროში მოციქულებთან, და უთხრეს, რომ მათ მიერ მოტანილი ყველაა, რაც გაყიდული ქონებიდან მიიღეს (მუხლი 8). ამ ქცევაში გამოიხატა მათი არა მხოლოდ ანგარება, არამედ გამიზნული, შეგნებული სიცრუე, და მთავარი, ფარისევლური პირმოთნეობა. მათ სურდათ წარდგომილიყვნენ ისეთ თავდადებულებად, როგორც სხვები, თუმცა ასეთები არ იყვნენ. ეს იყო პირველი ბნელი ლაქა პირველ ქრისტიანთა წმიდა საზოგადოების ნათელ ფონზე, ამიტომაც ასეთი ქმედება არ შეიძლებოდა დარჩენილიყო მკაცრი სასჯელის გარეშე სხვების დასარიგებლად. წმ. მოც. პეტრემ ამ სიცრუის შესახებ სულიწმიდის მეშვეობით გაიგო და პირდაპირ მიუთითა ანანიას მის მიერ ჩადენილ ცოდვაზე, უწოდა რა მას სიცრუის მამის საქმე – სატანის საქმედ: „რატომ აღავსო შენი გული სატანამ, რომ მოგეტყუებინა სულიწმიდა“. ანანიასზე სატანის მოქმედებას წმ. პეტრე გამოხატავს თითქმის იმ სიტყვებით, როგორც მახარებელი იოანე გამოხატავს იუდა გამცემელზე სატანის მოქმედებას. (ინ. 12:6). აქედან უკვე ჩანს, ანანიასა და საპფირას ქცევის საშიშროება მთელი პირველი ქრისტიანული საზოგადოებისათვის, თუ კი წმ. პეტრე ამ ქმედებას არ გამოამჟღავნებდა. „განა რაც გქონდა, შენი არ იყო?“ – ეკითხება მოციქული ანანიას. აქედან ჩანს, რომ ქონებრივი ურთიერთობა არ იყო იძულებითი, არამედ სრული ნებაყოფლობითი. ანანიას ცოდვა იყო სიცრუეში, ტყუილში – იმაში, რომ გაყიდული ქონებიდან მიღებული თანხის ნაწილის როგორც მთლიან თანხად წარმოდგენა სურდა. „ადამიანებს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს“ – ეს გამოთქმა აშკარად

მიუთითებს სულიწმიდის ღვთიურ არსებაზე და მის პიროვნებაზე. ასეთმა მსჯელობამ აჩვენა ანანიას მისი ზნეობრივი დაცემის მთელი სიღრმე, რომელსაც იგი, შესაძლებელია, ვერც კი ამჩნევდა. „ამის გამგონე ანანია დაეცა და სული განუტევა“ – ეს იყო ღმერთის მიერ უშუალო დასჯა დამნაშავისა მისი მძიმე ცოდვის გამო სულიწმიდის წინაშე. ერთი ცოდვილი წარმოადგენს სხვებისათვის დიდ საფრთხეს, რომლისგანაც სხვები შეიძლება დაავადდეს მისი სნეულებით. „არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი, მთელი ცომს აფუებს?“ (1კორ. 5:6). ეს მოციქულის გამოთქმა გვიხსნის ჩვენ ანანიას სსსჯელის სიმკაცრეს. ანანიას ცოდვა შესაძლებელია სახიფათო ყოფილიყო მთელი საზოგადოებისათვის, ამიტომაც ეს დამპალი წევრი დაუყოვნებლივ იკვეთება სხვების სასწავლებლად, რომ არავინ ფიქროს მისგან მაგალითის აღება. „ვინც ეს მოისმინა, დიდმა შიშმა მოიცვა ყველა“ – შესაძლებელია, ყველაფერი ეს მოხდა საერთო, შესაძლებელია საღვთისმსახურო, შეკრებაზე და ასეთ აშკარა ღმერთის მსჯავრს არ შეეძლო განცვიფრებაში არ მოეყვანა ყველა. „წამოდგნენ ჭაბუკები, შესუდრეს იგი, გაიტანეს და დამარხეს“ – შესაძლებელია, ესენი იყვნენ ახალგაზრდა მსახურები, ასრულებდნენ რა სხვადასხვა დავალებებს, როგორც სინაგოგებში იყო. იმწამსვე გაიტანეს გვამი ქალაქგარეთ, სადაც ჩვეულებრივ მარხავდნენ მიცვალებულებს და იქ დამარხეს იგი.

ანანიას ცოლმა მომხდარის შესახებ არაფერი არ იცოდა, ხოლო როცა სამი საათის შემდეგ მოვიდა, წმ. პეტრემ ამხილა იგიც ტყუილში და ქმართან მორიგებაში, სურს რა მისცეს მას შესაძლებლობა მონანიებისა წმ. მოციქული მას ეკითხება, თუ რამდენად გაყიდეს მიწა, მაგრამ მან გაიმეორა თავისი ქმრის ტყუილი. „პეტრემ უთხრა მას: რატომ შეითქვით, რომ გამოგეცადათ უფლის სული?“ ამ დროს დაბრუნდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც დამარხეს მისი ქმარი, და წმ. პეტრემ ისარგებლა ამით, რათა მასაც გამოუცხადოს იგივე სასჯელი, რაც მის ქმარზე მოიწია: „შენც გაგიტანენ“. და იგი იმწამსვე დაეცა მის ფეხებთან და სული განუტევა. „დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია“. აღსანიშნავია, რომ აქ ავტორი პირველად უწოდებს პირველი ქრისტიანების საზოგადოებას „ეკლესიას“, ბერძნულად: „ეკლესია“.

მოციქულთა მიერ აღსრულებული სასწაულები და სინედრიონის მიერ მოციქულთა ახალი დევნა; მათი დაპატიმრება, ანგელოზების მიერ მათი განთავისუფლება, ტაძარში ქადაგება, პასუხი სინედრიონის წინაშე, გამაღიების რჩევა და მოციქულთა განთავისუფლება გაშოლტგის შემდეგ (12–42 მუხლები)

ეკლესიის შიგა ცხოვრების მოვლენის შესახებ აღწერის შემდეგ, ავტორი კვლავ იძლევა ქრისტიანული საზოგადოების მაშინდელი მდგომარეობის დახასიათებას. ამ მდგომარეობისათვის დამახასიათებელია მრავალი სასწაული და ნიშანი, მოციქულთა მიერ აღსრულებულნი „ხალხში“, ე.ი. როგორც ჩანს, ურწმუნო ხალხთა შორის მათი ქრისტეს სარწმუნოებისაკენ მოქცევისათვის, ასევე – ყოველ ქრისტიანს შორის ერთსულოვნებისათვის. ყველა ქრისტეში მორწმუნე ტაძარში მისვლისას ერთ მჭიდრო მასად, ერთად იყვნენ იქ. ასეთი იყო „სოლომონის სტოა“ – დახურული გალერეა ტაძარში მთავარ შესასვლელთან, ეტყობა ქრისტიანთათვის მოსახერხებელი იყო თავისი მნიშვნელოვანი სიდიდით. რაღაც შიშისა და პატივისცემის გრძნობა ქრისტიანთადმი იწვევდა იმას, რომ ყველა მათგან მოშორებით, რიდით იდგა: დანარჩენთაგან ვერავინ ბედავდა შეერთებოდა მათ, მაგრამ აქებდა მათ ხალხი“, ე.ი. ხალხი ადიდებდა მათ, აფასებდა, როგორც ჩანს მათ უმაღლეს რელიგიურ-

ზნეობრივ თვისებას. შემდგომ საუბარია, რომ ქრისტეს მორწმუნეთა რიცხვი, როგორც მამაკაცებისა, ასევე დედაკაცებისა, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. განსაკუთრებით გასაოცარია ავადმყოფთა განკურნების სასწაული, როგორც ადრე ქრისტეს სამოსისადმი ერთი შეხება კურნავდა, ასევე ეხლა გავლილი პეტრეს ჩრდილიც კი კურნავდა. სიტყვასიტყვით აღსრულდა ქრისტეს სიტყვა მოციქულებზე: „ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს და მათზე დიდსაც გააკეთებს“. (ინ.14:12)

მოციქულთა მოღვაწეობის დიდმა წარმატებამ მოციქულთა წინააღმდეგ იუდეველთა მთავრებიდან ახალი დევნები გამოიწვია. როგორც ადრე მათ უფლის წინაშე შურისა გამო გადმონათხია ზიზღი, ამჟამად, ავტორის სიტყვით, „მღვდელმთავარი და ყველა მასთან მყოფი, რომლებიც სადუკეველთა მწვალებლობას ეკუთვნოდნენ, შურით აღივსნენ“. მღვდელმთავარში აქ კაიაფა უნდა გავიგოთ, რომელიც მაშინ მმართველობდა. რელიგიურ-ზნეობრივი გახრწნა ამ უმაღლეს იუდაისტურ საზოგადოებაში მაშინ იმდენად დიდი იყო, რომ არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ თვით მღვდელმთავარი მიეკუთვნებოდა სადუკეველთა ერესს, უარყოფდა რა სულის არსებობას და მკვდართა აღდგომას. იოსებ ფლავიუსი პირდაპირ მიუთითებს, რომ ანანის, ანუ ანნას, კაიაფას სიმამრის ერთი შვილი სადუკეველი იყო. შესაძლებელია კაიაფა ღიად არ მიეკუთვნებოდა ამ სექტას, მაგრამ საიდუმლოდ იზიარებდა მათ შეხედულებებს. ამჯერად მოციქულებს მკაცრად მოექცნენ, განიზრახვიდნენ რა მათ მოკვლასაც კი (მუხლი 33): საერთო საპატიმროში ჩასხეს, როგორც დამნაშავეები. „მაგრამ უფლის ანგელოზმა ღამით გააღო საპყრობილის კარი.“ რაც უფრო ძლიერია ახალდაარსებული ეკლესიის დევნა, მით უფრო აშკარაა სასწაულებრივი დახმარება ღმერთისა დევნილთა მიმართ. ანგელოზის ბრძანებით, მოციქულები მათი საპყრობილიდან განთავისუფლებისთანავე უშიშრად იწყებენ ტაძარში ღიად ქადაგებას. შესანიშნავი გაბედულება და ვაჟკაცობაა, რომლის ახსნაც შეუძლებელია; მოციქულთა ბუნებრივი ძალები სულიწმიდის მადლით იყო განმტკიცებული, რომელმაც ისინი უშიშრად აქცია. მაშინ მოციქულები სინედრიონში სასამართლოზე მიიყვანეს, მაგრამ, როგორც აღნიშნავს ავტორი, იძულების გარეშე, ვინაიდან ხალხის ეშინოდათ, არ ჩაგვექლონო: იმდენად დიდი იყო ხალხის მოციქულებისადმი თანაგრძნობა.

დაკითხვა მღვდელმთავრის ფორმალური ბრალდებით იწყება: „სასტიკად აგიკრძალეთ, რომ არ გესწავლებინათ ამ სახელით“. საგულისხმოა, რომ მოციქულთა საპყრობილიდან გათავისუფლების შესახებ – არც ერთი სიტყვა. როგორც ჩანს, მსაჯულები ხვდებოდნენ სასწაულს, მაგრამ შეგნებულად იგნორირებას უკეთებდნენ მას. „გინდათ იმ კაცის სისხლმა გვიწიოს ჩვენ?“ – გინდათ ჩვენ წარმოგვადგინოთ ღმერთის მიერ გაკიცხვის ღირსად იმ ადამიანის, როგორც უდანაშაულოდ მოკლულის სისხლის დაღვრისა გამო. მათ დაავიწყდათ, თავად როგორ ყვიროდნენ: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგისი სისხლი“ (მთ. 27:25). მღვდელმთავრის სიტყვებში თითქოსდა გამკიცხველი სინდისის ხმა ისმოდა, შეცნობაა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებისა. კვლავ პეტრე ყველა მოციქულის სახელით ეუბნება იგივეს, რაც სინედრიონის წინა შეკრებაზე პირველად იყო თქმული, ოღონდ ძლიერად და გადაწყვეტილად: „ღმეთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს“, და შემდგომ ამოწმებს ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ, თითქმის იგივე გამოხატულებებით, რაც ადრე, აღნიშნავს რა იუდეველთა ბრალეულობას მათდამი წარმოგზავნილი მესიის მკვლელობაში. „რომელიც თქვენ მოჰკალით ძელზე დაკიდებით“ – ეს სიტყვები ხაზს უსვამენ სინედრიონის წევრთა პირად ბრალეულობას, ვინაიდან ძელზე დაკიდების აზრს უკავშირდება წყევლის აზრი. პეტრეს ბაგეებში დაცვა გადადის იუდეველთა საშინელ დადანაშაულებაში და სინედრიონის წევრები სიბრაზისაგან სკდებოდნენ და „განიზრახვიდნენ მათ

დახოცვას“. ეს ბოროტი ჩანაფიქრი აცილებული იქნა ფარისეველთა და სინედრიონის ყველა წევრთაგან პატივცემულის, სჯულისმოდურის გამაღიეღის რჩევით. ტალმუდის მიხედვით ეს – ებრაელთა ცნობილი რაბინი, რაბინ სიმეონის შვილი და შვილიშვილია ცნობილი რაბინ გილელისა. იგი იყო მოც. პავლეს მასწავლებელი (22:3) და გადმოცემა როგორც ამბობს, შემდგომში გახდა ქრისტიანი და სახარების მქადაგებელი. მართლამდიდებელი ეკლესია თვლის მას მოციქულთასწორად, მის ხსენებას ადასრულებს 4 იანვარს და 2 აგვისტოს.

მანამ, სანამ მკაცრ ზომებს მიმართავდნენ ქრისტეს მოწაფეთა მიმართ, გამაღიეღმა რჩევა მისცა, „დაფიქრდით“, ე.ი. იყვნენ ყურადღებით. მისი აზრი ისაა, რომ ქრისტიანობა უნდა მიეცეს ბუნებრივ მიმდინარეობას ურყეობაში, რომ თუკი იგი ღმერთის საქმე არ არის, მაშინ თავისთავად დაინგრევა. გამაღიეღი მტკიცებულებად ორ არცთუ გვიანდელ მოვლენაზე მიუთითებს. ერის ორი ფანატიკოსი მატყუარა – ფევედა და იუდა გალილეველი – დაიღუპნენ სინედრიონის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მათთან ერთად კი მათი საქმეც ჩაიშალა. იოსებ ფლავიუსის მონათხრობიდან ჩვენ ვიცით, რომ ვიღაც იუდა გავლონიტელმა, ე.წ. ასევე გალილეველმა, აჯანყება მოაწყო რომაელთა წინააღმდეგ ქრ.შ.-დან 6წ., როცა იმპერატორმა ავგუსტუსმა, ჩამოაგდო რა არქელაოსი, მოაქცია იუდეა რომის პროვინციაში და ბრძანება გასცა ეწარმოებინათ აღწერა, რომელიც მოემსახურებოდა დაფუძნებას ხარკის ამოღებისათვის. აჯანყება იყო ხანგრძლივი და სისხლიანი, მაგრამ რომაელთა მიერ ჩახშობილი იქნა იგი. იუდას მიმდევრები, ცნობილი სახელწოდებით „ზილოტები“ (მოშურნეები), ღებულობდნენ შემდგომში ვესპასიანეს და ტიტეს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას. ფევედა ცრუწინასწარმეტყველი იყო, რომელიც მოუწოდებდა იუდეველებს თავისუფლებისაკენ პროკურატორ ფადას დროს ქრ.შ.-დან 44წ. მოვლი მისი ბრბო გაფანტულ იქნა რომაელი ჯარისკაცების მიერ, ხოლო თვით იგი მოკლულ იქნა. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საუბარია რომელიღაც სხვა ფევედაზე, ვინაიდან საეჭვოა გამაღიეღი საუბრობდეს ამ ფევედაზე, რამდენადაც იგი მოგვიანებით ცხოვრობდა, გამონდა რა მხოლოდ მეფე აგრისას სიკვდილის შემდეგ, რომელზეც საქმე მოციქულთას მე-12-ე თავშია ლაპარაკი. გამაღიეღი გამოთქვამს ბრძნულ აზრს, რომ ადამიანური საქმეები – ადამიანური წარმოშობისა და ხასიათისაა, მხოლოდ ადამიანური მიზნებითა და მიდრეკილებებით, რომლებზეც არ არის ღმერთის კურხევა და ნება – თავისთავად იღუპება, ვინაიდან როგორც ცოდვისმიერი, ატარებენ განადგურების ნიშნებს თავისთავში. „თუ ღვთისაგან არის“ ეს საქმე, ე.ი. თუკი ღმერთის ნებაა და ღვთის კურთხევაა ამ საქმეზე, ე.ი. ქრისტიანობაზე, მაშინ თქვენ „ვერ ჩაფუშავთ მას“ – მის განადგურებას, ღმერთის ყოვლისშემძლე ძალის წინააღმდეგ ადამიანთა გალაშქრება უშედეგოა, ამასთან ერთად კი ასეთი სახით შეიძლება ღვთის წინააღმდეგ ბრძოლის მძიმე ცოდვაში ჩავარდე.

ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ გამაღიეღის რჩევის მოტივი. ძველები ფიქრობდნენ, რომ იგი თვით საიდუმლოდ კეთილგანწყობილი იყო ქრისტიანობისადმი, **ინდიფერენციზმი**, მაგრამ ეს შეხედულება, რასაკვირველია, მცდარია: უაზრო იქნებოდა მაშინ მუქარა, რომლითაც დაასრულა თავისი რჩევა გამაღიეღმა: „ვაითუ ღვთისმოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ“. ასე შეიძლება ლაპარაკობდეს ქრისტიანობისადმი განწყობილი ადამიანი, რომელიც მასში ღვთის ძალას ხედავს.

გამაღიეღის სიტყვამ, გარეგნული ფორმით სრულიად მიუკერძოებელმა, სინედრიონის წევრებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ისინი დაეთანხმნენ მას, მაგრამ ბოლომდე არა: მათ სცემეს მოციქულები და, კვლავ აუკრძალეს რა მათ ქადაგება, გაუშვეს ისინი. გაშოლტვა, მოციქულების მიერ

გადატანილი, პირველი შეურაცხყოფა იყო, რომელიც მათ თავიანთი საყვარელი მოძღვრისათვის დაითმინეს, და მათ სიხარულით მიიღეს ეს უხამსობა. მიუხედავად აკრძალვისა ისინი აგრძელებდნენ ქადაგებას.

თავი 6

შვიდი დიაკვნის არჩევა (მუხლები 1-6), მთავარდიაკონ სტეფანეს ქადაგება (მუხლები 7-15)

შვიდი დიაკვნის არჩევა (მუხლები 1-6)

„ამ დღეებში“ – თუმცა განუსაზღვრელი გამოხატულებაა, მაგრამ მიმთითებელია შეფარდებითი მოვლენების სიახლოვეზე უახლოესი წარსულიდან, რომლებზეც მიდიოდა საუბარი მანამდე. ეკლესიის ახალი ზნეობრივი გამარჯვების შემდეგ მტრებზე ქრისტიანთა რიცხვი უფროდაუფრო აგრძელებდა გაზრდას, მაგრამ ამ დროს გაოიკვეთა შინაგანი განწყობილება თვით ქრისტიანული საზოგადოების ფესვებში და ამასთან მნიშვნელოვანი, რამეთუ მიუთითებდა შინაგან დაყოფაზე და საზოგადოების წევრთა უთანხმოებაზე: „ატყდა დრტვინა“, ე.ი. ურთიერთუკმაყოფილება „ბერძნებსა“ და „ებრაელებს“ შორის. ბერძნებად იწოდებოდნენ იუდეველები, რომლებიც წარმართული სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ და საუბრობდნენ მაშინ იმპერიაში ყველგან გავრცელებულ ბერძნულ ენაზე. ზოგჯერ ამ საერთო სახელწოდებაში შეჰყავდათ პროზელიტებიც, ე.ი. წარმართები, რომლებმაც იუდეველობა მიიღეს. „ებრაელებში“ აქ იგულისხმება ქრისტიანები პალესტინელ ებრაელთა რიცხვიდან, რომლებიც თავიანთ მშობლიურ მიწაზე ცხოვრობდნენ და საუბრობდნენ ებრაულ ენაზე. საერთო ფულადი სალაროდან, რომელიც მოციქულთა განკარგულებაში იყო, თითოეული მსაჭიროებელი ღებულობდა იმას, რაც მას სჭირდებოდა გამოკვებისათვის და საერთოდ ყოველდღიური რჩენისათვის. გაბერძნებულებს მოეჩვენათ, რომ მათი ქვრივების მომსახურება უგულვებელყოფილია. საიდან წარმოიშვა ეს უგულვებელყოფა, რთული ასთქმელია. წმ. ოქროპირი თვლის, რომ არა კეთილმოსურნეობიდან, არამედ ხალხმრავლობის მიზეზისა გამო უყურადღებობიდან. შესაძლებელია, მიზეზი ებრაელთა პატივმოყვარეობა იყო, როგორც ისინი ბერძნებს ეხებოდნენ, ატარებდნენ რა თვით თავზე უნებლიე ანაბეჭდს წარმართული გარემოს, რომელშიც უხდებოდათ ცხოვრება. პირველი ქრისტიანული საზოგადოების ორი სხვადასხვა სახის ნაწილის ამ სხვაობას არ შეეძლო, როგორც ჩანს, უმაღლესი ქრისტიანული სულის გაქარწყლება. ამის გამო იტანჯებოდნენ ქვრივები, როგორც დაუცველები, რომელთაც ვიღაც უნდა გამოქომაგებოდა. რამდენადაც ეს ურთიერთუკმაყოფილება დიდ საფრთხეს უქმნიდა პირველ ქრისტიანულ საზოგადოებას, მოციქულებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს ბოროტების აღსაკვეთად. მოუწოდა რა, როგორც ჩანს, იერუსალიმის მთელ ქრისტიანულ საზოგადოებას, მოციქულებმა შესთავაზეს ამ არეულობის აცილება. „**არ შეგვშვენის ღვთის სიტყვის მიტოვება და სუფრების მომსახურება**“ – თქვეს მათ. მოციქულთათვის მთავარი საქმე – ღვთის სიტყვის ქადაგებაა, გაჭირვებულთა დაკმაყოფილება ხორციელი საკვებით მათ შეეძლოთ სხვებისთვის შეეთავაზებინათ. ამიტომაც ისინი სთავაზობდნენ ამ მსახურებისთვის გამოერჩიათ განსაკუთრებული პირები, შვიდი (7 – წმიდა რიცხვია) სულიწმიდით აღვსილნი, რამდენადაც გაჭირვებულთა მსახურება არ

არის მარტოოდენ ხორციელი საჭიროებისთვის მსახურება, არამედ მათი სულიერი საჭიროებისთვისაც. მათ „სიბრძნეც“ ჭირდებათ, რათა თავიანთი მსახურება ბრძნულად, გონივრულად, პრაქტიკულად, მიზანშეწონილად შექმნონ. „ჩვენ კი ვიყოთ ღოცვასა და სიტყვის მსახურებაში“ – ეს უმთავრესი მოვალეობაა ეკლესიის უმაღლეს მსახურთა. მოციქულთა წინადადება სიამოვნებით იყო მიღებული. არჩეული იქნა შვიდი კაცი. მათგან ყველაზე უფროსი განდიდდა სტეფანე, იქცა რა მალევე ქრისტესთვის პირველმოწამედ: მას მოსდევს ფილიპე, რომელიც ასევე მოხსენიებულია საქმე მოციქულთაში: დანარჩენ ხუთზე მხოლოდ საეკლესიო გადმოცემამ შემოგვინახა ცნობა: პროხორე თავდაპირველად იყო წმ. მოც. პეტრეს თანამგზავრი, ხოლო შემდეგ შემდეგ თანამგზავრი და მწერალი წმ. იოანე ღვთისმეტყველისა, ეპისკოპოსი ნიკომიდისა და აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით ანტიოქიაში. **ნიკანორი** მოკლული იქნა წმ. სტეფანეს სიკვდილით დასჯის დღეს. **ტიმონი** ეპისკოპოსი იყო არაბეთში და მოწამებრივად აღესრულა. **პარმენი** მოციქულთა წინაშე აღესრულა და მათ მიერ იქნა დაკრძალული. ნიკოლოზი პროზელიტი იყო, მცხოვრები იერუსალიმში. პროზელიტის არჩევა გაბერძნებულების გულის მოგების მიზნით მოხდა. მაგრამ ის, საფიქრებელია, ვერ დარჩა თავისი მსახურების სიმაღლეზე, ვინაიდან მისი სახელი არ მოიხსენიება წმინდანთა რიცხვში. მოციქულებმა გამორჩეულებზე დაასხეს თავიანთი ხელები, ილოცეს რა, და მოიწვიეს მათზე სულიწმიდის მადლი. ეს იყო მათი კურთხევის მოქმედება. რამდენადაც ამორჩეულ დიაკონთა შორის არა არის ებრაელი სახელის მატარებელი, ამიტომაც თვლიან, რომ ყველა შვიდივე ამ ყოველ შემთხვევაში სამი – სტეფანე, ფილიპე და ნიკოლოზი – გაბერძნებულები იყვნენ. აქ ჩვეულებრივ ხედავენ სამღვდელოების მესამე ხაზის დადგენას - დიაკონის. ყოველ შემთხვევაში შემდგომი მონათხრობიდან სრულიად ცხადია, რომ ეს პირველი დიაკონები არ იყვნენ მხოლოდ უბრალო ხაზინადარები პირველ ქრისტიანული საზოგადოების. მათზე დაკისრებული იყო სხვა მაღალი მოვალეობები – თანამშრომლობა მოციქულებთან სიტყვის ქადაგების საქმეში და ეკლესიის მოწყობაში: ჩვენ შემდგომში ვხედავთ, რომ ისინი არა მხოლოდ ქადაგებდნენ, არამედ ნათლავდნენ კიდევ. (6:8-9; 8:5; 8:38).

გამორჩეულები, ჩანს, ამართლებდნენ საზოგადოების ნდობას, და ამიტომაც ავტორი შემდეგ წერს, რომ „ვრცელდებოდა ღვთის სიტყვა და მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში“ – მოციქულთა ქადაგების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მღვდელმთავართაგან ბევრმაც ირწმუნა. გამოთქმა „ემორჩილებოდა რწმენას“ მიუთითებს ქადაგების ძალაზე, რომელმაც დაიმორჩილა მათი სიჯიუტე. ეს იყო გადამწყვეტი ზნეობრივი გამარჯვება ქრისტიანობისა იუდაიზმზე.

მთავარდიაკონ სტეფანეს ქადაგება, მისი დადანაშაულება გმობაში (მუხლები 7-15)

მთავარდიაკონ და პირველმოწამე სტეფანეს მოციქულებრივ მოღვაწეობასა და მოწამებრივ სიკვდილს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა პირველქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაში, რომ ავტორი წიგნისა მის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს. თავდაპირველად ავტორი ახასიათებს სტეფანეს პიროვნულობას როგორც რწმენითა და ძალით აღვსებულ კაცს, ამბობს მასზე, რომ მან აღასრულა ადიდესი სასწაულები და ნიშნები ხალხში. ჩანს, ყველა შვიდ დიაკონთა შორის იგი გამოირჩეოდა ღვთაებრივი მადლის სიუხვით. იგივე ბდა ყველგან ისრაელიანებს, უცხო ქვეყნებიდან მოსულებს, რათა მოაქციოპს ისინი ქრისტეს სარწმუნებაში, ამისათვის კი დადიოდა მათ

სინაგოგებში. თალმუდის მიხედვით, იერუსალიმში 480 სინაგოგა იყო. საფიქრებელია, თითოეული უცხო მიწის ქვეყანა ან თვით თითოეული დედაქალაქი, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდა იუდეველები, შეინარჩუნეს იერუსალიმში თავიანთი სინაგოგა იმისათვის, რათა მათ შეძლებოდათ იერუსალიმში ჩასვლისას სალოცავად შესვლა. ესენი იყვნენ თანამემამულესათვის ერთიანობის ცენტრები. ამიტომაც საუბრობს ავტორი აზიის სინაგოგაზე, ე.ი. იუდეველებზე, მცირე აზიის დასავლეთ მხარის მაცხოვრებლებზე; კილიკიის სინაგოგაზე, ვინაიდან მთავარ ქალაქს კილიკიისას - ტარსს დიდი იუდაისტური კალონია გააჩნდა; ალექსანდრიის სინაგოგაზე, რამეთუ ეგვიპტის დედაქალაქის გაფუფუნებული 5 კვარტიდან ორი წარმოადგენდა იუდეველთა სიხშირეს; კვირინელთა სინაგოგის შესახებ, ვინაიდან კვირინიის მეოთხე ნაწილი იუდაისტური იყო. ლიბირტინელთა სინაგოგის შესახებ, ან რომაელ მოქალაქეთა მიერ განთავისუფლებულთა, ე.ი. იუდეველთა შესახებ, რომლებიც რომში ტყვედ როგორც მონები იყვნენ წასხმულნი, მაგრამ ტავიანთი ბატონების მიერ თავისუფლება მიეცათ. ჩანს, სტეფანე გაბერძნებული იყო, როგორც გვიჩვენებს მისი სახელი და სიტყვა, ამიტომაც იგი გაბერძნებულებთან ქადაგებდა სინაგოგაში. მაგრამ იგი წინააღმდეგობას წააწყდა: მასთან კამათში შევიდნენ. ერთი მხრივ მათ ვერ შეძლეს წინააღმდეგობდნენ „სიბრძნესა და სულს, რომლითაც ის ლაპარაკობდა“. შეაგულიანეს ზოგიერთები ცილი დაეწამათ მისთვის, თითქოსდა მან მოსესა და ღვთის საგმობი სიტყვები წარმოთქვა. აღსანიშნავია, რომ მათ შეძლეს რამდენიმე კაცის შეგულიანება. ამაში გამოიხატა ქრისტიანობის მტრების ცბიერება, რომლებსაც არ უნდოდათ მოციქულებზე ოფიციალური გზით დევნის განხორციელება, არამედ გადაწყვიტეს მათ წინააღმდეგ სახალხო მასების მეშვეობით ემოქმედათ, გამოიწვიეს რა მათში ქრისტიანების ზიზღი. როგორც თვით უფლის განსჯისას, აქაც ხალხმა სულმოკლედ დაიჯერა ეს ცილისწამება. სტეფანე შეიპყრეს და სინედრიონში სასამართლოზე წარადგინეს, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან სწარფად შეიკრიბა. როგორც უფლის გასამართლებისას, ასევე აქაც წარმოდგენილნი იყვნენ ცრუმოწმეები, რომლებიც ამახინჯებდნენ სტეფანეს სიტყვებს. ალბათ, სტეფანე ამბობდა, შესაძლებელია მხოლოდ სიტყვა გაკრა ძვ. აღთქმის შეწყვეტაზე მესია-ქრისტეს მოვლინებასთან დაკავშირებით, ხოლო ცრუმოწმეებმა სტეფანეს ამ სიტყვებში ჩადეს სულ სხვა აზრი, ადანაშაულებდნენ რა იმაში, თითქოსდა იგი ამბობდა, რომ „იესო ნაზარეველი დაანგრევს ამ ადგილს და შეცვლის წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მოსემ გადმოგვცაო“. „დაანგრევს ამ ადგილს“ - ე.ი. ტაძარს - ესეც სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელშიც ადანაშაულებდნენ უფალს იესო ქრისტეს. ბუნებრივია ყველას ყურადღება მიმართულია ამ დანაშაულებზე. მაგრამ მის სახეზე ისინი ვერ ხედავენ ვერც შიშს, ვერც მწუხარებას, ვერც მტრულ გამოხატულებას. მისი სახე მსგავსი იყო ანგელოზის სახისა; უეჭველია, ამ გადამწყვეტ მომენტში იგი ღირსი გახდა სულიწმიდისაგან გაცისკროვნების, რამაც ფერი უცვალა მის გარეგნულ სახესაც, აქცია რა იგი ანგელოზებრივად.

თავი 7

მთავარდიაკონ სტეფანეს დასაცავი სიტყვა და მისი მოწამეობრივი აღსასრული

მღვდელმთავარმა ჰკითხა სტეფანეს: „მართალია რასაც ამბობენ?“ – აღიარებს თავს დამნაშავედ სტეფანე, რაშიც ბრალს დებდნენ, თუ არა. პასუხად ამ კითხვაზე სტეფანემ გრძელი დასაცავი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც ებრაელი ერის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გააკეთა აბრაამიდან სოლომონამდე და დასასრულს წარმოთქვა მამხილებელი სიტყვა თავის უსამართლო მსაჯულთა წინააღმდეგ. ამ სიტყვის მთავარი მიზანია მისდამი წარმოდგენილი ბრალდება უწესობაში მიმართოს ებრაელი ერის წინააღმდეგ. მთელი სიტყვის აზრი მოცულია 51-53-ე მუხლებში. სტეფანეს თითქოსდა ასე სურს თქვას – არა როგორც ღმერთის, სჯულის და ტაძრის მემობელი ვდგავარ აქ, არამედ როგორც მსხვერპლი ღმერთთან თქვენი წინააღმდეგობისა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეთ თქვენი მამებისაგან. მე მჯერა ჭეშმარიტი ღმერთის, ამიტომაც მსჯით მე. რათა ცხადად წარმოადგინოს ყოველივე ეს, სტეფანე იძულებულია მოჰყვეს ისტორია. იგი იწყებს ებრაელთა მამამთავრით აბრაამით, გადადის შემდგომ მის უახლოეს შთამომავლებზე, ებრაელი ერის წინა მამებზე, და უკვე აქ უჩვენებს მათ წინააღმდეგობას ღმერთისადმი მართალი იოსების ისტორიაში, რომელიც ერთი მხრივ, ღვთის განგებულებით აღმოჩნდა მთელი ერის მხსნელი. მიზნით განმართლდეს მოსეზე გმობის ბრალდებისაგან სტეფანე განსაკუთრებული გამოწვლილვით ჩერდება ებრაელთა ამ დიდი სჯულმდებლის ისტორიაზე, უსვამს რა ხაზს თავის ღრმა მისდამი პატივისცემას. აღთქმის კიდობნიდან სტეფანე გადადის სოლომონის ტაძრის მოწყობაზე. დაამოწმა რა თავისი შეხედულება ტაძარზე წინასწარმეტყველ ისაიას სიტყვებით (66:1-2), სტეფანე გადადის თავისი უსამართლო მსაჯულების გაბედული მხილებისაკენ, მიუთითებს რა მათ უმძიმეს ცოდვას მესიისა და ღმერთის წინაშე. სინედრიონის წევრები ძალიან განრისხდნენ ასეთი მხილების გამო, ხოლო როცა სტეფანემ უთხრა მათ განდიდებული უფლის ხილვის შესახებ, უკიდურესი ზიზღით აღივსნენ მის წინაშე და ქვით ჩაქოლეს. მთელი ეს დიდებული ქადაგება, როგორც ჩანს, აღწერილი იყო ვიდაც ქრისტიანობის საიდუმლო მიმდევრის მიერ, ნიკოდიმოსის ან გამაღიელის მიერ, ამიტომაც შეძლო ავტორმა მისი დაწერა.

„დიდების ღმერთი ეჩვენა ჩვენს მამას აბრაამს შუამდინარეთში ყოფნისას, ვიდრე ხარანში დასახლდებოდა“ – აქ თითქოსდა დაბადების წიგნის საწინააღმდეგო მოთხრობაა, ვინაიდან დაბადების წიგნის მიხედვით (11:31-32, 12:1), ღმერთი გამოეცხადა აბრაამს უკვე ქარანში, მაგრამ ფილონისა და ფლავიუსის მოწმობით, იუდეელებს გადმოცემის საფუძველზე სწამდათ, რომ ღმერთის აბრაამისადმი გამოცხადება მოხდა ქალდეის ურში, ქარანში გადასახლებამდე; რომ სწორედ ამ გამოცხადების შედეგად აბრაამის მამამ ფარამ მთელი თავისი ოჯახით გაემგზავრა ურიდან ქანაანში, მაგრამ გზაზე ქარანში გარდაიცვალა და მაშინ უფალი კვლავ გამოეცხადა აბრაამს იქ. გაუმეორა რა ჯერ კიდევ ურში მიცემული განკარგულება გამგზავრებულიყო ქანაანის ქვეყანაში. ამ გადმოცემას აქვს მტკიცებულება შემდგომ დაბადების წიგნში (15:7), სადაც უფალი ბრძანებს: „მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ქალდეელები ურიდან“. ეს მტკიცდება ნეემიას წიგნითაც (9:7).

„მასში ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც კი არ მისცა სამკვიდროდ“, თუმცა აბრაამი მოვიდა ქანაანის ქვეყანაში, ანუ პალესტინაში, ღმერთის ბოძებით, მაგრამ მას არ გააჩნდა იქ სამემკვიდრეო საადგილმამულო საკუთრება. ეს

იქედანაც ჩანს, რომ მას უნდა ეყიდა მინდორი და გამოქვაბული სარრას დასაფლავებისათვის ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან. (დაბ. 23თ.) სტეფანე მიუთითებს, რომ აბრაამისადმი როგორც შთამომავლობის, ასევე აღთქმული მიწის ბოძება მთლიანად მხოლოდ ღმერთის ნებაში მდგომარეობდა. ეგვიპტის მონობა ზუსტად 430 წელს გრძელდებოდა – სტეფანე კი მხოლოდ ამრგვალებს ამ რიცხვს. გამოთქმა „**მისცა მას წინდაცვეთის აღთქმა**“ გამოყენებულია იმისათვის, რათა აჩვენოს, რომ აღთქმის დიდება ღმერთის თავისუფალი მოქმედება იყო მის მიერ აბრაამისადმი და მისი შთამომავლობისადმი ბოძებული, რომ ღმერთი არ არის ამ აღთქმით შეზღუდული, არამედ მის შემდგომაც ქმნის მისთვის მხოლოდ სასიამოვნოს. „**პატრიარქებად**“ შემდგომ იწოდებიან იაკობის შვილები, როგორც ისრაელის 12 ტომის ფუძემდებლები, მამამთავრები. „**შეშურდათ იოსების და გაყიდეს**“ – შემთხვევით არ უსვამს სტეფანე ხაზს ამ შურს: მას სურს მიუთითოს, რომ ეს ბოროტი გრძნობა იყო უფლის იესო ქრისტეს ჯვარცმის მიზეზი, რომლის წინასახესაც წარმოადგენდა ძმების მიერ გაყიდული იოსები. სტეფანეს შემდგომი მონათხრობი იოსების შესახებ მთლიანად ეფუძნება დაბადების წიგნის მოწმობაზე, ისევე როგორც მონათხრობი მოსეზე გამოსვლათა წიგნიდან. იმის შესახებ, რომ მოსე „**განსწავლული იყო ეგვიპტეთა მთელი სიბრძნით**“, ძველი აღთქმის საღვთო წერილში არაფერი არ არის ნათქვამი, მაგრამ ამის შესახებ საუბრობს გადმოცემა, ფილონის მიერ ჩაწერლი, და არც არის გასაკვირი, რომ მოსემ, აღზრდილმა როგორც ფარაონის ასულის შვილმა, მიიღო ყველაზე უმაღლესი და მრავალმხრივი ეგვიპტური განათლება. ეს განათლება მაშინ უმთავრესად შედგებოდა ბუნებრივი მეცნიერებების შესწავლაში მაგიასთან, ასტრონომიასთან, მათემატიკასთან და მედიცინასთან ერთად. ყველა ეს გარეგნული სირძნე მოსესთვის უნდა ქცეულიყო ჭეშმარიტი ღმერთისადმი მისი უდიდესი მსახურების საქმეში იარაღად. გამოთქმა „**იყო ძლიერი თავისი სიტყვებით**“ არ ეწინააღმდეგება მოსეს მოწმობას თავის თავზე, რომ იგი ენამძიმე და ენაბრგვილი იყო. (გამოსვლ. 4:10). შესაძლებელია ენაბლუ იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მის ქადაგებას გამორჩეულიყო მისი შინაგანი ძალით, რომელსაც სულით ძლიერი ადამიანი გამოხატავს. სტეფანეს მითითება, რომ მოსე იყო 40 წლის, როცა დაჩაგრულ ებრაელს გამოესარჩლა, ეფუძნება გადმოცემას, რომ მოსეს 120 წლიდან ცხოვრება იყოფა სამ პერიოდად: 40 წელი ფარაონის სასახლეში, 40 წელი მადაიამის ქვეყანაში (გამოსვ. 7:7) და 40 წელი უდაბნოში ებრაელებთან ერთად ხეტიალისას. მოსეს მიერ ეგვიპტელის მკვლელობას სტეფანე წარმოდგენიდან როგორც მთელი ერის ეგვიპტელთა მონობისაგან მომასწავებელი განთავისუფლება, რაც ებრაელებმა ვერ გაიგეს ღმერთში რწმენის ნაკლებობისა გამო. შემდგომ სტეფანე მოსეს მადაიამის ქვეყანაში გაქცევისა და 40 წლის შემდეგ აღმოდებულ მაცვლოვანში მისდამი ღმერთის გამოცხადების შესახებ გამოსვლათა წიგნის შესაბამისად მოგვითხრობს. როგორც მოსე, ის უწოდებს მაცვლოვანში გამოცხადებულს „**იჰშოვას ანგელოზს**“, რომელშიც ძველები ყოველთვის გებულობდნენ „**ანგელოზის უდიდეს რჩევას**“, ღვთის სიტყვას ანუ ყოველადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასს. შემდგომ სტეფანე ზოგადად იწყებს მოსეს, როგორც გამომხსნელის, სასწაულმოქმედის, წინასწარმეტყველის, სჯულმდებელის და ღმერთსა და ებრაელ ერს შორის შუამდგომელის დიდებულების გამოხატვას, ამასთან ერთად მიუთითებს დაუმორჩილებლობაზეც, რომელსაც ავლენდა ებრაელი ერი მოსეს მიმართ და ღმერთის მიმართ. ფაქტს, რომ მოჩხუბარ ებრაელთაგან ერთერთმა უხეშად კრა ხელი მოსეს გამკიცხველი სიტყვებით: „**ვინ დაგნიშნა ჩვენს მთავრად და მსაჯულად?**“ სტეფანე ანზოგადებს, აკუთვნებს რა მას მთელ ერს იმ გაგებით, რომ ერთის სიტყვები იყვნენ გამოხატულება მთელი ერის სულის არასაიმედო მიმართულებისა. იგი, ერის

მიერ უარყოფილი, ღმერთმა, ერთი მხრივ, დააყენა არა მხოლოდ მსაჯულად და მთავრად, არამედ მსხნელადაც კი. სტეფანე მოსეს წარმოგვიდგენს აქ მესიის წინასახედ, რომელიც ასევე უარყვეს ებრაელებმა. სტეფანეს შემდგომ მოჰყავს მოსეს წინასწარმეტყველება, რომელშიც იგი მიუთითებს მესიის მოსვლაზე, რომლის წინასახედაც იგი ითვლება. (IIIჯ. 18:15) იხსენებს რა სინას სჯულდებას, სტეფანე ამბობს, რომ მოსემ ღვთის მცნებები ანგელოზის მეშვეობით მიიღო; გამოსვლათა წიგნში მცნებების გადაცემა მიწერილი აქვს თვით იეჰოვას, მაგრამ ფლავიუსი მიაწერს მას ანგელოსს, რაც წმ. მოც. პავლეს სიტყვებთან თანხმობაშია. (გალ. 3:18; ებრ. 2:2) შესაძლებელია აქ მხედველობაშია კვლავ „იეჰოვას ანგელოზი“, ე.ი. მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა. ცრუმოწმეები ამტკიცებდნენ, რომ სტეფანე არ ანებებს სჯულზე საგმობი სიტყვების თქმას – სტეფანე კი აქ აქებს სჯულს, უწოდებს რა მას „ცოცხალ სიტყვებს“ – ისეთს, რომლებიც მოიცავენ მოქმედ ცოცხალ ძალას. შემდგომ სტეფანე კიცხავს ებრაელებს მათი მოსესადმი დაუმორჩილებლობის გამო, შეახსენებს იმის შესახებ, თუ როგორ წყდებოდათ გული ეგვიპტიდან წამოსვლის გამო, თუ როგორ შექმნეს თავისთვის ოქროს ხო, რაშიც ჩანს გავლენა ეგვიპტური წარმართობისა, რომელიც აღმერთებდა ხარს აპირას. სტეფანე, ესესება რა წინასწარმეტყველ ამოსს (5:25-26), კიცხავს შემდგომ ებრაელებს, რომ ორმოცწლიანი ხეტიალის შემდეგ უდაბნოში ისინი ემსახურებოდნენ „ციურ მხედრობას“, ე.ი. თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. იგი პირდაპირ ასახელებს წარმართულ ღვთაებებს, რომლებსაც სცემდნენ თაყვანს უდაბნოში ებრაელები, განუდგებოდნენ რა ჭეშმარიტი ღმერთის მსახურებას. ესაა – მოლოხი, სირიისა და ქანაანის კერპი, რომლის სახელშიც განდმრთობლია მზე როგორ დედამიწაზე ნაყოფიერი საწყისი ცხოვრებისა და რემფა – კოპტური სახელწოდება არაბების, ფინიკიელებისა და ეგვიპტელების მიერ განდმრთობილი პლანეტის სატურნისა როგორც დროის სიმბოლო. შედგომ სტეფანე იმართლებს თავს იმ ბრალდებისაგან, რომ იგი არ ანებებდა საგმობი სიტყვების თქმას „იმ წმიდა ადგილზე“, ე.ი. ტაძარზე.

„მაგრამ მაღალი არ არის ხელთქმნილში დამკვიდრებული“ – ამბობს შემდგომ სტეფანე და მოჰყავს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები (66:1) იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველგანმყოფია და არ შემოიფარგლება ტაძრით. ამ საწინასწარმეტყველო სიტყვებით სტეფანე ანგრევს იუდეველთა დრომოჭმულ ცდუნებას, თითქოსდა იერუსალიმის ტაძარი ერთადერთი შესაძლებელი ადგილია ჭეშმარიტი ღვთისმსახურებისა. ეს იგივეა რაც ქრისტემ უთხრა სამარიტელს: **„დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს ადარ სცემთ მამას“.** (ინ. 4:21-23).

ამისდა კვალად, 51-ე მუხლიდან, სტეფანე ცვლის დასაცავ ტონს ბრალმდებლის ტონით თავის უსამართლო მსაჯულებზე: წინასწარმეტყველის აღფრთოვანებით იგი მიუთითებს ამ წარმომადგენლებს ებრაელი ერისა მათ უსამართლობაზე, რომ ისინი იქცნენ მოღალატეებად და მკვლელებად მასთან მოსული მართლისა, წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარმეტყველების – ე.ი. მესიისა. იგი უწოდებს მათ როგორც ამას აკეთებდნენ ძველი წინასწარმეტყველნი, „ქედფიცხელთ“, ე.ი. დაუმორჩილებლებს, ჯიუტებს და თვითნებას, ასევე გულით და ყურით დაუცვეთელ ადამიანებს. ეს განსაკუთრებით საწყენი იყო, ვინაიდან იუდეველები ამყოფდნენ თავიანთი წინასწარმეტყველებით, ხოლო წინდაუცვეთლობის აზრი მოიცავდა უწმინდურებისა და წარმართობის გაგებას. სტეფანე შეახსენებს მათ იმის შესახებ, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ისინი ყოველთვის სულიწმიდას, რა გამოიხატებოდა ებრაელების მიერ მათდამი წარმოგზავნილი წინასწარმეტყველების ცემასა და კვლამი და კიცხავს მათ სჯულის შეუსრულებლობაში.

ისმენდნენ რა ერთობ ძლიერ მხილებას ისინი სიბრაზისაგან მკერდს იგლეჯდნენ და კბილებს აღრჭიალებდნენ. სტეფანე კი სულიწმიდით აღვსილი, აღაპრო თავისი თვალები ზეცისკენ და დაინახა „ღვთის დიდება და ღვთის მარჯნივ მდგომი იესო“. და ეხლაც ხმამაღლა, როგორც გაბედული აღმსარებელი, უწოდებს იესოს იმ სახელით, რომლის გამოყენებაც თვით მას უყვარდა – „ძე კაცისა“, დანიელის საყოველთაოდ ცნობილ წინასწარმეტყველებასთან თანხმობით (7:13-14). ამან დამსწრეთა უკიდურეს ზომამდე გაღიზიანება გამოიწვია. მათ ამაში ღმერთის გმობა დაინახეს და ყურები დაიცეს, რათა არ მოესმინათ მისი, და ერთსულოვნად დაეძგერნენ მას, გაიყვანეს ქალაქგარეთ და ქვებით ჩაქოლეს. ეს იყო აღშფოთებული ფანატიკოსების თვითნებობა, რამდენადაც სინედრიონს არ ჰქონდა სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება, რისთვისაც მათ სჭირდებოდათ რომის ხელისუფლების თანხმობა-მოწმობა. რომაელთა გარნიზონმა, ჩვეულებრივ მცირემ იერუსალიმში, როგორც ჩანს, ვერ შეძლო გამკლავებოდა ძლიერადძრულ აღელვებას, პროკურატორები კი ჩვეულებრივ კესარიასი ცხოვრობდნენ და დრო სჭირდებოდათ, რათა მათთვის ეცნობებინათ და მიეღოთ გამაგრება აღშფოთების ჩასახშობად. „მოწმებმა თავიანთი ტანისამოსი დააწყვეს ერთი ჭაბუკის ფერხით, რომელსაც სავლე ერქვა“ – მოწმეებს, კანონით, პირველებს უნდა ესროლათ ქვა დამნაშავესათვის, ხოლო ფართო აღმოსავლურ სამოსს რომ არ შეეშალა ხელი, მათ იხდიდნენ. სავლე შემდგომში იქცა „წარმართთა მოციქულოად“ – პავლედ.

ჩაქოლილმა სტეფანემ ადავლინა ორგვარი ღოცვა ღმერთის მიმართ – თავის თავზე და თავის მკვლელებზე. ეს – ისეთივე ღოცვაა, რომელიც თავისი ზეციური მამისადმი ადავლინა ჯვარზე ვნებულმა ქრისტემაც. „ეს თქვა და მიიძინა“ – პირველმოწამის ამ აღსასრულს ავტორი უწოდებს მიძინებას.

თავი 8

ეკლესიაზე დიდი ღვენა სტეფანეს მოკვლის შემდეგ (მუხლები 1-4)

სტეფანეს მკვლელობა არ იყო ერთადერთი ფაქტი: იგი იყო იერუსალიმში ეკლესიაზე დიდი ღვენის დასაწყისი, გაგრძელდა რა შემდგომში რამდენიმე ხნით – რამდენად დიდი ხნით ზუსტად არ არის ცნობილი. საეკლესიო გადმოცემამ შემოგვინახა ის, რომ იმავე დღეს მოკლული იქნა სხვა დიაკონი, ნიკანორი და მასთან ერთად 2 000 ქრისტიანი (28 ივლისი). ყველა, გარდა მოციქულებისა, გაიფანტა, ე.ი. გარბოდნენ იუდეისა და სამარიის სხვა ქალაქებში. მოციქულები კი წმ. ქალაქს უყურებდნენ როგორც ადგილს, რომელიც დედამიწაზე ახალი ცათა სასუფეველის ცენტრად უნდა ქცეულიყო, ამიტომაც არ აძლევდნენ თავს უფლებას, დაეტოვებინათ ქალაქი. სტეფანე დაკრძალეს, როგორც ჩანს, არა ქრისტიანებმა, რომლებიც ვერ ბედავდნენ ამის გაკეთებას, არამედ „ღვთისმოსიშმა კაცებმა“ იუდეველთაგან, საიდუმლოდ კეთილგანწყობილებმა ქრისტიანებისადმი, რომელთაც გააჩნდათ ვაჟკაცობა, მსგავსად იოსებ არიმათიელის და ნიკოდიმოსისა, თავის დროზე მისულიყვნენ და დაემარხათ მოწამის გვამი. ამ ღვთისმოსიშ კაცებს ავტორი უპირისპირებს ქრისტიანობის ფანატიკოს მდევნელებს, როგორც იყო სავლე, იჭრებოდა რა სახლებში და ძალით გამოჰყავდა მამაკაცები და დედაკაცები, და საპყრობილეში ჰყრიდა მათ. ჩანს, სავლე იყო სინედრიონის იარაღი და ასეთი სახის ქმედებაზე მათგან უფლებამოსილი იყო. ამის შესახებ თვითონ აღიარებს გალატელთა მიმართ ეპისტოლეში. (1:13)

სამარიაში დიაკონ ფილიპეს მიერ ეკლესიის დაფუძნება და სიმონ მოგვის ნათლობა (5-13)

მაგრამ ქრისტეს მტრების ბოროტებას შედეგად ქრისტეს სარწმუნოების კიდევ უფრო მეტად გავრცელება ახლდა. გაფანტული ქრისტიანები ყველგან თესავდნენ ქრისტიანული სწავლების თესვს. 11:19 ჩანს, რომ ისინი გავიდნენ ფინიკიამდე, კვიპროსამდე და ანტიოქიამდე. ტერტულიანე წერდა: „წამებულია სისხლი – ქრისტიანთა თესვია“. ავტორი გადმოგვცემს უპირველესად სამარიტელთა მოქცევის შესახებ ფილიპე დიაკონის ქადაგების შედეგად. რომ ეს იყო დიაკონი, და არა ფილიპე 12-თაგანი, ჩანს იქიდან, რომ სამარიტელთა მოქცევის შემდეგ მასთან გაგზავნილნი იქნენ მოციქულნი პეტრე და იოანე მათზე ხელდასხმისათვის და სულიწმიდის გადმოსასვლელად. როგორც ჩანს, ფილიპეს სახლი და ოჯახი გააჩნდა კესარიაში და იქ მიდიოდა, ხოლო გზაზე გაჩერდა სამარიაში, რომელსაც ჰეროდე დიდმა შეუცვალა სებასტიად. ხელავდნენ რა სასწაულს, ფილიპეს მიერ აღსრულებულს, ხალხმა სიხარულით მიიღო მისი ქადაგება. მოციქულთა და მონათლულთა რიცხვში იყო ვიდაც სიმონ მოგვი, მანამდე ქალაქში თავისი მოგვობით განდიდებული. მის შესახებ იხსენებს წმ. იუსტინე მოწამე როგორც სამარიტელზე სოფელ გიტიდან. მაგრამ ეს იყო მოგვი არა იმ კეთილი გაგებით, როგორებიც იყვნენ სპარსელი მოგვები, სცეს რა თაყვანი ახალშობილ უფალს. ეს იყო ჯადოქარი. იმ დროში, რომაული და ბერძნული მოწმობით, მრავალი იყო ასეთი მაგიები, ქალდეველები, მატემატიკოსები, გოეთები, როგორც მათ უწოდებდნენ, რომლებიც ფლობდნენ რა ზოგიერთი საიდუმლო ძალების ცოდნას მაშინ ნაკლებად შეუსწავლელი ბუნებისა, თავი მოჰქონდათ არაჩვეულებრივ ადამიანებად. ზოგიერთი სნეულებების განკურნებით, შელოცვებით, მკითხაობით, სატანური საიდუმლოებებით ისინი ისე მოქმედებდნენ უმეცარი ხალხის მასაზე, რომ ხალხს სჯეროდა მათი, თითქოსდა მათ ურთიერთობა ჰქონდათ „უმაღლეს ძალებთან“. ასევე სიმონ მოგვზე ამბობდნენ, რომ „ეს ის ღვთიური ძალაა, დიდად რომ იწოდება“. ეს გამოხატულება გვახსენებს ჩვენ შემდგომში განვითარებულ ე.წ. „გნოსტიციზმს“, ერეტიკულ სწავლებას, ქრისტიანულ გაგებასთან შერწყმულ წარმართობას, ასწავლიდა რა ეონების შესახებ, ძალებზე, რომლებიც მოედინებოდნენ ღვთაებრივი სისავსიდან. როგორც ჩანს სიმონს თავი მოჰქონდა ეონად, ხალხი კი ყურს უგდებდა მას. მაგრამ ფილიპეს ქადაგების ძალა იმდენად დიდი იყო და მის მიერ აღსრულებული სასწაული იმდენად გამოაოგნებელი, ხალხმა ირწმუნა ქრისტე, და მოინათლა. მოინათლა თვით სიმონი, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას შემდგომ განვითარებულ ისტორიას, საეჭვოა, გუწრფელად გააკეთა ეს თუ არა. ფილიპეს სასწაულით მოხიბლული იგი, შესაძლებელია, იმედოვნებდა ასეთივე სასწაულების კეთების ძალის მოპოვებაში და ამით ფიქრობდა კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტის მოპოვებას ხალხში.

მოციქულები პეტრე და იოანე სამარიაში და სიმონ მოგვი (მუხლები 14-25)

სამარიელების მიერ ნათლობის მიღება იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ეს იყო პირველი ერი, რომელიც ქრისტიანულად იქცა იუდეველთა მეშვეობის გარეშე და ამასთან მოქცეულნი იყვნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე ელინისტი-მქადაგებლების მიერ. მოციქულებმა ეს იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალეს, რომ იმავე წამს მათთან პეტრე და იოანე გააგზავნეს მათზე ხელის დადებისათვის და სულიწმიდის მადლის მისანიჭებლად. აქ აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ პეტრე და იოანე იგზავნება სხვა მოციქულების მიერ, ე.ი.

აშკარაა, რომ ისინი არ თვლიან თავს მთელ მოციქულთა დასზე მადლა, არამედ თავს ვალდებულად თვლიან ადასრულონ დავალება, მათზე მოციქულთა დასის მიერ დაკისრებული. ხელდება, ამ შემთხვევაში – ეს მეორე საიდუმლოა, რომელიც შემდგომში აღესრულებოდა მირონცხების მეშვეობით და რომლის შესრულებაც არ შეეძლო ფილიპეს, იყო რა დიაკონი. **„როცა დაინახა სიმონმა, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმიდა, ფული მიუტანა მათ“** – როგორც ჩანს, სულიწმიდის მიღებას თან ახლდა რაღაც ხილული ნიშნები, რაც შენიშნა სიმონმა. აქედან ჩანს, რომ უკვე მონათლული სიმონი ვერ ეღიროსა სულიწმიდის მიღებას, ვინაიდან მაშინ არ იქნებოდა შესაძლებელი მისი ასეთი ქმედება. ალბათ, მისი რიგი ჯერ არ დამდგარიყო, ხოლო მან, ხედავს რა, თუ როგორია სულიწმიდის მოქმედება სხვებზე, არ დაელოდა რა თავის რიგს, იჩქარა ეთხოვა მოციქულებისათვის არა მხოლოდ სულიწმიდის მადლის მიღების შესახებ, არამედ თვით მისი სხვებზე გადაცემის ძალაუფლება. ამ მოთხოვნაში მოღალატურად გამოიხატა მოგვის ნამდვილი ხასიათი. როგორც ჩანს, იგი მოციქულებს მხოლოდ როგორც უმაღლესი მაგიური ძალის მატარებლებს ხედავდა, და სურდა, თავად მოეპოვებინა იგი, მისთვის უცნობი ძალა, რათა აემადლებინა თავისი მაგიური ხელობა. ფულის შეთავაზებით მან გამოამუღავნა თავი როგორც ადამიანი, რომელიც მზად იყო ეხელმძღვანელა თავის საქმიანობაში ვერცხლისმოყვარე და უწმინდური მოტივებით. „როგორღა მონათლეს იგი? – კითხულობს ოქროპირი და პასუხობს – ისევე როგორც ქრისტემ გამოარჩია იუდა.“ „შენი ვერცხლი შენვე გქონდეს შენს დასადუპავად“. ეს გამოთქმა უნდა გავიგოთ სიმონის ზნეობრივი მდგომარეობის დაღუპვის მითითების აზრით და მოწოდებით სინანულისაკენ. ეს ცოდვა იმდენად დიდი და მძიმეა, რომ წმ. პეტრე არც კი პირდება პატიებას, არამედ მხოლოდ სავარაუდოდ ეუბნება: **„ვინძლო მოგეტოს შენი გულისზრახვა“**. რატომ ასე? იმიტომ რომ ასეთი ცოდვა განსაკუთრებულ გუწრფელ სიყვარულს მოითხოვს, რასაც პეტრე სიმონში ვერ ხედავდა, რამდენადაც ეუბნება მას: **„ვინაიდან ვხედავ მწარე ნაღვლითა და უსამართლობით შებორკილს“** – სიმონი მწარე ნაღვლით მოწამლული, რომელში ძველად გველის შხამი მოიაზრებოდა. პეტრეს სიტყვებით შეშინებულმა სიმონმა შესთხოვა მოციქულებს ელოცათ მოსთვის, მაგრამ ასევე საეჭვოა, რომ გუწრფელად. საეკლესიო გამოცემა წარმოგვიდგენს მას შემდგომში როგორც ერთ-ერთ ქრისტიანობის უბოროტეს მტერს და ყველა ფილოსოფიური-გნოსტიკური ერესის მთავრად. მოგვიანებით იგი რომში ჩნდება, გამოდის იქ წმ. მოც. პეტრეს გააფთრებულ მტრად და უკანასკნელის ლოცვით მდ. ტიბროსში ჩავარდა, როცა ამ მდინარის გადალახვა სურდა, ჰაერში აწეული. მისმა ცოდვამ ეკლესიის ისტორიაში სიმონის სახელწოდება მიიღო, რაც ღვთის მადლის ან სამღვდლო ხარისხის ფულზე ყიდვას ან გაყიდვას გულისხმობს.

მოციქულებმა პეტრემ და იოანემ განამტკიცეს კიდევ უფრო თავიანთი ქადაგებით ქრისტეში მოქცეული სამართლებები და შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდნენ, ქადაგებდნენ რა გზადაზა.

ეთიოპიელი დედოფლის საჭურისის ფილიპეს მიერ მოქცევა (26-40)

სამარიელების მოქცევის კვალად მოხდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა – ქრისტეს სარწმუნოებაში ეთიოპიელი დიდებულის მოქცევა, რომელიც, როგორც თვლიან იყო პროზელიტი, ე.ი. წარმართი, რომელმაც იუდეველობა მიიღო, მაგრამ ჯერ კიდევ წინდაუცვეთელი. უფლის ანგელოზმა ფილიპეს უბრძანა შუადღეზე წასვლა სამხრეთისაკენ, გზაზე, რომელიც იერუსალიმიდან ღაზაში მიემართებოდა. ღაზა – ფილისტიმიის უძველესი 5 ქალაქიდან ერთ-ერთია,

რომელიც იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მდებარეობს, ხმელთაშუაზღვის ახლოს. შეასრულა რა ანგელოზის ბრძანება, ფილიპე გზაზე შეხვდა ეტლში მჯდომ ადამიანს, რომელსაც ავტორი სამი ნიშნით ახასიათებს: ეს იყო ეთიოპიელი, საჭურისი და დედოფლის საგანძურის მცველი. ის მდგომარეობა, რომ იგი ისაიას წინასწარმეტყველების წიგნს კითხულობდა, არ გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ მისი ებრაული წარმომავლობა, რამდენადაც მას ამ წიგნის წაკითხვა 70 მთარგმნელთა ბერძნული თარგმანიდანაც შეეძლო, რაც მტკიცდება ტექსტის განსაკუთრებულობით, რომელიც მოყვანილია 32-33 მუხლებში. სიტყვა „ვენუქი“ ნიშნავს საჭურისს. ასეთები აღმოსავლეთში იყვნენ სამეფოს პარამხანების მეთვალყურეები; ვენუქებს ხშირად უმაღლეს სახელმწიფოებრივ მოვალეობებზე ნიშნავდნენ, ამიტომაც ვენუქებად ხშირად იწოდებოდნენ ცნობილი დიდებულებიც, და არ მყოფნი საჭურისებად. საჭურისი, მოსეს სჯულით, არ შეიძლება შესულიყო იეჰოვას საზოგადოებაში, მაგრამ შესაძლებელია იყო მეორე ხარისხის პროზელიტი. ასეთი იყო, შესაძლებელია, ეს საჭურისიც, ეკავა რა მაღალი თანამდებობა დედოფალთან, კერძოდ, იგი იყო მისი მთელი საგანძურის მცველი, ამიტომაც, აღმოსავლური ტრადიციით, უეტყველია საჭურისი. ეთიოპია – იმ დროში ეგვიპტიდან სამხრეთით მდებარე ქვეყანა, სადაც ამჟამად აბისინია და ნუბია მდებარეობს. ეს ქვეყანა იმართებოდა ქალების მიერ და როგორც მეზობელ ეგვიპტეში ყველა მეფე ფარაონად იწოდებოდა, ასევე ეთიოპიაში ყველა დედოფალი იწოდებოდა კანდაკედ. ამ ქვეყნის მოსახლეობა მიეკუთვნებოდა სემიტურ რასას და საუბრობდა ძველებრაულთან ახლომყოფ ენაზე, მაგრამ იგი იყო წარმართული. ესენი იყვნენ ძველ აღთქმაში ხშირად მოხსენიებული კუშიტები. ღვთის სულის შეგონებით, მიუახლოვდა რა ფილიპე ვენუქის ეტლს და გაიგონა რა, რომ იგი ხმამაღლა კითხულობს ისაია წინასწარმეტყველის წიგნს, კითხა, ესმის კი მას რასაც კითხულობს; თავმდაბლობით და ბავშვური უბრალოებით დიდებულმა აღიარა, რომ არ ესმის წაკითხულის, და თხოვა ფილიპეს, რომ განემარტა. ისარგებლა რა იმით, რომ ვენუქი კითხულობდა ადგილს მესიის ტანჯვის შესახებ ისაია წინასწარმეტყველის წიგნის 53-ე თავიდან, ფილიპემ დაუწყო ქადაგება მას ქრისტეს შესახებ და ისე წარმატებულად, რომ, როცა ისინი მიუახლოვდნენ წყაროს, როგორც თვლიან, ელევფეროპოლსა და დაზას შორის, ვენუქმა ნათლობა შესთავაზა. კეთილმახარებელი ერთს მოითხოვს მისგან – მთელი გულით რწმენას და როცა მან აღიარა იესო ქრისტე ძე ღვთისად, მონათლა იგი. უფალს სურდა დაემტკიცებინა როგორც მონათლულისთვის, რომ მან ნამდვილად მიიღო უფლის ხსნა და ასევე მომნათველისთვისაც, რომ მის მიერ აღსრულებული ღვთის ნების შესაბამისია ორი სასწაულებრივი მოვლენით: სულიწმიდა გადმოვიდა ენუქზე, როგორც შემდგომში კორნელოსზე და უფლის ანგელოზმა წარიტაცა ფილიპე, ისე რომ ენუქი ვეღარ ხედავდა მას და თავისი გზა განაგრძო სიხარულით. ამ დროს ფილიპე აღმოჩნდა აშდოდში, ქალაქში, რომელიც დაზიდან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სადაც ქადაგებდა გზადაგზა მიდიოდა რა ჩრდილოეთისკენ, სანამ არ მივიდა კესარიაში. კესარია, როგორც ჩანს, მისი მუდმივი ადგილსამყოფელი იყო: ეს იყო დიდი ქალაქი ხმელთაშუაზღვასთან, იერუსალიმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, და წარმოადგენდა ადრე იუდეის რომაელი პროკურატორების ადგილსამყოფელს. ჰეროდე დიდის დროს აქ იყო სტრატონების ციხე-სიმაგრე. ჰეროდემ ალაშენა აქ ქალაქი და უწოდა მას კესარია ოქტავიანე ავგუსტუს კეისრის საპატივცემულოდ. ამ კესარიას სტრატონთა კესარიას უწოდებდნენ, ფილიპეს კესარიისაგან განსასხვავებლად, რომელიც ფილიპემ ალაშენა ლიბანის მთის ძირას, ქალაქის ადგილზე, რომელიც ადრე პანეად იწოდებოდა.

საეკლესიო გარდამოცემამ შემოგვინახა ცნობები ვენუქის შემდგომ ბედზე. ეძახდნენ მას ინდისს; ქვეყანაში დაბრუნებისას იგი იქ იყო პირველი

მქადაგებელი სახარებისა, მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე მრავალი, მათ შორის თავისი მბრძანებელი დედოფალი, რომელიც მონათლა.

თავი 9

სავლეს ქრისტესკენ მოქცევა დამასკოს გზაზე, მისი ნათლობა და დამასკოში ქადაგება (მუხლები 1-25)

ქრისტიანობის სამარიაში გავრცელებით და ქრისტეში პროზელიტ ევნუქის მოქცევით საფუძველი ჩაეყარა სახარების ქადაგებას წმიდა იუდეის ფარგლებს გარეთ. მალევე, ღვთის განგებულებით, კიდევ უფრო დიდი გაფართოება სახარებისეული ოლქებისა იდგა წინ მისი გადატანით წარმართულ სამყაროში. ამ მიზნისათვის უფალი ირჩევს თავისთვის საჭირო ჭურჭელს თავისი უბოროტესი მტრის სავლეს სახით, რომელიც უდიდეს „წარმართთა მოციქულად“ პავლედ იქცა. ეს თვით ის სავლეა, რომელმაც მოქმედი მონაწილეობა მიიღო სტეფანე პირველმოწამის სიკვდილში და ამის შემდეგ დაწყებულ დევნებში იერუსალიმში ეკლესიებზე. (საქმ. 8:1-3). არ დაკმაყოფილდა რა იერუსალიმით მან გადაწყვიტა თავისი ბოროტი დევნა ქრისტიანებისა გადაეტანა იუდაისტური სამყაროს ფარგლებს გარეთ. მან მღვდელმთავრისაგან გამოითხოვა წერილები დამასკოს სინაგოგებისადმი, რათა იქ მიეღო უფლებამოსილება სინაგოგებზე დევნის. სავლეს სულიერი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ, ადამიანური მოსაზრებით, გამორიცხავდა მასში რაიმე ცვლილების ყოველგვარ შესაძლებლობას. ავტორი წარმოგვიდგენს მას თითქოსდა ველურ, ხორცისმჭამელ ცხოველად, ესუთებოდა რა სული ქრისტიანებისადმი ფანატიკური ზიზღისაგან. ასეთი განწყობით იგი მიემართებოდა დამასკოში – უძველესი მთავარი ქალაქი სირიისა; სელევკიდების დროიდან მასში მრავალი ებრაელი ცხოვრობდა, ასე რომ ნერონს შეეძლო 10 000-მდე მათი მოკვლა, ფლავიუსის მოწმობით. იერუსალიმის სინედრიონი ყველა ებრაელს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რწმენის საქმეებში მის სასამართლო ძალაუფლებაში დაქვემდებარებულად თვლიდა, ამიტომ სავლეს, ჰქონდა რა მღვდელმთავრისაგან წერილები, შეეძლო ქრისტიანების მიყვანა იერუსალიმში მათი სინედრიონის სასამართლოზე გადაცემისათვის როგორც ღვთისმცემობელებისა და სარწმუნოების მოღალატეებისა.

ღვთის მადლმა გამოიწვია, ერთი მხრივ, გადამწყვეტი გარდაქმნა სავლეს ამ ბოროტ განწყობაში. როცა უკვე იგი უახლოვდებოდა დამასკოს, უეცრად ციდან მოეფინა ნათელი, იმდენად დამაბრმავებელი, რომ თავისი მოულოდნელობით დასცა იგი მიწაზე. ავტორი არ ამბობს პირდაპირ, რომ ამ ნათლის ბრწყინვალეობაში სავლემ დაინახა თვით იესო ქრისტეს სახე, მაგრამ მოთხრობის შემდგომი ნიშნები ამტკიცებენ ამას. თვით მოც. პავლემ მოწმობს 1კორ. 9:1 და 15:8, რომ ნათელში რომელმაც იგი მოიცვა იგი ხედავდა უფალს. ამით შეძრული სავლე დაეცა და უკვე ვერ ხედავს რა ვერაფერს, გაიგონა მხოლოდ ხმა, რომელიც ეუბნებოდა მას: „სავლე, სავლე, რატომ მდევნი მე?“ სავლე იმდენად მოუმზადებელი იყო ამ გამოცხადებისათვის, რომ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ უფალი პირდაპირ ეუბნება თავის სახელს და დასძენს: „რომელსაც შენ დევნი.“ უძღური ხარ შენ მთელი შენი ბოროტებით საქმის წინაშე, რომელიც ჩემი ღვთაებრივი ძალით აღესრულება. ამან სავლე გააოგნა და მან მორჩილად აღიარა გამოცხადებული თავის უფლად, ხოლო თავი – მის მონად და ჰკითხა: „რა გავაკეთო?“ უფალი ავალებს დამასკოში წასვლას, სადაც ეტყვიან, თუ რა უნდა აკეთოს. მღვდელმთავარმა და სინედრიონმა,

ეცობა, გაიყოლეს სავლეს გამცილებლები და თანაშემწეები, რომლებიც ამ განსაკუთრებული მოვლენის მოწმეებად იქცნენ, თუმცა ვერავის ხედავდნენ, არამედ მხოლოდ ხმა ესმოდათ. მოფენილი ნათლისაგან სავლე დაბრმავდა: ეს იყო ნაწილობრივ დასჯაც მდევნელისა, ნაწილობრივ სიმბოლური მინიშნება იმისა, რომ გახელილი თვალებით იყო ბრმა ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებასთან მიმართებაში. ღრმა სინანულში იგი სამი დღე არ ჭამდა და არ სვამდა. მას შემდეგ, რაც გამცილებლებმა ხელით მიიყვანეს დაბრმავებული სავლე დამასკოში. **„დამასკოში იყო ერთი მოწაფე, სახელად ანანია“** – სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქრისტიანი იყო იუდეველთაგან. თვით მოც. პავლე მოგვიანებით ახასიათებს მას, როგორც ღვთისმოსავ კაცს, ცხოვრობდა რა **სჯულურად** და სარგებლობდა მთელი დამასკოელი იუდეველების პატივისცემით (საქმ. 22:12). გადმოცემით, იგი შემდგომში იყო დამასკოს ეპისკოპოსი და აღესრულა მოწამეობრივად ელევფეროპოლისში. მისი ხსენებაა 1 ოქტომბერს. ხილვაში უფალმა უბრძანა მას სავლესთან წასვლა და მასზე ხელის დადება, რათა თვალები აეხილოს მას. ბავშვური გულახდილობით ანანია შეეპასუხა უფალს მისთვის ცნობილი ჭორების საფუძველზე სავლეს, როგორც ქრისტეს ეკლესიის მდევნელის შესახებ. უფალი ამშვიდებს ანანიას, მიუთითებს რა სავლეს უდიდეს მნიშვნელოვან მომავალზე: **„იგი ჩემი რჩეული ჭურჭელია“**. ანანიას ხელის დადების შემდეგ, სავლეს აეხილა თვალები და აღივსო სულიწმიდით. ეს იყო ღმერთის განსაკუთრებული წყალობის განსაკუთრებული სასწაული სავლეზე: როგორც შემდგომში კორნელ ასისტავზე; იგი გახდა ღირსი სულიწმიდის მადლისა ჯერ კიდევ ნათლობამდე.

„და მაშინვე, თითქოს ქერცლი მოსძვრაო მის თვალებს, აეხილა, ადგა და მოინათლა“ – არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც ნამდვილი ნივთიერება ქერცლის მსგავსი მოსძვრა თვალებს: ეს იყო მხოლოდ შინაგანი, პირადი შეგრძნება მისი. შემდგომ იგი მოინათლა, უეჭველია ანანიას ხელით. **„და მიიღო საჭმელი და მომაგრდა“** – „ვინაიდან დაუძღურდა – ამბობს წმ. იოანე ოქროპირი – მგზავრობისაგან, შიშისაგან, მარხვისაგან და ურვისაგან.“ **„და დარჩა იგი დამასკოში მყოფ მოწაფეებთან რამდენიმე დღე“**. ეს არ ეწინააღმდეგება თვით პავლეს სიტყვებს გალ. 1:17-ში და შემდგომ რომ თავისი დაბრუნებისას იგი მაშინვე გაემართა არაბეთში. ავტორი არ მიუთითებს სავლეს ამ მოგზაურობის შესახებ, დამასკოდან არაბეთში და კვლავ დამასკოში დაბრუნების შესახებ. ეს ჩვეულებრივია ლუკასათვის: იგი ტოვებს იმ მოვლენის აღწერას, რომლის შესახებ ცნობაც არ შემორჩენილა.

აქ არის მითითება იმაზე, რომ რამდენიმე დღის დამასკოში ყოფნის შემდეგ, სავლემ დაჰყო მასში **„მრავალი დღე“**. (მუხლი 23). სავლეს მგზნებარე სული ვერ ითმენდა სინელეს, და მან, იქცა რა ქრისტიანად, იგივე შემართებით, როგორითაც ქრისტიანებს დევნიდა, დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება სინაგოგებში. ძირითადი პუნქტი მისი ქადაგებისა იყო ის, რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა. ყველა მსმენელს უკვირდა ეს არაჩვეულებრივი ცვლილება, რომელიც სავლეში მოხდა. სავლე **„სულ უფრო ძლიერდებოდა“**, რასაკვირველია, უკვე არაბეთიდან დაბრუნებისას, სადაც იგი, როგორც ჩანს, სიწყნარეში და განმარტობაში მიეცა საღვთო წერილის შესწავლას უკვე ქრისტიანული თვალსაზრისით, ღვთის სულით განათებული. ამჯერად საღვთო წერილის საფუძველზე იგი ამტკიცებდა, რომ იესო არის ქრისტე, ე.ი. იუდეველების მიერ ნალოდები მესია. მისი ამ მტკიცებულების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მას იუდეველები შეთქმულებაში შეჰყავდა. სავლეს საბუთების უარყოფის შეუძლებლობამ იუდეველებში მისდამი ისეთი ზიზღი აღძრა, რომ მისი მოკვლა გადაწყვიტეს და ამისათვის დღე და ღამე ცავდნენ კარებს, ელოდნენ რა, როცა იგი ქალაქიდან გამოვიდოდა, რათა გზაზე აღესრულებინათ თავიანთი ბოროტი ზრახვა მოწმეების გარეშე. ჩანს, მათ გააჩნდათ ცნობა

სავლეს განზრახვის შესახებ, გამგზავრებულიყო იერუსალიმში. სავლე გაექცა ამ საფრთხეს, ჩაშვებული იქნა რა მოწაფეების მიერ ღამით გოდრიოთ გაღაენიდან, ალბათ, სახლის ფანჯარაში, რომელიც ქალაქის კედელს აკრავს. ამის შესახებ თვით პავლე მოციქულიც საუბრობს 2კორ. 11:32-ში.

მისი გაქცევა და იერუსალიმში ყოფნა (მუხლები 26-30)

„სავლე მივიდა იერუსალიმში“ – ეს იყო თვით პავლეს სიტყვები გალ. 1:18-ში, უკვე მისი მოქცევიდან სამი წლის შემდეგ: ნაწილი ამ დროისა მან არაბეთში გაატარა. იერუსალიმში ამ მისვლის და იქ ხანმოკლე ყოფნის შესახებ წმ. პავლე თვით იძლევა მოკლე ცნობებს გალ. 1:18-24-ში, რომლებიც ავტორის მონათხრობის სწორი გაგებისათვის უნდა გავითვალისწინოთ. წმ. პავლე, მისი სიტყვებით, იერუსალიმში დადიოდა საკუთრივ წმ. პეტრესთან შეხვედრისათვის და დაჰყო მასთან 15 დღე. ამასთან, სხვა მოციქულებს არ შეხვედრია, გარდა იაკობისა, უფლის ძმისა. იუდეაში ეკლესიები მას პირადად არ იცნობდნენ, მხოლოდ გადმოცემით. იერუსალიმიდან იგი წავიდა სირიაში და კილიკიაში. ამასთან, ავტორი წიგნისა ამატებს, რომ სავლე „**ცდილობდა მოწაფეებს შეერთებოდა**“, ე.ი. ქრისტიანებს, მაგრამ მათ ეშინოდათ მისი, არ ენდობოდნენ მას, და არ დებულბდნენ მას თავიანთ საზოგადოებაში. ეს გრძელდებოდა, რასაკვირველია მანამ, სანამ ბარნაბამ არ წარუდგინა იგი მოციქულებს. საეკლესიო გადმოცემით, ბარნაბა, სარგებლობდა რა იმ დროში მთელი ქრისტიანული საზოგადოების დიდი პატივისცემით ახალგაზრდულ წლებში სავლესთან ერთად გადიოდა აღზრდას გამალიელის სკოლაში. და მის შემდეგაც, როგორც კი გახდა ბარნაბა უფლის მოწაფე, ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს და დაობდნენ ქრისტეს შესახებ, მაგრამ სავლე ჯიუტი რჩებოდა დამასკოს წინა მოვლენამდე. ამჯერად ბარნაბამ, გაიგო რა მისი მოქცევის შესახებ, მოჰკიდა ხელი და მოციქულებთან მიიყვანა იგი. როგორც ჩანს, მოციქულები არ იმყოფებოდნენ მუდმივად იერუსალიმში, ამიტომაც სავლე მხოლოდ ორს შეხვდა – პეტრესა და იაკობს. მაშინ სავლემ ღიად დაიწყო იერუსალიმში მორწმუნებთან სიარული და თამამად ქადაგებდა უფალ იესოს შესახებ. ქადაგება მიმართული იყო როგორც იუდეველების მიმართ, ასევე გაბერძნებულების მიმართ. თავისი კილიკიის ტარსიდან წარმომავლობით თვითონაც გაბერძნებული იყო, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იგი განსაკუთრებით ცდილობდა ქრისტეში გაბერძნებულების მოქცევას. მაგრამ მათთან კამათმა, მათი ისეთი ზიზღი გამოიწვია, რომ ისინი მის მოკვლას ცდილობდნენ. ძმებმა, ე.ი. იერუსალიმელმა ქრისტიანებმა, გაიგეს რა ამის შესახებ, რათა ეხსნათ გაგზავნეს იგი კესარიაში (სტრატონის), ხოლო იქედან მის მშობლიურ ტარსში; პავლე ამას თვითონაც მოგვითხრობს გალ. 1:21-ში.

წმ. მოც. პეტრე ლიტიაში და მის მიერ ენეას განკურნება (მუხლები 31-35)

ქრისტიანების მთავარი დაუოკებელი მღვწელის მოქცევის შემდეგ დევნა ჩაწყნარდა და ქრისტიანულ ეკლესიებს პალესტინაში „**მშვიდობა ჰქონდა**“. ისინი „შენდებოდნენ“ და ატარებდნენ უფლის მოშიშებით ცხოვრებას. მორწმუნეთათვის უმაღლესი ნუგეშისმცემელი იყო არაჩვეულებრივი მოქმედებები ღვთის სულისა, რომელნიც მოციქულთა მეშვეობით

აღესრულებოდნენ. ორი ასეთი მოქმედების შესახებ მოგვითხრობს შემდგომ ავტორი.

„ყველა ადგილის შემოვლისას, პეტრე...“ – აქედან ჩანს, მოციქულებს ჰქონდათ ჩვევა მორწმუნეთა შემოვლა, უეჭველია, იმისათვის, რათა განემტკიცებინათ ისინი სარწმუნოებაში, გადაეწვევითათ მათში არსებული კითხვები და ა.შ. **„მივიდა წმიდებთანაც“** – „წმიდებად“ იწოდებიან ქრისტიანები, როგორც ღვთის მადლით განათლებულნი, განწმენდილნი. **„ლიდიაში მცხოვრებნი“** – ეს მცირე ქალაქია ხმელთაშუა ზღვასთან, იოპოლის მახლობლად, იერუსალიმიდან ჩრდ.-დასავლეთისაკენ. იქ პეტრე კურნავს დავრდომილ ენეას, თუ ვიმსჯელებთ სახელით ბერძენი და საეჭვოა ქრისტიანი, იმიტომ რომ იგი იწოდება უბრალოდ: **„ერთი კაცი“**. უნდა ავლნიშნოთ, რომ პეტრე არ ეკითხება მას სარწმუნოების შესახებ, ან ხედავს სულიერი ჭკრეცით მის რწმენას, ან იმედოვნებს მის გაღვიძებას თვით კურნების ფაქტით. ეს სასწაული გახდა საბაბი შარონის ვაკის მოსახლეობის ქრისტეში მოქცევისათვის.

წმ. მოც. პეტრეს იაფოში ყოფნა და მის მიერ ტაბითას აღდგინება (მუხლი 36-43)

შემდგომ პეტრე იაფოში მიდის, უძველეს ქალაქში, მდებარეობდა რა ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე იერუსალიმიდან ჩრდ.-დასავლეთისაკენ და აღადგენს იქ **„მოწაფეს“**, ე.ი. ქრისტიან ტაბითას, როგორც ჩანს ქვრივს, თუ ვიმსჯელებთ მისი კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ქვრივებისათვის. ტაბითა ნიშნავს ქურციკს: როგორც საკუთრივ ქალის სახელი, იგი ხშირად გვხვდება ბერძნებთან, ფლავიუსთან და ებრაელებთან. ქურციკი თავისი ლამაზი შეხედულების წყალობით, კოსტა მოძრაობითა და ულამაზესი თვალებით ებრაელებთან და აღმოსავლეთის სხვა ხალხთან ითვლებოდა ქალური სილამაზის სიმბოლოდ, ამიტომაც იქცა ქალის კერძო სახელად, როგორც მამაკაცის სახელი ლევი (JEB). მკვდარი დაასვენეს **„ზედათვალში“** –სახლის ზედა სართულში, რომელიც სამლოცველოდ გამოიყენებოდა. მთელი ქრისტიანული საზოგადოება დამწუხრებული იყო ასეთი ქველმოქმედის გარდაცვალების გამო, როგორც იყო ტაბითა, ამიტომაც გააგზავნეს პეტრესთან, რათა თხოვონ მას მალე მოსულიყო. **„გაუშვა გარეთ ყველანი“**, რათა არ აღელდეს რაიმე გარეგანი გრძნობებით მიეცეს ღოცვას, პეტრემ აღადგინა მკვდარი სიტყვებით: **„ტაბითა აღექი“**. ამ სასწაულით, რასაკვირველია, მრავალი ერწმუნა უფალს. პეტრემ კი მრავალი ხანი დაჰყო ვინმე სიმონთან, მეტყავესთან, ალბათ ქრისტიანთან. ამ ხელობას რაბინები უწმინდურ საქმიანობად თვლიდნენ, მაგრამ წმ. პეტრე, რასაკვირველია, ასეთ ცრურწმენებზე მაღლა იდგა.

თავი 10

პირველი წარმართის კორნილიოს ასისტავის მოქცევა ქრისტეში, დამაჯერებელი ჩვენების შემდეგ (1-48 მუხლები)

იმ დროს, როცა პეტრე იაფეში იმყოფებოდა, ღვთის სულმა მას მოუწოდა ჩაეყარა საფუძველი წარმართთა შორის ქრისტეს სარწმუნოების დიდი საქმისათვის. პირველი ქალაქი, რომელშიც წარმართთა ქრისტეში მოქცევა

ადესრულა, იყო უკვე ჩვენთვის ცნობილი პალესტინის კესარია, ანუ სტრატონის – ქალაქი, იყო რა ადრე რომაელი პროკურატორების რეზიდენცია, ამიტომაც განლაგებული იყო გარნიზონი ნამდვილი რომაელებისა, მეტად საიმედო, რასაკვირველია, ვიდრე ჯარი, რომელიც შემდგარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ამ ჯარში, ატარებდა რა ამიტომაც იტალიელთა სახელწოდებას, იყო ასისტავი სახელად კორნილი. მომდევნო მონათხრობიდან ჩანს, რომ იგი არ იყო პროზელიტი, არამედ ჩვეულებრივი წარმართი, გამოირჩეოდა რა მხოლოდ კეთილი რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათით. დამახასიათებელია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისათვის – პირველი წარმართის მოქცევისათვის – მოწოდებული იყო არა ვინმე სხვა, არამედ თვით მოციქულთა თავი პეტრე, თუმცა კესარიაში ცხოვრობდა ფილიპე – კეთილმასარობელი. ავტორის სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კორნილიოსი ხედავდა წარმართების სიცრუეს, და აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს. თავის ღვთისმოსაობას იგი გამოხატავდა კეთილი საქმეებით და სარწმუნოებისა და ცხოვრების კეთილ წესებში ჰყავდა მთელი თავისი სახლი. 30-ე მუხლიდან ჩანს, რომ კორნილიოსი ასევე იცავდა ლოცვის საათებს, რომელიც იუდეველების მიერ იყო მიღებული. და აი, ლოცვის დროს გამოეცხადა მას ანგელოზი, რომელმაც უბრძანა მას იოპიაში სიმონთან, პეტრედ წოდებული, კაცების გაგზავნა: **„იგი გეტყვის სიტყვებს, რომლითაც შენ ცხონდები და მთელი შენი სახლიც.“** ე.ი. გიქადაგებს სწავლებას, რომლის რწმენით მიიღებ ხსნას შენც და მთელი შენი ოჯახიც. კორნელიოსმა მაშინვე ადასრულა ანგელოზის ბრძანება, გააგზავნა რა იაფოში ორი თავისი მსახური და ერთი კეთილმასახური მეომარი, უამბო მათ ყოველივე იმისათვის რათა მათ შეძლონ პეტრეს აღძვრა მათთან მისასვლელად. კესარიიდან იაფომდე დაახლ. 40-45 ვერსი იყო. ამიტომ კორნელიოსის მიერ გაგზავნილნი მეცხრე საათის შემდეგ – ჩვენი დროით დღის სამი საათის შემდეგ – შეძლენ იაფოში მისვლა მეორე დღეს შუადღით. სწორედ ამ დროს – დაახლოებით ექვს საათზე – პეტრე ავიდა ტრადიციულად ერდოზე სალოცავად, მან იქ იგრძნო შიმშილი და მოიცვა **„გარინდება“**, ბერძნულად **„ექსტარის“** – ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი თითქოსდა თავს არ ეკუთვნის: ასეთ მდგომარეობაში გარე სამყარო მთელი თავისი შთაბეჭდილებებით ადამიანის გარე გრძნობებისთვის დახურულია და მისი შინაგანი გრძნობებისთვის სხვა, უხილავი სამყარო იღვბა. ასეთ მდგომარეობაში პეტრემ დაინახა **„გახსნილი ცა“** და მისგან გარდამომავალი რაღაც ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავს, რომელიც ოთხი კილით ეშვებოდა მიწაზე. ამ ტილოზე პეტრემ დაინახა მიწის ყოველნაირი ცხოველი – ოთხფეხი, ქვეწარმავალი და ცის ფრინველი. **„და ხმა იყო მის მიმართ: ადექი, პეტრე, დაკალი და ჭამე“**. შესაძლებელია, პეტრე იყო მუხლმოყრილი ან მიწაზე გაწოლილ ლოცვით მდგომარეობაში. ტილოში ყველა ცხოველი იყო – წმიდაც და უწმიდურიც. ციდან ხმა სთავაზობდა პეტრეს ეჭამა ყოველგვარი ცხოველი და არ განესხვაგებინა. მოციქულმა ამას, საკუთრივ, განკარგულების მიმართ მიაქცია თავისი ყურადღება, როგორც არაჩვეულებრივს, ამიტომაც მთელი ძალით შეეპასუხა: **„უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამია შებილწული და უწმინდური“**. ამაზე უფალმა უპასუხა: **„რაც ღმერთმა განწმინდა, ნუ მიიჩნევ შებილწულად“**. ამ სიტყვებში ხილვის მთელი აზრია ჩადებული, რომელიც თავიდან პეტრემ ვერ გაიგო, მაგრამ მალევე ახსნილი იქნა მისთვის. აზრი და მიზანი ხილვისა ასეთია: ყველა ეს ცხოველი სიმბოლურად ნიშნავენ მთელ კაცობრიობას: წმიდა ცხოველები აღნიშნავენ ღვთის რჩეულ ერს – ებრაელებს, ხოლო უწმიდური – წარმართებს, რომლებიც ღმერთმა ქრისტე გამომხსნელის ჯვარზე სიკვდილით განწმინდა, ამიტომაც დედამიწაზე ღვთის ახალ სამეფოში – მესიის სასუფეველში, ან ქრისტეს ეკლესიაში არ არის და არც შეიძლება იყოს სხვაობა იუდეველებსა და წარმართებს შორის – ყველა ერთნაირად

განიწმინდა ღვთის ტარივის ქრისტეს სისხლით და ყველა ერთნაირად ღირსია შევიდეს მის სასუფეველში. როგორც ჩანს 28-ე მუხლიდან, პეტრემ სწორად გაიგო შემდეგ აზრი ამ ხილვისა. ამ ხილვით იხსნება ახალი ეპოქა პირველქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში – ეპოქა ქრისტიანობაში წარმართების მოწოდებისა იუდეველთა შემწეობის გარეშე. ეს ხილვა სამგზის განმეორდა მისი გარდაუვალობის ნიშნად, ხოლო შემდგომ პეტრესთან მივიდნენ ასისთავ კორნელიოსის გამოგზავნილები. რამდენადაც პეტრემ, ვერ გაიგო რა მაშინვე ხილვის აზრი, გაოგნებაში მოვიდა. შეუძლია კი მას, როგორც იუდეველს, მიჰყვეს წარმართის მიპატიუებას, ამიტომაც მან მალევე მიიღო ახალი გამოცხადება ღვთის სულისაგან: **„გაჰყევი მათ, ნუ ყოყმანობ, ვინაიდან მე მოვაგვლინე ისინი“**. პეტრე იმწამსვე არ გამგზავრებულა, არამედ მიიპატიუა გამოგზავნილები თავის სახლში და გაუმასპინძლდა მათ, რასაკვირველია იმიტომ რომ გზა იყო შორი და ისინი გაემგზავრნენ მხოლოდ მომდევნო დღეს. მეორე დღეს, ე.ი. მეოთხე დღეს იმის შემდეგ, რაც კორნელიოსს ჰქონდა ხილვა, რაც 30-ე მუხლიდან ჩანს, ისინი კესარიაში მივიდნენ, სადაც მათ ელოდათ კორნელიოსი თავის ნათესავებთან და ოჯახთან ერთად. მაშასადამე, კორნელიოსის სახლში შეიკრიბა მეტნაკლებად ნიშნელოვანი საზოგადოება წარმართებისა, რომლებიც მზად იყვნენ ერწმუნათ ქრისტე. შეხვდა რა პეტრეს, კორნელიოსმა თაყვანი სცა მას, **„ფეხებში ჩაუვარდა“**. ამ მიწამდე თაყვანისცემაში გამოიხატა რაღაც განსაკუთრებული; შესაძლებელია, რომ კორნელიოსი, როგორც წარმართი, თვლიდა პეტრეს ჩვეულებრივ ადამიანზე მადლა, ამიტომაც პეტრემ გადაწყვეტილად უარყო ასეთი თაყვანისცემა სიტყვებით: **„ადექი, მეც კაცი ვარ“**. ე.ი. მე ისეთი კაცი ვარ, როგორც ყველა. ამაში ჩანს, რასაკვირველია, პეტრეს ღრმა თავმდაბლობა. დაინახა რა სახლში თავმოყრილი მრავალი წარმართი, წმ. პეტრემ თქვა, რომ იუდეველებს ეკრძალება ურთიერთობა, ანუ დაახლოება უცხოტომელებთან, მაგრამ რომ ღმერთმა გამოუხადა მათ, რათა მათ არ ჩაეთვალათ არცერთი ადამიანი უწმინდურად, ამიტომაც იგი მივიდა და ეკითხება, რა საქმისათვის დაუძახეს მათ. მოსეს სჯულით, არ ეკრძალება ებრაელებს შევიდეს ურთიერთობაში წარმართთან, მაგრამ მოგვიანებით, რაბინებმა ფარისეველთა გავლენით განავითარა სწავლება იმის შესახებ, რომ ებრაელისათვის წარმართის სახლში შესვლა ითვლებოდა შებიღვად. პეტრეს სიტყვებიდან ჩანს, რომ მან გაიგო აზრი მისდამი მიცემული ხილვისა. პეტრეს კითხვაზე პასუხში კორნელიოსმა მარტივად გადასცა მისდამი მიცემული ხილვის შესახებ. მაშინ პეტრემ დაიწყო თავის ქადაგება ქრისტეს შესახებ. პეტრეს სიტყვაში აშკარად დაყოფილია სამი შემადგენელი ნაწილი. 1. შესავალი გამოთქმა ცათა სასუფეველში განუყოფლად ყველა ერთად სიკეთის მოქმედი ადამიანების მიღების შესახებ. 2. მოკლე გადმოცემა იესო ქრისტეს მის სიკვდილამდე მოღვაწეობისა, 3. წინასწარმეტყველური გამოთქმების სესხება ყველას ხსნის შესახებ ქრისტეში. წმ. პეტრეს სიტყვე უცაბედად შეწყვეტილი ქნა ყველასათვის გამოგნებელი და მოულოდნელი გამოცხადებით: სულიწმიდა გადმოვიდა ყველა მსმენელზე. ეს ერთადერთი მაგალითია მთელ სამოციქულო ისტორიაში, როცა სულიწმიდა ქრისტიანულ საზოგადოებასთან შეერთებულზე გადმოვიდა ჯერ კიდევ მათ ნათლობამდე და ყოველგვარი ხილული საშუალებების გარეშე – ჩვეულებრივ მოციქულების მიერ ხელდასხმის გარეშე. ეს იყო განსაკუთრებული ნიშანი ღმერთისაგან იმ იუდეველთა დარწმუნებისათვის, რომლებიც წარმართებს უწმინდურებად და უღირსებად თვლიდნენ მესიის სასუფეველისათვის. მეტი სულიწმიდის მსგავსი განსაკუთრებული ბოძება ქრისტიანულ ისტორიაში არ გვხვდება. ნიშანმა გამოიწვია თავისი მოქმედება: **„მორწმუნენი წინაღცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ სულიწმიდის ნიჭი წარმართებსაც მოეფინათ.“** სულიწმიდის მოფენის ფაქტი უეჭველი იყო,

ვინაიდან მოვლენები, რომლებიც თან ახლდა მას, იგივე იყო, რაც ორმოცდამეათე დღეს (მუხლი 46). მაშინ პეტრემ, სწორად გაიგო რა ამ ნიშნის მნიშვნელობა, თქვა: „ვის შეუძლია წყლით ნათლისღება დაუკავოს იმათ, ვინც ჩვენსავით მიიღეს სულიწმიდა?“ – ე. ი.: არ არსებობს არანაირი წინააღმდეგობა ქრისტიანულ ასაზოგადოებასთან შესაერთებლად ნათლობის მეშვეობით ყოველგვარი იუდაისტური წეს-ჩვეულებების გარეშე იმათთვის, რომლებზეც თვით ღმერთმა აღასრულა თავისი მოწყალებით ასეთი სასწაული. მათი ნათლობისას წმ. პეტრემ მათი თხოვნით მათთან კიდევ რამდენიმე დღე დაჰყო, რასაკვირველია, ასწავლიდა და განამტკიცებდა მათ ქრისტიანულ სარწმუნოებაში. საეკლესიო გარდამოცემით, კორნელიოსი შემდგომში გახდა კესარიაში ეპიკოპოსი, ქადაგებდა ქრისტეს სხვადასხვა ქვეყანაში და დაასრულა თავისი ცხოვრება მოწამეობრივი სიკვდილით. მისი ხსენება აღესრულება 13 სექტემბერს.

თავი 11

პეტრეს გაკიცხვა წინდაცვეთილთა მხრიდან მის ურთიერთობის გამო წინდაუცვეთლებთან და მისი განმარტება (მუხლი 1-18)

კესარიაში წარმართობის ნათლობის შესახებ აღელვება მალევე გავრცელდა იუდეის მთელ საზოგადოებაში და ხმამ მიაღწია დანარჩენ მოციქულებთან წმ. პეტრეს იერუსალიმში დაბრუნებამდე. ამ ცნობამ მოციქულები და ძმობის უმრავლესობა გაახარა, მაგრამ ამავე დროს ეს მოვლენა, როგორც ახალი და არაჩვეულებრივი, არ შეიძლებოდა ჩავლილიყო იუდეველთა ცრურწმენების გამო უყურადღებოდ. როცა წმ. პეტრე დაბრუნდა იერუსალიმში, წინდაცვეთილებმა, ე.ი. ქრისტიანებმა ნამდვილ იუდეველთაგან, დაიწყეს მისი გაკიცხვა იმის გამო, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა და „ჭამდა მათთან ერთად.“ ეს იყო პირველი გამოვლინება მათი ცდუნებისა, ანუ ცრუსწავლებისაც კი, რომელიც შემდეგ დიდი სიმძაფრით გაავრცელეს ყველგან ქრისტიანთა შორის იუდეველთა ცრუმასწავლებლებმა, რომლებთანაც შემდგომ ძლიერად მოუხდათ ბრძოლა, განსაკუთრებით წმ. პავლეს. მოცემულ შემთხვევაში ცდუნდნენ, რასაკვირველია, არა იმით, რომ წარმართები მონათლნენ პეტრეს მიერ, არამედ იმით, რომ არ მათ მასთან ??????????, არამედ იგი წავიდა მათთან, ცხოვრობდა მათთან და ჭამდა მათ ერთად. ძველი აღთქმის სჯულის სიწმინდე, მათი შეხედულებით, ამას არ უშვებდა. შემდგომში ეს ცდუნება მოთხოვნებამდე მივიდა, რომ წარმართებმა, რომელთაც ქრისტიანობის მიღება სურდათ, თავდაპირველად უნდა წინადაცვითონ და აღასრულონ მოსეს სჯულის ყველა მოთხოვნილება (თ.15). პეტრეს მოუხდა თავის გამართლება. თავის გასასამართლებლად წმ. პეტრემ მათ ყველაფერი მოუთხრო, რაც მის თავს იოპში მოხდა – რაც მან ღმერთისაგან ხილვა იხილა და იმის შესახებ, რაც კორნელიოსის სახლში მოხდა. წმ. პეტრეს ტყუილუბრალოდ არ წაუყვანია თან ექვსი იაფოელი ქრისტიანი იუდეველთაგან, რომლებიც ყოველივე მომხდარის მოწმეები იყვნენ და ესხლა შეეძლოთ თავიანთი მხრიდან დაემტკიცებინათ ყოველივე მომხდარის ჭეშმარიტება. განმარტებაში პეტრემ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ წარმართებმა ისეთივე ნიჭი სულიწმიდისა მიიღეს, როგორც მათ ორმოცდამეათე დღეს, და რომ ეს არის ქრისტეს აღთქმის აღსრულება, რომელიც უფალმა ამაღლების წინ მისცა: „თქვენ არცთუ მრავალი დღის შემდეგ მონათლებით სულიწმიდით“ (საქმე 1:5). საგულისხმოა, რომ პეტრეს სიტყვებით, მან მხოლოდ „დაიწყო საუბარი“, რომ სულიწმიდა

გადმოვიდა მსმენელებზე; პეტრემ თავის სიტყვაში მიუთითა ღვთის ნებას იმ წარმართებზე. თუკი ღმერთმა ასეთი არაჩვეულებრივი ნიშნით მიიღო წარმართები თავის ეკლესიაში, მაშინ პეტრეს ნუთუ შეეძლო არ მიემართა მათთვის, როგორც თავისი ძმებისათვის? ამ სიტყვამ სიმშვიდე მოჰფინა ყველას: მსმენელები აღიდებდნენ კიდევ ღმერთს მოწყალეებისათვის, რომელიც წარმართებისათვის გამოავლინა.

ქრისტიანობის ქადაგება პალესტინის გარეთ, განსაკუთრებით ანტიოქიაში (მუხლი 19-21)

„ღევნამ არანაკლები სარგებლობა მოუტანა სახარების ქადაგებას“ – ამბობს წმ. ოქროპირი; ღვთის შედეგად გაფანტული ქრისტიანები თავდაპირველად არავის არ უქადაგებდნენ სახარებისეულ მოძღვრებას, გარდა იუდეველებისა, რომლებიც პალესტინის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდნენ, ფინიკიაში, კ. კვიპროსზე, და ანტიოქიაში, მაგრამ შემდეგ, შესაძლებელია მას შემდეგ, რაც ყველგან გავრცელდა ცნობა ასისტავ კორნელიოსის მოქცევის შესახებ, დაიწყო ქადაგება ანტიოქიაში „ბერძნებს“ შორისაც, ე.ი. წარმართებშიც. „ძალიან ბევრმა ირწმუნა და მოიქცა უფლისაკენ“. ანტიოქია - დიდი და აყვავებული ქალაქია სირიის ჩდ.-დასავლეთში, მდ. ორონტზე, ხმელთაშუა ზღვიდან ექვსი საათის გზაზე. იგი დააარსა ანტიოქემ, სელევკი ნიკატორეს მამამ – რომელმაც დააფუძნა სელევკიდების სამეფო. მოსახლეობა იქ ბერძნული იყო, მაგრამ იქ ბევრი ებრაელიც ცხოვრობდა. წიგნის ავტორი ხაზს უსვამს ანტიოქიელთა შორის სახარების ქადაგების განსაკუთრებულ წარმატებას: „და იყო უფლის ხელი მათთან“. და ნამდვილად, ანტიოქია ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად იქცა ქრისტიანობისა. მოციქულთა დროში ანტიოქია ყველა ეკლესიის მიტროპოლია იყო, მოციქულთა მიერ დაარსებული წარმართებს შორის.

ბარნაბა და სავლეს ანტიოქიაში (მუხლები 22-26)

როცა ხმა ანტიოქიაში სახარების ქადაგების ასეთი წარმატების შესახებ იერუსალიმამდე მივიდა, მოციქულებმა დააკისრეს ბარნაბას ანტიოქიაში წასვლა, შეჭველია იმისთვის, რათა შეეგონებინა იქ ყველა, წრფელი გულით დარჩენილიყვნენ უფალში და აეღო თავის თავზე პირველდაწყებითი ხელმძღვანელობა ამ ახალი და მრავალრიცხოვანი ქრისტიანული საზოგადოებისა. მივლენილი იქნა სწორედ ბარნაბა იმიტომ, რომ იგი იყო კვიპრელი, ე.ი. წარმოშობით კ. კვიპროსიდან, საიდანაც მიმდინარეობდა ზოგიერთი ანტიოქიელი მქადაგებელი და მას ადვილად შეეძლო მათთან დაახლოება და გულახდილი ურთიერთობა. გარდა ამისა, „იგი კეთილი კაცი იყო, სულიწმიდითა და რწმენით აღსავსე“ – გამოირჩეოდა განსაკუთრებული რბილი და სიყვარულით სავსე გულით და გააჩნდა დამაჯერებლობის ნიჭი და მანუგეშებლობა სიტყვაში, რისთვისაც მიიღო „ნუგეშის ძის“ სახელწოდება. მივიდა რა ანტიოქიაში, მან ვერ შენიშნა იქ ვერანაირი სინაკლულე და თავისი ქადაგებით კიდევ უფრო გაზარდა მორწმუნეთა რიცხვი.

სავლეს იერუსალიმში ქრისტიანულ საზოგადოებასთან მიმყვანმა ბარნაბამ, ეჭვგარეშეა, იცოდა რა მისი დანიშნულების შესახებ ყოფილიყო წარმართთა მოციქული, ამიტომ საჭიროდ ჩათვალა მოეძებნა იგი მის მშობლიურ ქალაქ ტარსში, მდებარეობდა რა ანტიოქიიდან არც თუ ისე შორს და მიიყვანა იგი ანტიოქიაში, რათა დაეწყო აქ მოციქულებრივი მოღვაწეობა ახალმოქცეულ წარმართებს შორის. მთელი წელი ისინი ერთად შრომობდნენ, ასწავლიდნენ „დიდბაღ ხალხს“. შემდგომ მოსდევს ავტორის მეტად მნიშვნელოვანი

მითითება, რომ „პირველად ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები“. აქამდე ისინი იწოდებოდნენ „მოწაფეებად“, „ძმებად“, „მორწმუნეებად“, „წმიდანებად“. ეს სახელწოდება „ქრისტიანი“ გაჩნდა არა თვით ქრისტიანულ საზოგადოებაში, არამედ ანტიოქიელი წარმართების მიერ ეწოდა უფლის იესო ქრისტეს მიმდევრებს. არ იცოდნენ რა დოგმატური და რელიგიურ-ისტორიული მნიშვნელობა მესიის სახელისა, მათ მიიღეს მისი ბერძული თარგმანი – ქრისტე – კერძო სახელად და მასზე ჩამოაყალიბეს პარტიის სახელი, მათი შეხედულებით, ან მისი მიმდევრების სექტა, მსგავსად იმისა როგორც ამბობდნენ: „ჰეროდიაანელი“, „კესარიელი“, „პომპეელი“ და ა.შ. ეს მიუთითებს, რომ უფლის მიმდევრებს აღარ თვლიდნენ იუდაისტურ სექტად, როგორც დასაწყისში იყო, და რომ ქრისტიანობა იქცა წარმართული სამყაროს ცნობიერებაში როგორც რაღაც დამოუკიდებელი, ასე რომ იუდეველებიც და წარმართებიც ერთად გაერთიანდნენ ამ საერთო სახელწოდების ქვეშ.

წინასწარმეტყველება შიმშილის შესახებ და იუდეაში მოწყალეობა ქრისტიანებს (მუხლი 27-30)

გულში ჩამწვდომია, რომ როგორც კი დაფუძნდა ეკლესია წარმართთა შორის ანტიოქიაში, იმავე წამს ამ ეკლესიასა და იუდეველებს შორის, პალესტინაში ეკლესიებს შორის ჩამოაყალიბდა ცხოველი ძმური ურთიერთობა და ერთობა. დედა ეკლესია ანტიოქიაში აგზავნის თავის მასწავლებლებს; ანტიოქიელი ქრისტიანები კი წარმართთაგან მირბიან ძმების დასახმარებლად, რომლებიც იუდეაში ცხოვრობდნენ, როცა იქ შიმშილი დადგა. ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ მივიდნენ იერუსალიმიდან ანტიოქიაში წინასწარმეტყველები და მათ შორის აგაბოსი, რომელმაც იწინასწარმეტყველა შიმშილის დადგომა, მაშინ ანტიოქიელმა ქრისტიანებმა დაადგინეს იუდეაში ქრისტიანებისთვის მოწყალეობა. იმავე წამს მოხდა ეს თუ მოგვიანებით, როცა შიმშილობა დადგა, ეს არ ჩანს, მაგრამ ასე თუ ისე, ამაში გამოვლინდა მგრძობიარე ძმური სიყვარული და ერთობა წარმართთაგან ქრისტიანებსა და იუდეველთაგან ქრისტიანებს შორის, შეადგენენ რა ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას.

ეს დიდი შიმშილობა ნამდვილად მოხდა, როგორც ამოწმებს ავტორი, კლავდიუს კეისრის დროს. ეს იყო რომის იმპერატორი, კაია კალიგულას მემკვიდრე, რომელსაც 41 და 45 წლებში ქრ.შ.-დან ტახტი ეკავა. ამასთან შიმშილი არა ერთხელ მძვინვარებდა რომის იმპერიის სხვადასხვა ოლქებში. ფლავიუსის მოწმობით, დაახლოებით 44 წელს დიდი შიმშილობა მძვინვარებდა მთელ პალესტინაში; დაახლ. 50 წელს შიმშილობა იყო თვით იტალიაში და სხვა პროვინციებში.

მოწყალეობა გაუგზავნეს „უხუცესებს“, ბარნაბასა და საელეს მეშვეობით. აქ პირველადაა მოხსენიებული სახელწოდება „უხუცესები“. როგორც ჩანს შემდგომი მონათხრობიდან (15:2,4,6,22,23; 20:17) და სხვა) და მოციქულთა ეპისტოლეებიდან (ტიტ. 1:4, 1ტიმ. 5:17,19), ესენი იყვნენ პირები, მოციქულთა ეკლესიაში, რომლებიც აღასრულებდნენ ცალკეული ქრისტიანული საზოგადოებების ხელმძღვანელ მოვალეობებს, მწყემსები და მასწავლებლები, საიდუმლოების აღმასრულებელი. (შეად. 20:17,28. ეფ. 4:11. 1პეტრე 5:1 და 1იაკ. 5:14-15). თავის მსახურებაში აყვანილნი იყვნენ ისინი მოციქულთაგან ხელდასხმის მეშვეობით (14:23) და ეპისკოპოსთაგან ხელდასხმის მეშვეობით (1ტიმ. 5:22). ზოგიერთ ქალაქში, სადაც ქრისტიანული საზოგადოებები მრავალრიცხოვანი იყო, როგორც, მაგალითად, იერუსალიმში, ეფესოში, მღვდლები იყვნენ რამდენიმე. (5:1,4 და 20:14). ეკლესიაში ამ მოვალეობის დაფუძნების შესახებ არ არის ასეთი პირდაპირი ცნობა, როგორც დიაკონების

დაფუძნების შესახებ, მაგრამ მღვდელთა ხელდასხმის ტრადიციას ახალდაფუძნებულ ქრისტიანულ საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ დაწესებულს ძალიან ადრე. (იხ. 14:23)

თავი 12

ეკლესიაზე დევნა ჰეროდეს მხრიდან. იაკობის მკვლელობა, პეტრეს დაპატიმრება და მისი იქედან სასწაულებრივი განთავისუფლება (მუხლ. 1-18). ჰეროდეს სიკვდილი (მუხლ. 19-23). ბარნაბასა და სავლეს ანტიოქიაში დაბრუნება (მუხლ. 24-25)

იმ დროს, როგორც კი ბარნაბა და სავლე, გაგზავნილები იუდეაში მოწყალებით, ეკლესიის სიმშვიდე დარღვეული იქნა დევნით, რომელიც იერუსალიმში მორწმუნეებზე აღძრა მეფე ჰეროდე აგრიპა I-მა. ეს იყო არისტობულესა და ვერენიკას შვილი, ჰეროდეს, დიდად წოდებულის შვილიშვილი, ძმისშვილი ჰეროდე ანტიპა გალილეისა, წმ. იოანე ნათლისმცემლის მკვლელისა. დაბადებულა დაახლ. 10 წელს ქრისტეს შობის წინ და აღზრდილმა რომში, მან მიიღო რომის იმპერატორ კაია კალიგულასაგან განსვენებული ბიძის ფილიპეს ტეტრარქია და ტეტრარქია ლირანის მეფის ტიტულით; მალევე მას მიეკუთვნა სხვა ბიძის, ჰეროდე ანტიპას ტეტრარქია; საბოლოოდ, იმპერატორმა კლავდიუსმა, კალიგულას მემკვიდრემ, შეუერთა მას იუდეა და სამარია. ასე რომ ჰეროდე აგრიპა I, როგორც მისი ბიძა, გახდა მეფე მთელ პალესტინაზე. მისი მეფობის უამს ცალკეული რომაელი პროკურატორები პალესტინას არ ჰყავდა. ეს იყო ცბიერი, ქარაფშუტა, ბედოვლათი მმართველი. რომში განათლებულმა, ფუქსავატმა, საეჭვოა სწამდა თუ არა იუდაიზმი, ჰეროდემ დაიწყო ქრისტიანების დევნა, რათა იუდეველები ესიამოვნებინა, ე.ი. აემადლებინა საკუთარი თავი იუდაისტური საზოგადოების თვალში, რომლებიც ვერ იტანდნენ ქრისტიანებს. იუდაისტური საეკლესიო-იერარქიული ხელისუფლების წარდმომადგენლებმა, დაინახეს რა ახალი მეფის თავისადმი განწყობილება და რომაული უმაღლესი ხელისუფლების მისდამი განწყობა, თავი წამოწია, იმედოვნებდნენ რა მისი მეშვეობით ქრისტიანობის მთელი ძალის განადგურებას.

მაშასადამე, უკვე პირველად იუდეველთა რელიგიურ-იერარქიულ ძალაუფლება სამოქალაქო ხელისუფლებასთან შედის კავშირში ქრისტიანობის განადგურების იმედით. დევნა იაკობის, იოანეს ძმის, მახვილით, მკვლელობით დაიწყო, ე.ი. თავის მოკვებით. პასექამდე რამდენიმე დღით ადრე მეფემ ბრძანა პეტრეს შეპყრობა და საპყრობილეში მისი ჩაგდება, რათა პასექის შემდეგ გადასცეს იგი სიკვდილს. სანახაობების მოყვარულს, როგორც რომში აღზრდილს, მეფეს სურდა მოციქულთა თავის დასჯით სახალხო სანახაობის მოწყობა. „ეკლესია კი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს მისთვის“ – ავტორს სურს, ხაზი გაუსვას, რომ შემდგომ განვითარებული მოვლენა პეტრეს სასწაულებრივი განთავისუფლების შესახებ, სხვათაშორის, მთელი ეკლესიის ლოცვის შედეგად იყო გამოწვეული. ოთხი ოთხეული ჯარისკაცი ცავდა პეტრეს, ამასთან, მიჯაჭვული იყო ორ მეომარზე და მასთან ერთად ეძინა კიდევ, ორმაგი ბორკილით შეკრულს. ადამიანური განსჯით, იმედი ხსნისა არანაირად არ არსებობდა. ჯარისკაცები მონაცველებდნენ. დასჯისთვის დადგენილი დღის წინადღით, პეტრეს ეძინა ორ მეომარს შორის, როცა მოულოდნელად წარდგა უფლის ანგელოზი და ნათელმა მოჰფინა მთელი

საპრობილე, ე.ი. საკანი, რომელშიც პეტრე იჯდა. აღსანიშნავია, რომ პეტრეს, უფლის ნებას მიანდო რა თავი, მშვიდად ეძინა. ანგელოზმა, ფერდში წაჰკრა რა პეტრეს, გაეღვიძა და უბრძანა მას ჩაეცვა და გაჰყოლოდა. მოულოდნელმა და არაჩვეულებრივმა მოვლენამ, პეტრე ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ის თვლიდა ყოველივე მომხდარს ჩვენებად. ასეთ მდგომარეობაში იგი გასცდა პირველ და მეორე საგუშაგოს. როცა ისინი მიუახლოვდნენ საპრობილის გასასვლელკარებს, ისინი თავისით გაიღო და პეტრე თავისუფლად გავიდა ქუჩაში. მხოლოდ მაშინ, როცა მათ გაიარეს ერთი ქუჩა, ანგელოზი იმწამს განშორდა მას, და მაშინ მიხვდა პეტრე, რომ ეს ყველაფერი ხილვა არ არის, არამედ ნამდვილი, და მადლობა შესწირა ღმერთს გათავისუფლებისათვის და იმისთვის, რომ ჰეროდეს განზრახვა დაირღვა და მასთან ერთად ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი იუდეველთა საზოგადოებისა.

დარწმუნებული, რომ იგი ნამდვილად განთავისუფლებულია და მიმოიხედა რა სად იმყოფება, პეტრე მივიდა მარიამის, იოანეს სახლთან „**მარკოზს რომ ეძახდნენ**“. გადმოცემა მასზე არაერთგვაროვანია. ერთი გადმოცემა, იხიარებს რა ნეტ. თეოფილაქტე, თვლის მას ერთ პიროვნებად მახარობელ მარკოზთან და მარკოზთან, ბარნაბას დისწულთან. სხვა გადმოცემა განასხვავებს მას მარკოზ მახარებლისაგან და ბარნაბას დისწულისაგან. **მესამე თვლის მას ბარნაბას დისწულად, განასხვავებს რა, ერთ მხრივ ბარნაბას დისწულისაგან.** ამ სახლში მრავალი იკრიბებოდა, ლოცულობდნენ რა პეტრეს განთავისუფლების შესახებ. როცა პეტრემ დააკაკუნა, მოახლე როდა მივიდა კარების გასაღებად. იცნო რა პეტრეს ხმა ისე გაუხარდა, რომ კარიც არ გაუღია შინ შევარდა გახარებული და შეატყობინა ეს სასიხარულო ამბავი ყველა მორწმუნეს. ეს ამბავი მრავალს იმდენად არანამდვილად მოეჩვენა, რომ ისინი მზად იყვნენ როდა ჭკუაშეშლილად ეღიარებინათ. ზოგიერთნი გამოთქვამდნენ აზრს, რომ ეს პეტრეს ანგელოზიაო. ეს წინადადება ამტკიცებს, რომ იმთავითვე ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობდა სწავლა მფარველი ანგელოზების შესახებ, ზრუნავდნენ რა ადამიანთა ხსნისათვის. და როცა მეორე დაკაკუნების შემდეგ პეტრეს გაუღეს კარი და დაინახეს იგი, მაშინ გაოგნდნენ ისინი იმით, რომ ეს ნამდვილად იგია. მოუთხრო თავისი სასწაულებრივი განთავისუფლების შესახებ და უბრძანა მათ შეეცდებინებინათ იაკობისათვის, რასაკვირველია, უფლის ძმისთვის, იერუსალიმის ეკლესიის წინამძღოლისთვის და „ძმებისთვის“, ე.ი. ქრისტიანული საზოგადოების სხვა წევრებისათვის, პეტრე „**სხვაგან წავიდა**“. თუ რა ადგილია ეს, ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ გადმოცემა არის, რომ პეტრე კლავდიას იმპერატორობის პირველ წლებში იყო რომში. ეს სწორედ ემთხვევა განხილულ დროს, როცა იყო ქრისტეს შობიდან 44წ., იუდაისტური პასექის შემდეგ და მეოთხე წელი კლავდიუსის მეფობისა. პეტრეს შესახებ „საქმე მოციქულთას“ წიგნში მეტი აღარ მოიხსენება მოციქულთა კრებამდე იერუსალიმში, რომელიც 51 წელს შედგა (თ.15). უნდა წარმოვიდგინოთ ჯარისკაცთა გაოცება, როცა მათ პეტრეს გაუჩინარება დაინახეს. ჰეროდემ მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. თვით კი კესარიაში გაემგზავრა. ამისდა კვლავად, ავტორი ღვთის საშინელ სასჯელს აღწერს, რომელიც ქრისტეს ეკლესიის მღვწეულებს დაატყდათ თავს. ჰეროდე რადაციის გამო განრისხებული იყო ტვიროსელებზე და სიდონელებზე. რამდენადაც ჰეროდეს მფლობელობაში მყოფი ზღვისპირა ქალაქები მცხოვრებთათვის მათ მიერ სხვა ქვეყნებიდან ჩამოზიდული საქონელის ხორბალზე გაცვლის უმთავრესი ადგილი იყო, რომლის დამუშავებაზე თვით ისინი არ ზრუნავდნენ, ამიტომაც მათ არ აწყობდათ ჰეროდესთან კამათი და მათ ჰეროდესთან გაგზავნეს დელეგაცია სამშვიდობო ურთიერთობის შენარჩუნებაზე თხოვნით. სამეფო ხელისუფლების მესაწოლის წყალობით მათ მიაღწიეს მეფესთან აუდიენცია. „მესაწოლში“ ლათინურად „*prefektus kubikuli*“, იწოდება მეფის განსაკუთრებულობის დროს

მთავარი მსახური, კამერგერი, უმაღლესი წარჩინებული და სამეფო განხილვის მცველი, პირი ჩვეულებრივ ერთობ გავლენიანი და ძლიერი.

აუდიენციის დღეს ჰეროდე ცრუ საპარადო სამეფო სამოსელში შეიმოსა, რომელიც ფლავიუსის თქმით, სულ ვერცხლისა იყო და დაჯდა განსაკუთრებულად ამაღლებულ ადგილზე, უნდა ვიფიქროთ თეატრში, ვინაიდან ეს ხდებოდა მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით. ხალხმა მოხიბლულმა სამეფო დიდი მშვენიერებით, სიბრმავისაგან ყვირილი დაიწყო: „ეს ხმაა ღვთისა და არა ადამიანისა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვები ერის წარმართული ნაწილისაგან წამოვიდა და არა იუდაისტური, რომლებიც წინააღმდეგნი იქნებოდნენ მსგავსი წამოძახილების. მაგრამ უფლის ანგელოზმა დასცა ამპარტავანი, უეჭველად იმის გამო, რომ მან არ შეწყვიტა ღვთის მგობი გამოძახილები, არამედ სიამონებით უსმენდა მათ, ისეთი ავადმყოფურობით, რომ იგი ცოცხლად იყო მატლების მიერ შეჭმული და მოკვდენილი. მის შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს იოსებ ფლავიუსი. დევნის მიუხედავად, რომელიც ჰეროდემ აწარმოა, „უფლის სიტყვა კი იზრდებოდა და ვრცელდებოდა“. ბარნაბამ და სავლემ გაასრულეს მათდამი დავალებული საქმე იუდეაში მოწყალების გაცემისა და დაბრუნდნენ ანტიოქიაში, წაიყვანეს რა იოანე მარკოზად წოდებული.

ნაწილი II

ქრისტეს ეკლესია წარმართთა შორის

თავები 13–28

თავი 13

ბარნაბასა და სავლეს კვიპროსში მოგზაურობა და პავლეს მიერ პროკონსულ სერგის მოქცევა

პირველ ქრისტიანულ ეკლესიაში სულიწმიდის ნიჭებიდან განსაკუთრებული იყო წინასწარმეტყველება და მასწავლებლობა, რომელთაც ფლობდნენ მხოლოდ ზოგიერთი რჩეული. აღწერილი დროისათვის ანტიოქიის ეკლესიამ მიაღწია ისეთ სულიერ აღმავლობას, რომ მას ჰყავდა წინასწარმეტყველები და მქადაგებლები. მათგან პირველ ადგილზე ავტორი მიუთითებს ბარნაბას, ალბათ მისდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამო და ანტიოქიის ეკლესიის მოწყობაში განსაკუთრებული მონაწილეობისა გამო, ხოლო სავლეს – უკანასკნელ ადგილზე, რამდენადაც იგი ყველაზე გვიან შევიდა ანტიოქიის ეკლესიასთან ურთიერთობაში, ამასთან მისი მოციქულებრივი მოღვაწეობა მხოლოდ იწყებოდა. ავტორი მოიხსენებს ასევე კიდევ სამს, რომელთა შესახებ ახალი აღთქმის წიგნებში არაფერია ცნობილი: სიმეონს, ნიგერად წოდებულს, რაც ნიშნავს „შავს“, ალბათ რომაელი პროზელიტებისაგან, როგორც ეს შეიძლება მისი სახელწოდებით მივხვდეთ, ლუკია, ან ლუცია კვირინელი, ალბათ ეს პიროვნება იგივე, რაც პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეში 16:21, მანაილი, ანუ მანაინი, ტეტრარქ ჰეროდეს ძუძუმტე, ე.ი. ჰეროდე ანტიპას, გალილეველი ტეტრარქისა. ეს შენიშვნა საგულისხმოა: ჰეროდე დიდის სასახლის კარზე აღზრდამ არ მოახდინა მასზე გავლენა. **„როცა ისინი უფალს ემსახურებოდნენ“** – ბერძნული სიტყვა, აქ გამოყენებული ეძღვნება ტაძრის ღვთისმსახურებას: ალბათ ეს იყო ევქარისტია. ამასთან ერთად უნდა ავღნიშნოთ, რომ ისინი მარხულობდნენ. თანამედროვე სექტანტები, ირწმუნებიან რა, რომ ისინი მთლიანად მისდევენ საღვთო წერილს, უარყოფენ მარხვას. ამ ღვთისმსახურების დროს სულიწმიდამ, ალბათ ერთის ან რამდენიმე წინასწარმეტყველის მეშვეობით, ბრძანა **„ბარნაბასა და სავლეს გამოყოფა იმ საქმეზე, რაზეც მათ მოუწოდა“**, ე.ი. ქრისტეს ეკლესიის განსაკუთრებულ მადლმოსილ მსახურებაზე. შემდეგ როგორც ჩანს, ეს იყო მისიონერული მსახურება წარმართთა ქრისტეში მოსაქცევად. მნიშვნელოვანია ხელის დასხმა ბარნაბასა და სავლესზე, რომელსაც წინ უძღოდა ლოცვა და მარხვა. ეს იყო ხელდასხმა მათ მოციქულებრივ მსახურებაზე.

ისინი გაუდგნენ გზას, როგორც ჩანს, იოანე მარკოზის თანხლებით, რომელიც უნდა მომსახურებოდა და დახმარებოდა მათ, ნათლავდნენ რა ახლადმოქცეულთ და აღასრულებდნენ მეორეხარისხოვან მოვალეობებს. პირველ რიგში ისინი კ. კვიპროსზე გაემგზავრნენ, რომელიც ხმელთაშუა ზღვის

კუნძულებიდან ყველაზე ახლო იყო ანტიოქიასთან. ეს ადგილი ყველაზე შესაფერისი იყო იმისათვის, რათა მისით დაემყარებინათ სხვა დანარჩენ წარმართულ სამყაროსთან ურთიერთობა. თვით ბარნაბი ამ კუნძულიდან იყო. მასზე მრავალი იუდეველი ცხოვრობდა. თავად კუნძულებრივი მდგომარეობით მათ ახლო ურთიერთობა შეეძლოთ დაემყარებინათ წარმართებთან, ვიდრე მათ მატერიკზე; როგორც საზღვაო ვაჭრობით დაკავებულნი, კუნძულის მაცხოვრებელთ ცხოველი ურთიერთობები ჰქონდათ გაჩაღებული გარშემომყოფ მატერიკებთან, განსაკუთრებით მცირე აზიის სამხრეთ ოლქებთან, საითკენაც შემდგომ გასცურეს მოციქულებმა. ანტიოქიიდან კვიპოსში რომ გამგზავრებულიყვნენ, ისინი სელევკიაში უნდა მისულიყვნენ – პატარა საპორტო ქალაქში მდ. ორონტოს შესართავთან, რომელზეც მდებარეობდა ანტიოქია. აქ ისინი დაჯდნენ გემზე და გაემგზავრნენ კვიპოსსზე, გადმოსხდნენ რა კუნძულის აღმ. სანაპიროზე ქ. სამალინიში. რამდენადაც ბარნაბი წარმომავლობით კვიპოსის იუდეველთაგანი იყო, ამიტომაც ბუნებრივია, რომ მათ ქრისტეს შესახებ ქადაგებით მიმართეს იქაურ იუდეველებს მათ სინაგოგებში. წმ. პავლე ადრეც იცავდა წესს ჯერ იუდეველებისთვის ექადაგა, ხოლო შემდეგ წარმართებისათვის. სხვადასხვა დავალებათა შესასრულებლად მათ თან ახლდათ იოანე-მარკოზი. სამალინიდან შემდგომ ისინი წავიდნენ დასავლეთისკენ და მთელი კუნძული მოიარეს ქ. პაფოსამდე, რომელიც დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ეს იყო მთავარი ქალაქი – ადგილსამყოფელი რომაელი პროკონსულისა, კვიპოსის მმართველისა. იქ მათ ნახეს ვიღაც მოგვი, სახელად ბარიესუსი (რაც საკუთრივ ნიშნავს „იესოს ძეს“). ავტორი მას ცრუწინასწარმეტყველს უწოდებს. თვით იგი იუდეველი იყო, მაგრამ რატომღაც ატარებდა არაბულ სახელს, ელიმს, ალბათ იმიტომ, რომ წარმომავლობით არაბეთიდან იყო, ან უბრალოდ დაირქვა ეს სახელი, რათა აღმოსავლელ ბრძენად ჩათვლილიყო. ჩანს, ამ მოგვს გავლენა ჰქონდა პროკონსულ სერგი პავლეზე, რომელსაც წიგნის ავტორი „გონიერ კაცს“ უწოდებს, რამდენადაც იგი ცდილობდა მის დაბრკოლებას ქრისტეს სარწმუნოებისაგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ პროკონსული არ იყო კმაყოფილი წარმართული რელიგიით და თავისთან ჰყავდა იუდეველი მოგვი, იმედოვნებდა რა მისი სიბრძნით და ცოდნით თავის დაკმაყოფილებას, მაგრამ ვერ იპოვა რა ეს, ისურვა, მიემართა ახალი მოძღვრების მქადაგებელთათვის, რომლებიც მის ქალაქში მოვიდნენ. ელიმი, რაც თარგმანით „მოგვს“ ნიშნავს, შეეწინააღმდეგა მათ, შეეშინდა რა პროკონსულზე თავისი გავლენის დაკარგვისა. **„ხოლო სავლე, იგივე პავლე, აღივსო სულიწმიდით, მიაპყრო მას მზერა და უთხრო: ჰოი, ყოველგვარი მზაკვარებითა და ყოველგვარი სიბოროტით აღვსილო, ეშმაკის ძეო და ყოველივე მართლის მტერო...“** და დააბრმავა იგი. მოგვის ამ მხილვებამ, შეერთებული სასწაულებრივი ნიშნით, პროკონსულზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ისეთი, რომ უკვე ყოველგვარი ეჭვის გარეშე დარწმუნდა ქრისტეში. აქ აღსანიშნია ის, რომ ამიერიდან სავლე წყვეტს ამ სახელის ტარებას, შემდომ იგი იწოდება პავლედ, რომლითაც იგი ისტორიაში შევიდა. უძველესი განმმარტებლების უმრავლესობა თვლის, რომ სახელის ეს შეცვლა გამოწვეული იყო იმის კვალად, როცა სავლე მის მიერ პირველი სასწაულის აღსრულებითა და პროკონსულ სერგი პავლეს მოქცევით, გახდა რა მისი პირველი მრევლი, მიიღო ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მოსაგონებლად სახელი პავლე. საგულისხმოა, რომ ამ დროიდან პავლე, როგორც გამომვლენი თავისთავსში სულიწმიდის განსაკუთრებული ძალისა და მათ მაჩვენებელი თავის თავისა, როგორც წარმართთა მთავარი მოციქულისა, დგას პირველ ადგილზე. იმ დროს, როცა ამ მოვლენამდე ავტორი პირველად ბარნაბის სახელს აყენებდა წინ და წერდა „ბარნაბი და სავლე“, ამ მომენტიდან იგი მუდმივად წერს: „პავლე და ბარნაბი“. სხვა განმმარტებლები სხვა წინადადებას

გამოთქვამდნენ, რომ სავლე – ეს ებრაული სახელია, ხოლო პავლე – რომაული, რომელსაც ატარებდა სავლე თავისი შობიდან, როგორც რომის მოქალაქე. დასაწყისში, როგორც გულმოდგინე ფარისეველი, იგი მოხსენიებულია თავისი ებრაული სახელით სავლე, როცა კი იგი წარმართულ სამყაროში საქადაგებლად შევიდა, მან დაიწყო თავისი რომაული სახელის გამოყენება.

წმ. მოც. პავლეს პერგიაში და პირიდიის ანტიოქიაში მოგზაურობა და მისი სიტყვა სინაგოგაში (მუხლები 13-41)

„პაფოსიდან გამგზავრებული პავლე და მასთან მყოფნი, პამფილიის პერგეში მივიდნენ“, მალევე პავლე მისიის სათავეში ხვდება: „პავლე და მასთან მყოფნი“, რომლებშიც, რასაკვირველია, ბარნაბი და იოანე-მარკოზი იგულისხმება და შესაძლებელია, ვინმე ახლადმოქცეულ კვიპრიანელთაგანი. პამფილია – კვიპროსიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე მცირე აზიის ახლო ოლქია, ხოლო პერგია – ამ ოლქის მთავარი ქალაქი, არცთუ ისე შორს ზღვიდან მდ. ცესტრეზე. არ არის ცნობილი თუ რა მიზეზით, შესაძლებელია ხასიათის სისუსტით, თუ შიშით, რამდენადაც პავლე არ აქებდა მას (15:37-39), იოანე ჩამოშორდა მოციქულებს და იერუსალიმში დაბრუნდა. ისინი კი, ე.ი. პავლე თავისი მგზავრებით მივიდნენ პირიდიის ანტიოქიაში. ეს იყო პირიდიის ოლქის, პამფილიიდან ჩრდილოეთით მდებარე, მცირე აზიის შუაში, მთავარი ქალაქი. შევიდნენ რა სინაგოგაში შაბათ დღეს, ისინი დასხდნენ, რჯულისა და წინასწარმეტყველთა წაკითხვის შემდეგ თვით სინაგოგის უფროსებმა შესთავაზეს მათ, ხალხისადმი დამრიგებლური სიტყვით მიემართათ. სინაგოგის მთავარი – „არქისინაგოგი“, ჩვეულებრივ ერთი იყო, ხოლო აქ მხედველობაშია ალბათ უხუცესები, არქისინაგოგთან საბჭოს წევრები. ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ პავლეს და მის თანამგზავრებს იმიტომ მიმართეს, რომ ისინი რაბინების სკამებზე დასხდნენ. შესაძლებელია, ერთი მხრივ, შეხედულება, რომ პავლე და ბარნაბა ჯერ კიდევ ადრე მათ მიერ სინაგოგის სტუმრობისას იქცნენ როგორც ქალაქში ცნობილ მასწავლებელ კაცებად. მაშინ წმ. პავლემ წაროთქვა სიტყვა, რომელიც მოკლე იყო, მაგრამ ძლიერად გამოხატავდა ებრაელი ერის ისტორიას პატრიარქთა დროიდან დავითამდე, მიზნით, როგორც ეს ადრე წმ. სტეფანემ გააკეთა, მიუთითოს მაშინ არსებულ ღვთის უდიდეს წყალობაზე, ხოლო აქედან პირდაპირ გადავიდა უფალ იესო ქრისტეს ისტორიაზე და სწავლებაზე მის მიერ ცოდვათა მიტევების შესახებ მისდამი ურწმუნობისა გამო. სიტყვა მიმართული იყო არა მხოლოდ ნამდვილი იუდეველების მიმართ („კაცთა ისრაელიანთა“), არამედ პროზელიტების („ღვთის მოშიშთა“) მიმართაც, რომელთაც განსაკუთრებული ადგილები ეჭირათ სინაგოგის შეკრებებზე. ეს სიტყვა სამ ნაწილად იყოფა: 1) შესავალი (მუხლი 16-22), რომელიც წმინდა ისტორიულ ხასიათს ატარებს და საუბრობს ღვთის მზრუნველობაზე ისრაელიანთა მიმართ პატრიარქებიდან დავითამდე; 2) სიტყვის მთავარი ნაწილი (მუხლი 23-37), შეიცავს რა სწავლებას უფალ იესო ქრისტეს როგორც მესიის შესახებ, რომელიც ნაწინასწარმეტყველებია ძვ. აღთქმაში, – აქ საუბარია იოანე ნათლისმცემლის ქადაგების შესახებ, უფალ იესო ქრისტეს გასამართლების შესახებ, მისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ; საგულისხმოა, რომ წმ. პავლემ მსგავსად წმ. პეტრეს (საქმ. 2:27-31), მოჰყავს დავით მეფესაღმუნის იგივე სიტყვები 15 ფსალმუნიდან, ამტკიცებს რა, რომ შეუძლებელია მათი დავითისადმი გამოყენება და რომ ისინი მხოლოდ იესო ქრისტესადმი არის მიმართული. 3) დასასრული – ატარებს წმინდა პრაქტიკულ ხასიათს (მუხლი 38-41) – მასში მოციქული ამცნობს ყველას ცოდვების მიტევების შესახებ, ვინც ირწმუნებს ქრისტეს.

წმ. მოც. პავლეს ქადაგების ზემოქმედება იუდეველებზე და წარმართებზე და მოციქულთა დევნა იუდეველთა მხრიდან (მუხლები 42-52)

მოც. პავლეს ქადაგებამ მოახდინა, როგორც ჩანს, ძლიერი შთაბეჭდილება პროზელიტებზე (რომელთაც ავტორი „წარმართებს“ უწოდებს), სინაგოგიდან გამოსვლისას მათ თხოვეს იგივეს შესახებ საუბარი შემდგომ შაბათსაც. ასევე იუდეველებიც მონაწილეობდნენ ამ თხოვნაში, რაც ჩანს 43 მუხლიდან, სადაც საუბარია, რომ „ბევრი იუდეველთაგანი ... მისდევდა“ პავლეს და ბარნაბას. ცხადია, მათ გულს შეეხო ღვთის მადლი. შემდგომ შაბათს თითქმის მთელი ქალაქი შეიკრიბა „ღვთის სიტყვის“ მოსასმენად. ავტორი არ გადმოგვცემს წმ. პავლეს ამ მეორე სიტყვას, არამედ მოჰყავს 46 მუხლში მხოლოდ დამამთავრებელი სიტყვები, გამოწვეული იმით, რომ იუდეველებმა, მქადაგებლის უდიდესი წარმატების შურით, დაიწყეს მის წინააღმდეგ წასვლა და ცილისწამება. უამრავი წარმართის დასწრება იუდეველებს უხერხულობაში აგდებდა, ვინაიდან მათ აზრადაც არ მოუდიოდათ წარმართების მესიანურ ხსნაში მონაწილეობა. მაშინ პავლემ და ბარნაბამ ღიად განაცხადეს, რომ, უეჭველია, სახარება უპირველესად იუდეველებს უნდა ეხარათ, მაგრამ იმიტომ რომ ისინი უარყოფენ მას და თავით თვისით უღირსებად იქცნენ, ამიტომაც ბუნებრივია სამართლიანად იქნა მიმართული ქადაგება წარმართებისადმი, რაც ჯერ კიდევ ნაწინასწარმეტყველები იყო ისაია წინასწარმეტყველის მიერ: „მე დაგაყენე წარმართთა ნათლად, რომ იყო ხსნად ქვეყნის კიდემდე.“ (ისაია 49,6). ამ სიტყვებმა წარმართებს უდიდესი სიხარული მიანიჭა და მრავალმა ირწმუნა ქრისტე – არა ყველამ, მართალია, მაგრამ იმათმა, „ვინც საუკუნო სიცოცხლისთვის იყო განწესებული“. ანტიოქიიდან „ღვთის სიტყვა“ გავრცელდა „მთელ ქვეყანაში“, ე.ი. პირიქითადაა. ამან იუდეველთა შორის გამოიწვია გაცხარება, რომლებმაც პავლესა და ბარნაბას აუმხედრეს წარჩინებული ქალები, წარმომავლობით წარმართები, რომლებმაც იუდეველობა მიიღეს, და შეძლეს იუდეველებზე ისეთი დევნის აღძვრა, რომ მათ, ქრიტეს მცნების თანახმად, მოუხდათ ფეხიდან მტვერის დაბერტყვა და წასვლა ამ ჯიუტი და ურჩი ხალხისაგან. აქ პირველად გაერთიანდა იუდეველები და წარმართები ქრისტიანობის დევნის მიზნით. მოციქულები წავიდნენ იკონიაში, ლიკონის ოლქის მთავარ ქალაქში, პირიქითადაა აღმოსავლეთით. ანტიოქიაში კი მათ მიერ ახლადმოქცეული მოწაფეები „აღივსებოდნენ სიხარულითა და სულიწმიდით“, რაც მიუთითებს, რომ ისინი სულით არ დაცემულან დევნისას. „ასეთია სახარების ძალა, – ამბობს ნეტარი თეოფილაქტე – მასწავლებლებს დევნიდნენ, ხოლო მოწაფეები სიხარულით აღივსებოდნენ“.

თავი 14

პავლესა და ბარნაბას იკონიაში, ლისტრასა და დერვიაში ქადაგება (მუხლი 1-7)

იკონიაში მოციქულებმა კვლავ იქადაგეს სინაგოგაში და ქრისტეში მოაქციეს იუდეველთა და წარმართთა დიდი სიმრავლე. მაგრამ აქვე ურწმუნო იუდეველებმა მათ წინააღმდეგ შეძლეს წარმართთა ნაწილის ამხედრება, რასაც მოციქულებისათვის არ შეუშლია ხელი იკონიაში „საკმარო ხანს“ ყოფნას, ქადაგებასა და სასწაულების ქმნაში. ხალხი ქალაქში გაიხლიჩა: ერთნი იუდეველთა მხარეზე იყვნენ, ხოლო მეორენი მოციქულთა მხარეს, დაპირისპირებამ კი ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ ისინი მიცვივდნენ

მოციქულებთან და მათ ქვებით ჩაქოლვას ცდილობდნენ. ეს შენიშვნა მიუთითებს, რომ წამქეზებლები სწორედ იუდეველები იყვნენ, რამდენადაც ქვით ჩაქოლვა იუდაისტური წარმომავლობით იყო სასჯელი ღვთის გამოხატვის. გაიგეს რა ამის შესახებ, მოციქულებმა გადაწყვიტეს ლიკონიის სხვა ქალაქებში – ლისტრასა და დერვიაში, იკონიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ; ამ ქალაქებში და მათ შემოგარენში მოციქულები ქრისტეს სწავლების ქადაგებას ეწეოდნენ.

ლისტრაში კოჭლის განკურნება და წარმართთა მიერ მოციქულებისათვის მსხვერპლშეწირვის ცდა (მუხლი 8-18)

მოციქულები პირველად იმყოფებოდნენ აქ წარმატულ საზოგადოების წინაშე. ლიკონიის მოსახლეობამ საკმაოდ იცოდა ბერძნული ენა, რათა მათი ქადაგება გაეგოთ. მოც. პავლეს მსმენელთა შორის იყო შობიდან კოჭლი. დაინახა რა მისი სულიერი განწყობა, მოციქულმა ჩათვალა იგი სასწაულებრივად განკურნების ღირსად: ჩანს, მოციქულის ქადაგებამ ამ კოჭლში გააღვიძა რწმენა უფლის იესო ქრისტეს ყოვლისშემძლე ძალისა. სასწაულმა, პავლეს მიერ შემდგომ აღსრულებულმა, არაჩვეულებრივად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმართებმა, რასაკვირველია, იგი ახსნეს თავიანთი ჩვეულებრივი, მათთვის ბუნებრივი შეხედულებით: მოციქულები ციდან ჩამოსულ ღმერთებად აღიარეს და დაიწყეს მომზადება, რათა მათთვის, როგორც ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. ბარნაბი, ასაკით უფროსს და შეხედულებით წარმოდგენილს, მათ მიიღეს მთავარ ღმერთად ზევსად, რომელსაც ქალაქის მახლობლად მიძღვნილი ჰქონდა ტაძარი, ხოლო პავლე, გამუდმებით ქადაგებდა რა, მიიღეს ჰერმესად. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი გამოთქმეს მათ ლუკაონურად და თან ხმამაღლა; თუ რა ლიკონური ენაა, რთულია ითქვას: ერთნი მშობლიურ ასირიულ დიალექტად მიიჩნევს, მეორენი მას კაპადოკიურ კილოდ, სხვები კიდევ – დამახინჯებულ ბერძნულ კილოდ.

ზევსის ქურუმი ემზადებოდა მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად ტაძრის კარებთან, ღმერთების სტუმრობასთან დაკავშირებით. გაიგეს რა ამის შესახებ, მოციქულებმა, პავლემ და ბარნაბამ ტანისამოსი შემოიხიეს ერის ასეთი სიბრძავისა გამო, შეცვივდნენ ხალხში და არწმუნებდნენ მათ დატოვონ ასეთი ცრურწმენები. მათი სიტყვა გამოხატულია მწუხარებით და დახვეწილი ტაქტით საერთოდ წარმართული რელიგიის შესახებ განსჯაში, რათა მათი ადრული გრძნობები არ გაეღიზიანებინათ. ამასთან ერთად, მოციქულებმა მათ ღმერთებს „ამაონი“ უწოდეს, ე.ი. ცრულ და განაცხადეს, რომ ისინი მოვიდნენ მათ მოსაქცევად „ცოცხალ ღვთისაკენ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მათ წიაღშია“.

